


# საქართველოს იბლიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი




ქართველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოება -140



დავით კარჩაგაშვილი



ბიბლიოთეკის  
წარმატების რეცეპტი



დმიტრი ყიფიანი



ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Sylfaen შრიფტით. გადმოიგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი            ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:        გურამ თაყნიაშვილი  
   გულნარა სტურუა  
   მაია მიქაბერიძე  
   მირიან ხოსიტაშვილი  
   რუსუდან ასათიანი

ყდის დიზანი                    გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორი    ლოლა სანაია

დაკაბადონება                გელა ბაბაკიშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა №1(74) – 2019; გამოიცემა 2000 წლიდან.  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ილ. ჭავჭავაძის, ივ. მაჩაბელის, დ. ბაქრაძის, ი. მუნარგიას, პ. უმიკაშვილის, გ. ქართველიშვილის, გრ. ტატიშვილის, ალ. მიქაბერიძის, დ. კარიჭაშვილის, ფ. კვაჭანტირაძის, „ვეფხისტყაოსნის“ (1888 წ.) და წიგნის მუზეუმის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

## რ ე ღ ა ქ ც ი ი ს ს ვ ე ტ ი

წინამდებარე, 2019 წლის პირველი ნომერი თანმიმდევრულად ასახავს საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრებაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. რუბრიკაში „საბიბლიოთეკო ქსელის მოდერნიზაცია“ მკითხველი გაეცნობა საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვით არსებულ სიახლეებს. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერითა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანადგომით 2014 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია. პროექტში მონაწილე ბიბლიოთეკარები ეწვეიან მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას. ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციამ მკვეთრად აამაღლა მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი. მკითხველი ოპერატიული მომსახურებით სარგებლობს სხვადასხვა სერვისებით. 2015 წელს პრეზიდენტის ფონდით კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა კახეთის მხარის 48 სოფლის ბიბლიოთეკა. ჩატარდა თანამშრომელთა ტრენინგები. საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია-ინტერნეტიზაცია თავისი არსით გულისხმობს საბიბლიოთეკო ფონდების განახლებას, მომსახურების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, მჭიდრო ურთიერთობას მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებთან. პროექტის ძირითად იდეას შეადგენს ადგილობრივი მოსახლეობის განათლება და ინფორმირება

საბიბლიოთეკო რესურსების საშუალებით. ქსელის ინტერნეტიზაცია - მოდერნიზაცია მოიცავს ასევე საბიბლიოთეკო ფონდების შევსებას ელექტრონული რესურსებით. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს 70 სოფლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით. კომპიუტერული უნარ-ჩვევების ტრენინგები ჩატარდა 70 ბიბლიოთეკარისათვის. პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ წარმატებით მიმდინარეობს თანამედროვე ეტაპზე.

წინამდებარე ნომერში მკითხველი გაეცნობა საბიბლიოთეკო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს „ინტელექტუალური თავისუფლება და ბიბლიოთეკები“, წიგნის ისტორია, მასალებს „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის 130-ე წელთან დაკავშირებით. ნომერში ვაქვეყნებთ ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების მიერ კახეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზის მასალებს.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს სრულდება ე.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების დაარსებიდან 140 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ სპეციალურ სტატიებს. ჟურნალში ადგილს ვუთმობთ ინფორმაციას ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის 80 წელთან დაკავშირებით, საბიბლიოთეკო დარგში ამჟამადაც წარმატებით იღწვიან აღნიშნული ფაკულტეტის კურს დამფუძნებლები.

**საქართველოს ბიბლიოთეკა N1(74)-2019**

შ ი ნ ა ა რ ს ი

**საბიბლიოთეკო ქსელის მოდერნიზაცია**

<b>რუსუდან ასათიანი</b> – საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია-ინტერნეტიზაცია .....	3
<b>მანანა კარტოზია</b> – წიგნადი ფონდის შევსება .....	6
<b>გამოხმაურება</b> .....	7

**საბიბლიოთეკო საქმე**

<b>შეველი, ე., ბევერლი, ბ., მორგანი, ქ.</b> – ინტელექტუალური თავისუფლება და ბიბლიოთეკები .....	12
<b>მზია ტოგონიძე</b> – ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა - 80.....	16
<b>ნ. ქავთარაძე, გ. თაყნიაშვილი</b> – კახეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება .....	23

**წიგნის ისტორია**

<b>ნანა ფირცხალავა</b> - „ვეფხისტყაოსანის“ ქართველიშვილისეული გამოცემა.....	27
<b>ნინო ხვედელიძე</b> – ყველაზე სწრაფი მხატვარი.....	34

**IREX ინფორმაცია**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი.....	38
---	----

**ღირსეული მამულიშვილები**

<b>რომან ფერაძე</b> – ადამიანი ლეგენდა.....	40
<b>მაია მიქაბერიძე</b> – ალექსანდრე მიქაბერიძე – მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე .....	44
<b>გურამ თაყნიაშვილი</b> - დავით კარიჭაშვილი - ყოველმხრივ განათლებული და ზნეობრივად ამაღლებული.....	47

**კორესპონდენციები**

<b>ნანა დარჩიაშვილი</b> – დაუვინყარი დღე.....	50
<b>გიორგი გაბუნია</b> – დაგვიანებული შენიშვნა .....	52
<b>მაია სიმონიშვილი</b> – ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის ვიზიტი.....	53

**მოგონება**

<b>ალექსანდრე ლორია</b> – გახსენება-მოგონებები.....	58
---	----

**ქ რ ო ნ ი კ ა**

<b>საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა</b> .....	60
---	----

**ნეკროლოგი**

ფერიდე კვაჭანტირაძე .....	62
ფერიდერ კვაჭანტირაძის გამოსათხოვარი.....	63

**რუსუდან ასათიანი**

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი



საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევით, 2014 წლიდან მიმდინარეობს საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია, შეიქმნა აგრეთვე სასწავლო კასკადი. პროექტის ბენეფიციარი ბიბლიოთეკები ეწევიან თანამედროვე საინფორმაციო მომსახურებას, რის შედეგად აღნიშნულ ბიბლიოთეკებში ვიზიტორების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

2015 წელს პრეზიდენტის ფონდმა უზრუნველყო 48 სოფლის ბიბლიოთეკის კომპიუტერებით აღჭურვა კახეთის რეგიონში და მისი ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები ბიბლიოთეკარებისთვის თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისების შესახებ.

2016 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით Beyond Access-თან ერთად განხორციელდა პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლი-

## **საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია- ინტერნეტიზაცია**

ოთეკას – თანამედროვე ინტერნეტსერვისები ადგილობრივი მოსახლეობისათვის“. მისი ძირითადი იდეაა ადგილობრივი მოსახლეობის განათლება და ინფორმირება ბიბლიოთეკე ბის მეშვეობით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო IREX-თან, რომელიც უშუალოდ ახორციელებს Beyond Access-ის პროგრამებს და პროექტის – „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ – თანადადამფინანსებელი იყო. პროექტის განხორციელებაში, კერძოდ ელექტრონული მმართველობის სერვისების კუთხით, ასევე მონაწილეობდა სა ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ხოლო პროექტის მთავარი მხარდამჭერი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელთან ერთადაც განხორციელდა აღნიშნული პროექტი.

საქართველოს მასშტაბით 70 რეგისტრირებული სოფლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით (პერსონალური კომპიუტერი, მრავალფუნქციური ლაზერული პრინტერი, ინტერნეტი).

სპეციალური გასაუბრების შედეგად შერჩეული 15 ბიბლიოთეკარისთვის ჩატარდა ტრენინგების ტრენინგები (TOT), რათა შემდგომში მათ შესძლებოდათ სხვა ბიბლიოთეკარების გადამზადება.

1. კასკადური ტრენინგები ჩატარდა 55 ბიბლიოთეკარისთვის;

2. ICT (კომპიუტერული უნარ-ჩვევები) ტრენინგები ჩატარდა 70 ბიბლიოთეკა-

რისთვის;

3. ელექტრონული მმართველობის ტრენინგები ჩატარდა 95 ბიბლიოთეკარისთვის, მათ შორის საპილოტო ფაზაში მო ნაწილზე 10 ბიბლიოთეკარისთვის კახეთის რეგიონიდან;

4. საბიბლიოთეკო ასოციაციამ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად უზრუნველყო ბიბლიოთეკარების შეხვედრების ორგანიზება მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით (Peer learning meetings).

2017 წელს პროექტი გაგრძელდა სახელწოდებით „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას – III ფაზა“. ამ პროექტის ფარგლებში არსებულ საბიბლიოთეკო ქსელს დაემატა 33 ბიბლიოთეკა.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ შეისწავლა ბიბლიოთეკების მდგომარეობა საქართველოში და უზრუნველყო ბიბლიოთეკარების გადამზადება. მისი მიზანი იყო, ქართველ ბიბლიოთეკარებს შეეძინათ ინფორმაციის მენეჯმენტის თვის საჭირო ისეთი უნარები, რაც დააკმაყოფილებს საქართველოს მოსახლეობის საინფორმაციო საჭიროებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა და მნიშვნელოვნად გადახალისდა ათწლეულების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებული საჯარო ბიბლიოთეკების სექტორი, ვფიქრობთ, უფრო მეტია გასაკეთებელი, რათა საქართველოს მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს თანამედროვე საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსებით მომსახურება.

პროექტის მსვლელობის მონიტორინგისა და შეფასებისას აღმოჩნდა, რომ გარდა თანამედროვე ინტერნეტმომსახურებებისა ბიბლიოთეკებს შეუძლიათ უფრო მეტი ინტერნეტსერვისების მიწოდება ადგილობრივი თემისთვის, წინა წლებთან შედარებით.

პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ უნდა გაგრძელდეს არა მხოლოდ მისი პირვანდელი სახით, არამედ მას

უნდა დაემატოს ახალი კომპონენტები და პროექტმა ბევრად უფრო ფართო მასშტაბები უნდა შეიძინოს.

### **ბიბლიოთეკარი – თემის ბურჯი**

პროფესია „თემის მობილიზატორი“ საკმაოდ ახალია ჩვენს ქვეყანაში. 2011 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, საქარ თველოს მონინავე უმაღლეს სასწავლებლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე არსებობს სოციალურ სამუშაოში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, გვყავს პროფესიონალი სოციალური მუშაკების ძლიერი გუნდი, როგორც ბაკალავრები, ისე მაგისტრები. მიუხედავად ამისა, მათი რაოდენობა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოემსახუროს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებსაც სოციალური მუშაკის დახმარება სჭირდებათ. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია საქართველოს სოფლის მოსახლეობა. მოგეხსენებათ, საქართველოს არცერთ სოფელს არ ჰყავს თემის მობილიზატორი, არადა, ყველაზე მეტად ეს მომსახურება სწორედ სოფლებშია საჭირო.

დღეს საქართველოში 600 რეგისტრირებული სასოფლო ბიბლიოთეკაა. სოფელში ბიბლიოთეკა ერთადერთი ადგილია, სადაც მოსახლეობას ინფორმაციის ან დახმარების მიღება შეუძლია. სოფლებში არსებობს გამგეობები. როგორც წესი, ბიბლიოთეკა და გამგეობა ერთ შენობაშია განთავსებული.

600 ბიბლიოთეკიდან უკვე 118 ბიბლიოთეკარია გადამზადებული სპეციალური პროგრამით, რომელიც მოძრაობა Beyond Access-ისა და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს (IREX) მიერ არის ორგანიზებული. ამ პროგრამის მეშვეობით ბიბლიოთეკარებმა ისწავლეს ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული თანამედროვე სერვისების შექმნა და მიწოდება. თუმცა ეს არ გულისხმობს მხოლოდ საბიბლიოთეკო სერვისებს. თანამედროვე

საბიბლიოთეკო სერვისებ ში იგულისხმება ყველა ის სერვისი, რომლებიც სჭირდება ადგილობრივ მოსახლეობას; სერვისები, რომლებიც დაეხმარება მათ სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რომ ბევრად უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ. ბიბლიოთეკარს შეუძლია მოსახლეობას მიაწოდოს მსგავსი ტიპის სერვისები. გარდა ამისა, სპეციალური გადამზადების შემდეგ მას თავისუფლად შეუძლია შეითავსოს თემის მობილიზატორის ფუნქცია.

ბიბლიოთეკებში, სადაც უკვე განხორციელდა პროექტი, აუცილებელია მათი მომსახურებების არეალის გაფართოება. თუ აქამდე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა თანამედროვე ინტერნეტსერვისების მიწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს და ეხმარებოდა მას ინტერნეტში საჭირო მასალის მოძიებაში, პროექტის შემდეგ ფაზაში სასურველია ბიბლიოთეკარები გადამზადდნენ სოციალური მიმართულებით. ბიბლიოთეკარმა ინფორმაციის გაცემასთან ერთად უნდა შეძლოს მოსახლეობის დახმარება სოციალური პრობლემების მოგვარებისას და საჭიროების შემთხვევაში ურჩიოს, თუ რომელ უწყებას მიმართოს.

გარდა კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისების ტრენინგებისა, ბიბლიოთეკარე ბი გადამზადდებიან თემის მობილიზების ტრენინგით, რომელიც შეიმუშავა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამასთან თანამშრომლობით. ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილია ტრენინგების გეგმა, რომლის მეშვეობითაც ბიბლიოთეკარები გადამზადდებიან როგორც „თემის მობილიზატორები“. ასეთი ტრენინგის შემდეგ მათ შეეძლება შეითავსონ თემის მობილიზატორის ფუნქცია. შესაძლებელია ვცადოთ საპილოტო ვარიანტი

– პროექტის მომდევნო ფაზის ბენეფიციარი ბიბლიოთეკების ნაწილი გადამზადდეს როგორც თემის მობილიზატორი.

თემის მობილიზება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ადგილობრივი საჭიროებების მყისიერი შესწავლა, სოფლის მოსახლეობის დროული ინფორმირება უკვე არსებული რესურსების შესახებ და ამ რესურსებთან დაკავშირება. სპეციალური გადამზადების შემდეგ თემის მობილიზატორს შეუძლია შეასრულოს კონსულტანტის როლი ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობის საკითხებში და საჭიროებისამებრ მიაწოდოს მას ამ დარგში არსებული ინფორმაცია. ყოველივე ეს, რასაკვირველია, დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობით დაკავებულ მოსახლეობას. გარდა ამისა, ხელს შეუწყობს მათი სამოქალაქო აქტივობის, ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების ზრდას, საბოლოოდ კი – სოფლის თემის გაძლიერებასა და სიღარიბიდან გამოყვანას. თემის მობილიზატორი შეძლებს მის ხელთ არსებული საინფორმაციო რესურსების მაქსიმალურად მობილიზებას, საჭიროებების შესწავლას და ადგილობრივ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან აქტიურ თანამშრომლობას.

გარკვეულწილად, სოფელში თემის მობილიზატორის არსებობა ადგილებზე სოციალური მუშაკის გაზრდილ მოთხოვნასაც უპასუხებს, რაც განსაკუთრებით საჭიროა რეგიონებში. ამ პროექტის განხორციელების შედეგად თემის მობილიზატორი-ბიბლიოთეკარი სოფლის მოსახლეობისთვის გახდება უმნიშვნელოვანესი რგოლი, ერთიორად გაიზრდება მათი საქმიანობის ეფექტიანობა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

**მანანა კარტოზია**

შპს „სებანის“ საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელი

**წიგნადი ფონდის შექმნა**

2014 წლისთვის რეალურად შეფასდა არსებული გარემოება – სოფლის ბიბლიოთეკებში ისევ ბეჭდური წიგნი რჩებოდა ინფორმაციის მიღების ერთადერთ საშუალებად, რადგან სოფლად დაბალი იყო ინტერნეტის მოხმარება, ახალ წიგნებს კი, შეიძლება ითქვას, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მხოლოდ ეპიზოდურად, გამონაკლისის წესით თუ იღებდნენ, ბიბლიოთეკებს არ გააჩნდათ სათანადო ბიუჯეტი წიგნების შესაძენად.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივითა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით გადაწყდა, სოფლის ყველა ბიბლიოთეკას განეახლებინა თავისი წიგნადი ფონდი, რომ ეზრუნა წიგნის კითხვის გაუმჯობესებაზე სოფლებში; რომ დარგობრივი ლიტერატურის შეტანით დახმარებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას; აბიტურიენტებს; სკოლის მოსწავლეებს. ამით სოფლის ბიბლიოთეკების თანამშრომელთა ავტორიტეტიც ამაღლდებოდა, გაიზრდებოდა და გაღრმავდებოდა პირადი კონტაქტები გამომცემლობებთან, წიგნის გამავრცელებლებთან, რათა ეკარნახათ მათთვის ახალი ამოცანები.

პროექტი, ერთი შეხედვით, მარტივი იყო, მაგრამ სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვდა. შედგა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე გამოცემული წიგნების სია; დაიბეჭდა და განაწილდა ვაუჩერები; ქვეყნის მასშტაბით არსებულ 613 ბიბლიოთეკა-

ში და 65 რაიონულ ცენტრში სერიოზული ახსნა-განმარტებითი სამუშაოები წარიმართა, რომ საბოლოოდ თბილისში ორდღიან საახალწლო ბაზრობაზე მოწვეულ სოფლის ბიბლიოთეკარებს შეერჩიათ წიგნები. ეს შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ მხატვრული ან საგანმანათლებლო ლიტერატურა, არამედ საცნობარო თუ მათ მიერ მოთხოვნილი სხვა ტიპის გამოცემები.

მეც ამ პროექტის მონაწილედ მივიჩნევ თავს, ვმონაწილეობდი როგორც გამომცემელი. მახსენდება გამომცემლების საერთო მღელვარება, იმის განცდა, რომ ორ დღეში ზედმინევით ზუსტად გამოჩნდებოდა, გვიკეთებია თუ არა რამე ღირებული და საინტერესო, კონკურენციის მუხტს აჩენდა, ათასწაირად გავაფორმეთ ჩვენი სტენდები.

პირველ დღეს სერიოზული დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარეს ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა. მგონი ყველას ახლდა მეგობარი, მრჩეველი, გულშემატკივარი, რომ რაციონალურად გაენაწილებინა თავისი ვაუჩერები და სანაწიბელი არაფერი გახდომოდა. მეორე დღეს დახლის ორივე მხარეს ურთიერთგაგების ატმოსფერო შეიქმნა. ბიბლიოთეკარები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ შეთავაზებული პროდუქციის მრავალფეროვნების გამო, იბნეოდნენ ამოდენა არჩევანით, იყო სასაცილო შემთხვევებიც, რომ ორჯერ დაბრუნებულ წიგნს ბოლოს მაინც ყიდულობდნენ.

იმ საშობაო დღეებში ბევრი სურვილი ასრულდა და ბევრი ოცნებაც დაიბადა.



## გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ბ ა



2017 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა სოფლის ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია-გადღიერების პროექტები შეაჯამა, ბიბლიოთეკარებს სასახლეში უმასპინძლა და ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

### გიორგი მარგველაშვილი

„როდესაც მოქალაქეები სარგებლობენ ბიბლიოთეკის მომსახურებით და იმ სხვადასხვა სერვისით, რომელთა შეთავაზებაც უკვე დღეს შეუძლია თანამედროვე, ინტერნეტით აღჭურვილ ბიბლიოთეკას, თქვენი მთავარი გზავნილი საქართველოს თითოეული მოქალაქის მიმართ უნდა იყოს ის, რომ ქვეყნის განვითარება თითოეული სოფლიდან იწყება, რაც შემდგომში განაპირობებს ქვეყანაში რეალურ პროცესებს. თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ყოფის შეცვლას სოფელში, შეცვლიან რეალობას მთელ ქვეყანაში“.

### თეო კაპანაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



ბიბლიოთეკაში 2015 წელს დავიწყე მუშაობა, როცა სულ რამდენიმე თვის აღდგენილი იყო. შესაბამისად, ჩემი მთავარი საზრუნავი მკითხველთა მოზიდვა და მოსახლეობაში ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია გახდა. სწორედ ამ პერიოდში, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ წამოიწყო დასავლეთ საქართველოს რეგიონებში სოფლის ბიბლიოთეკების შერჩევა პროექტისთვის: „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისა და საერთაშორისო კომპანია IREX-ის მხარდაჭერით ხორციელდებოდა. წარმატებით გავიარეთ შესარჩევი ეტაპი და ჩავერთეთ პროექტში.

პროექტის ფარგლებში გავიარე ძალიან საინტერესო და საჭირო ტრენინგები: „თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისები და ბიბლიოთეკის დიზაინი“; „საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მოდერნიზაცია, ბიბლიოთეკების ადვოკატირება და საბიბლიოთეკო სერვისების რეკლამირება“; „ტრენინგების ტრენინგი“; „ელექტრონული სერვისები“; „კომპიუტერული უნარჩვევები“. მათ შორის ტრენინგები გავიარეთ უკრაინელ ტრენერ ლიუბოვ კვასიუკთან. ვისწავლეთ მომხმარებელთა მოზიდვის თანამედროვე ხერხები, ბიბლიოთეკის მოწყობა ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის მისაღებ სივრცედ. გადმოგვეცა კომპიუტერული სისტემა სრული აღჭურვილობით: შესაბამისად, მომხმარებელს შევთავაზე უფასოდ: ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, Wi-Fi, გავხსენი კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსები ყველა ასა-

კისა და კატეგორიის მომხმარებლისთვის. ეს ყოველივე დამეხმარა მომხმარებელთა მოზიდვაში, ბიბლიოთეკა გახდა ყველა სთვის მისაღები და საჭირო ადგილი სოფლად, ჩემი სამუშაო კი – ძალიან საინტერესო. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელმაც ფაქტობრივად ახალი სიცოცხლე შესძინა ბიბლიოთეკას.

2017 წელს მონაწილეობა მივიღე ბიბლიოთეკების კონკურსში: „ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკების მეშვეობით“, ავიღე პირველი ადგილი, გადმომეცა ძალიან კარგი პრიზები.

მაღევე საბიბლიოთეკო ასოციაციისგან მივიღე ახალ პროექტში ჩართვის შემოთავაზება: „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“, რომელიც ასევე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. იგი ითვალისწინებს მოსახლეობის მობილიზებას, თემში არსებული პრობლემების გადაჭრაში ბიბლიოთეკარის ჩართულობას. პროექტის ფარგლებში გავიარეთ საინტერესო ტრენინგები საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანთან და პროფესორ შორენა საძაგლიშვილთან. დაგვევალა პროექტის შექმნა ჩვენს თემში არსებულ მწვავე და აქტუალურ თემებზე. მე და ვწერე პროექტი „პოზიტიური მშობლობა“, რაც ითვალისწინებს ტრენინგების ჩატარებას თემის მოსახლეობისთვის ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: ბულინგი, ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებულება, მოზარდთა სწორი ფსიქოლოგიური განვითარება. პროექტი დააფინანსა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა. მიმდინარეობდა 2018 წლის წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით.

საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის შუამდგომლობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალმა“ გადმოგვცა ლეპტოპი, პროექტორი და ეკრანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ბიბლიოთეკისთვის.

აღნიშნულ პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობა არა მარტო ბიბლიოთეკისთვის, არამედ ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ბიბლიოთეკარისთვის, იყო

მეტად მნიშვნელოვანი – ერთი შეხედვით მოსაწყენი სივრცე და სამუშაო გახდა ძალიან საინტერესო, მრავალფეროვანი, ხალისიანი. ვურთიერთობ სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთან, რაც მართლაც საინტერესოა.

ტრენინგების დროს გავიცანი საქართველოს თითქმის ყველა რაიონის ბიბლიოთეკარი, ბევრ მათგანთან მაქვს ახლო მეგობრული ურთიერთობა, თითქმის ყოველდღე ვეხმიანებით ერთმანეთს, ვუზიარებთ ახალ იდეებს, გამოცდილებას, ვეხმარებით სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

საბიბლიოთეკო ასოციაციამ ქალბატონი რუსუდან ასათიანის თაოსნობით შექმნა ერთიანი, ძლიერი, მოტივირებული საბიბლიოთეკო ქსელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ ერთად ყველას დავანახეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიბლიოთეკა სოფლად, ინფორმაციას მოკლებული მოსახლეობისთვის.

### სანათა აშკარელაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების სოფელ ველისციხის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



ბიბლიოთეკაში მუშობა 2015 წელს დავიწყე და მაღევე აქტიურად ჩავერთე პროექტში „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ამ პროექტით გათვალისწინებული ტრენინგებით შევისწავლე ინტერნეტით სარგებლობისთვის აუცილებელი თანამედროვე უნარ-ჩვევები. ჩვენი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი ნათელი წერტილი გახდა სო-

ფლად; წიგნების გატანის გარდა უფასო ინტერნეტმომსახურებაც გვაქვს; აქტიურად ჩავები პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტებში: „თანამედროვე ტექნოლოგია-ინოვაციები“; ჩვენს ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს წიგნების შეყვანა კომპიუტერში „ოუფენ ბიბლიო“, რაც დროის უმოკლეს მონაკვეთში გვეხმარება მოვიძიოთ ბიბლიოთეკაში არსებული ესა თუ ის წიგნი; ვართ ჩართული პროექტში „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და გამაძლიერებელი“; თემის მობილიზაცია ტორის როლის შეთავსებამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზარდა ბიბლიოთეკარის როლი სოფლად. ჩვენ ვართ ის დამაკავშირებელი რგოლი თემსა და სპეციალისტებს შორის, რომლის მეშვეობითაც ვეხმარებით მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის აღმოფხვრა-გადაჭრაში და გარკვეული ინფორმაციის მიღებაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის სამ თემში განვახორციელეთ პროექტი, რომელიც ნაადრევი ქორწინების პრობლემას ეხება; გვინდა ავამაღლოთ თემში ცნობიერება და შემცირდეს ნაადრევი ქორწინების რიცხვი. ამ პროექტების ამოქმედების შემდეგ ბიბლიოთეკა გახდა ის ადგილი, სადაც ყველას მოუხარია.

## მარიამ ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



მას შემდეგ, რაც ჩვენს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა კომპიუტერული ტექნიკა სრული აღჭურვილობით პროექტ „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში, ჩემთვის და ჩემი ბიბლიოთეკისთვის ახალი ეტაპი დაიწყო. ბიბლიოთეკა გახდა ბევრად საინტერესო, მრავალფუნქციური და საზოგადოებისთვის მიმზიდველი ცენტრი. ჩემი სოფლის მოსახლეობა ბიბლიოთეკას ნათელ წერტილს უწოდებს. ასევე ბიბლიოთეკა გახდა არა მხოლოდ კარგი სამკითხველო, არამედ – საზოგადოების თავშეყრის ადგილი.

მოხარული ვარ, რომ მონაწილე ვარ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის, როგორცაა „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ .

ვმონაწილეობდი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ შემდეგ ტრენინგებში:

- ტრენინგების ტრენინგი: „თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისები და ბიბლიოთეკის დიზაინი“;
- „საბაზისო კურსი კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში“;
- ტრენინგების ტრენინგი: „საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მოდერნიზაცია, ბიბლიოთეკების ადვოკატირება და საბიბლიოთეკო სერვისების რეკლამირება“;
- ელექტრონული სერვისები;
- ტრენინგების ტრენინგი;
- სასწავლო დაწესებულებებისა და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა გადამზადების ზოგადი პროგრამა;
- ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი.

საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ტრენინგები იყო, რომლის დროსაც მიღებული ცოდნა გამოვიყენე ჩემს საბიბლიოთეკო საქმიანობაში. ამ ტრენინგების შემდეგ გავხდი უფრო მეტად თავდაჯერებული და მიზანდასახული, კიდევ უფრო შემეყვარდა ჩემი პროფესია და დაუზარებლად ვეხმარები სოფლის მოსახლეობას. ასევე ტრენინგებზე გავიცანი და დაგუაზლოვდი ჩემი პროფესიის ადამიანებს. შევიძინე ბე-

ვრი ძალიან კარგი მეგობარი.

ბიბლიოთეკას ჰყავს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მომხმარებელი. ნებისმიერ მსურველს, განურჩევლად ასაკისა და შესაძლებლობებისა, შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს უფასო მატალსიჩქარიანი ინტერნეტით, უფასო ქსეროქსით, პრინტერით და სკანერით. სოფელში არიან ისეთებიც, რომელთაც არა აქვთ ინტერნეტთან და კომპიუტერთან ურთიერთობის გამოცდილება და ჩვენ ვეხმარებით ამ პრობლემის მოგვარებაში, რათა არ დარჩნენ სიახლეების მიღმა. ვანვდი მათთვის საჭირო ინფორმაციას. ბიბლიოთეკა გახდა ერთგვარი სერვისცენტრი ტექნოლოგიების სფეროში.

ბიბლიოთეკის ახალ სერვისს ყველა ასაკის მკითხველი აღფრთოვანებით შეხვდა. სურვილისამებრ, მათ ვასწავლი კომპიუტერულ პროგრამებს და ისინიც დიდი ინტერესით სწავლობენ. მყავს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მომხმარებელი: პედაგოგები, მოსწავლეები, ამბულატორიის თანამშრომლები, სოფლის რწმუნებული და ა.შ.

მიღებულმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მომხმარებელთა ინტერესი დღითი დღე მატულობს. შესაბამისად, გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. მომხმარებლები მშვენივრად უთავსებენ ერთმანეთს წიგნსა და კომპიუტერს. მიხარია, რომ სოფელში არის ისეთი ბიბლიოთეკა, სადაც ადამიანი კომფორტულად გრძნობს თავს და მისთვის საჭირო ინფორმაციას ძალიან ადვილად იღებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიბლიოთეკარის საქმიანობას დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი – ბიბლიოთეკარი, როგორც თემის გამაძლიერებელი და თემის მობილიზატორი. ეს ჩვენი სოფლის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბიბლიოთეკარი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ყველაზე კარგად იცნობს თავისი თემის მოსახლეობას და მათს პრობლემებს. ჩვენ ვითავსებთ სოციალური მუშაკის როლს და ვეხმარებით ადგილობრივ თემს შეაფასოს საკუთარი რესურსი, დასახოს სამოქმედო გეგმა და ძალისხმევა მოახმაროს თემისთვის აუცილებელი პრობლემების მოგვარებას. ასევე, ბიბლიოთეკას გააჩნია

ყველანაირი რესურსი საიმისოდ, რომ დახმარება გაეწიოთ ჩვენი თემის მოსახლეობას მათი საჭიროებისამებრ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მუშაობით, მოტივაციით, ენთუზიაზმით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკები გახდება თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი, მრავალფუნქციური, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის მისაღები.

ასევე, ჩემთვის და ჩემი ბიბლიოთეკისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭოს IREX-ის ორგანიზებით აცანის ბიბლიოთეკაზე გადიღეს ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და IREX-ის ვებგვერდებზე. ეს თითოეული ჩვენგანისთვის დიდი სტიმულია.

### ირმა კვირკვია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ციფრული ტექნოლოგიებითა და ელექტრონული რესურსებით მომსახურების განყოფილების უფროსი



ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა, მოდერნიზაცია, ინტერნეტიზაცია და გამაძლიერება. წილად მხვდა პატივი და ბედნიერება, ჩართული ვიყო საქართველოს

პრეზიდენტის ინიციატივითა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში. თითოეული ეს პროექტი რამდენად მნიშვნელოვანია სოფლად საბიბლიოთეკო საქმიანობის განვითარებისა (ბიბლიოთეკების კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ქცევა, მომსახურების თანამედროვე სერვისები...) და ბიბლიოთეკართა პროფესიონალური ზრდისთვის, რამდენად სიცოცხლისუნარიანია თითოეული მათგანი, ამაზე არაერთხელ დაწერილა და აღნიშნულა პრესაში თუ ტელევიზიით. ჩემი, ერთი რიგითი ბიბლიოთეკარის მაგალითზე მინდა ვთქვა, რომ ამ ტრენინგების შედეგად მომეცა საშუალება, ერთი მხრივ, ჩემი მცირედი წვლილი შემეტანა სასოფლო ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია-მოდერნიზაციის დიდ პროცესში და, მეორე მხრივ კი, შეძენილი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომევიწყინა ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში და არა მარტო კონკრეტულად ჩემს ბიბლიოთეკაში.

შვეითავსე ახალი ფუნქციაც – თემის მობილიზატორი (ჩემსავით კიდევ ცამეტმა ბიბლიოთეკარმა და ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება). ვსწავლობ თემის პრობლემებს, ვეხმარებით მოსახლეობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში. კახელ, აჭარელ და სხვა კოლეგებთან ერთად ვწერ, ვამუშავებ და ვახორციელებ სათემო პროექტებს. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანთან ერთად ჩავატარე ტრენინგები სამეგრელო-ზემო სვანეთის სასოფლო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართათვის. ასევე, დამოუკიდებლად ვატარებ ტრენინგებს ზუგდიდის სასოფლო ბიბლიოთეკებში.

ტრენინგების შემაჯამებელი შეხვედრები იყო ერთგვარი სინთეზი მუშაობისა და დასვენებისა. გვქონდა საინტერესო ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის ულამაზეს ადგილებში (კახეთის ისტორიულ ადგილებსა და წყალტუბოში).

და ეს ყველაფერი გრძელდება ტრენინგების შემდეგაც... გრძელდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბიბლიოთე-

კარებთან მეგობრობა, თანამშრომლობა. ჩვენ ყველანი აქტიურად ვართ ჩართული ერთმანეთის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში, ერთად და დისტანციურად ვწერთ საპროექტო განაცხადებს, ვუზიარებთ ერთმანეთს აზრებს, წინადადებებს, იდეებს, განვიხილავთ ერთმანეთის სათემო პროექტებს. მომავალში ვფიქრობთ გაცვლითი ღონიძიებების, ტრენინგების ჩატარებას წლების წინ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იქნებოდა, დღეს უკვე რეალობაა. ამ ტრენინგებმა დამანახა, როგორ ამაღლდა და დაფასდა ხალხის თვალში პროფესია – ბიბლიოთეკარი. ამ პროექტების, ამ ტრენინგების დამსახურებაა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბიბლიოთეკარები ერთად რომ ვართ და ვაკეთებთ ერთ დიდ საქმეს, რომელიც ქვეყნის განვითარების პროცესებში საზოგადოების აქტიურად ჩართულობას უზრუნველყოფს.

## ლია გომშიაშვილი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი



გავიარე ორი სახის ტრენინგი: „ინტერნეტი – ყველა სოფლის ბიბლიოთეკას!“ და „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“.

პირველ რიგში, ამ პროექტების ფარგლებში გავიცანი ჩემი კოლეგები, ბიბლიოთეკარები საქართველოს ყველა კუთხიდან და მათთან ურთიერთობამ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ძალიან ბევრი რამ შემძინა. ამასთან, ბიბლიოთეკას გადმოეცა კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკას აქვს სოციალური ქსელი და მისი საშუალებ-

ბით ვაქვეყნებთ ყველა ჩვენს აქტივობას, გვაქვს სხვადასხვა შემეცნებითი შინაარსის გვერდი სოციალურ ქსელში, მათ შორის „ველისციხელი პოეტები“. ამ გვერდის საშუალებით პოეზიის მოყვარულებს ვაძლევთ საშუალებას, რომ თავიანთი შემოქმედება სხვებსაც გააცნონ. ამასთან, ვიგებთ კოლეგების აქტივობების შესახებაც და ეს გვებმარება, რომ ჩვენც განვახორციელოთ მსგავსი ტიპის ღონისძიებები. ტრენინგების მეშვეობით ვისწავლეთ, თუ რა გამოყენება შეიძლება მივცეთ ბიბლიოთეკას წიგნით სარგებლობის გარდა. ვცდილობთ, მეტი სოციალური ფუნქციით დავტვირთოთ ბიბლიოთეკარის პროფესია. ამაში დიდად დაგვეხმარა მეორე ტრენინგი „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“. ბიბლიოთეკარმა შეითავსა ახალი ფუნქციები, ვცდილობთ ჩავატაროთ სხვადასხვა სახის შეხვედრები, რომლებიც გულისხმობს სპეციალისტების შეხვედრას მოსახლეობასთან კონკრეტულ საკითხზე სასაუბროდ, მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „ნაადრევი ქორწინება“, რომლის განხორციელებაც მიზნად

ისახავს ცნობიერების ამაღლებას მოსახლეობაში ამ კონკრეტული კუთხით. ჩვენ, ბიბლიოთეკარებს კი ამ პროექტზე მუშაობა გვაძლევს დიდ გამოცდილებას, რომელიც შემდეგში სხვა პროექტებზე მუშაობას გაგვიადვილებს.

ტრენინგების შემდეგ ჩვენი ბიბლიოთეკა გახდა თანასოფლელების საყვარელი ადგილი – იგი არა მხოლოდ აკმაყოფილებს სხვადასხვა სურვილს მათი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ აღუძრავს მათ ახალ სურვილებსა და ფანტაზიებს. ბიბლიოთეკაში შეუძლიათ ისარგებლონ ქსეროქსით, სკანერით, უფასო ინტერნეტით; ვებმარებით, რომ შეისწავლონ კომპიუტერული პროგრამები, ისარგებლონ სოციალური ქსელით, მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით. ბიბლიოთეკის დარბაზს მოსწავლეები იყენებენ სასკოლო პროექტების მოსამზადებლად, სწავლობენ ხატვას თუ ხელოვნების ისტორიას ვიდეოგაკვეთილების საშუალებით. ამ ტრენინგებისგან მიღებულმა ცოდნამ მე, როგორც ბიბლიოთეკარს, უპირველეს ყოვლისა, უკეთ დამანახა ჩემი ადგილი.

## საბიბლიოთეკო საქმე

ეველინ შველი, ბევრლი ბეკერი და ქენდის მორგანი

### ინტელექტუალური თავისუფლება და ბიბლიოთეკები არსებული პრობლემები და გამონაკვეთები

დემოკრატიული საზოგადოება თავისი საუკეთესო სახით არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია და თავისუფლად ვრცელდება. ბიბლიოთეკის უნიკალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს ის, რომ უზრუნველყოს ღია და შეუზღუდავი წვდომა ამ ინფორმაციაზე. ხელმისაწვდომი ინფორმაციის სახით ინდივიდებს გააჩნიათ საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის საჭირო ბერკეტები. ამ პასუხისმგებლო-

ბის არსებითი ნაწილი არის იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იყოს შეუზღუდავი, იქნება ეს წიგნი, ვიდეო, კომპაქტდისკი თუ ვებსაიტი.

სამწუხაროდ, ბიბლიოთეკებს ხშირად უწევთ სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებთან გამკლავება, რათა უზრუნველყონ ბიბლიოთეკის მასალებზე თავისუფალი წვდომა. ამ წინააღმდეგობებს ხშირად იწვევენ ისინი, რომლებსაც სჯერათ, რომ იდეებსა და ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომა

ზიანის მომტანია ინდივიდის ან საზოგადოებისათვის, ან ორივესთვის ერთად. ეს წინააღმდეგობები ამჟამად ოთხი ძირითადი საკითხის ირგვლივ ერთიანდება: (1) ინტერნეტზე წვდომა, (2) ახალგაზრდების უფლება, წვდომა ჰქონდეთ საბიბლიოთეკო მასალებზე, (3) ბიბლიოთეკით მუდმივად მოსარგებლე პირებისა და მათი ჩანაწერების კონფიდენციალურობის დაცვა და (4) სამთავრობო ინფორმაციაზე წვდომა.

## ინტერნეტი

ინტერნეტი შეგვიძლია თამამად მივიჩნიოთ ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სიახლედ, რომელიც კონკურენციას უწევს ბეჭდურ მედიას საკომუნიკაციო, სავაჭრო და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში ცვლილებების განხორციელებით. ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია ახალი ამბების, იდეების, აზრებისა თუ გასართობი სახის ინფორმაციის ფართო სპექტრის მოძიება, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია ყველასთვის კომპიუტერისა და მოდემის დახმარებით. მსოფლიო ინტერნეტქსელში ჩართულობა განაპირობებს იმას, რომ ბიბლიოთეკებს შეუძლიათ მკითხველებს შესთავაზონ ისეთი ინფორმაციული რესურსებით სარგებლობა, რომლით სარგებლობაც რამდენიმე ათეული წლის წინ წარმოუდგენელი იყო. მაუსზე თითის ერთი დაჭერით მკითხველებს შეუძლიათ აირჩიონ ათასობით ვებსაიტის, ფორუმისა და მონაცემთა ბაზებიდან მათთვის სასურველი ინფორმაციული ან გასართობი სახის მასალა.

მიუხედავად ამისა, ინტერნეტში არსებული ზღვა ინფორმაცია და ამ ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის საკითხი კითხვის ნიშნებს ბადებს ზოგიერთი ადამიანისთვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ინტერნეტში მეტისმეტად ბევრ ინფორმაციაზეა წვდომა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. ისინი შიშობენ, რომ ბავშვებმა შესაძლოა ეძებონ და იპოვონ საიტები, რომლებიც შეიცავს ღიად სექსუალური შინაარსის მატარებელ მასალებს ან წააწყდნენ არასასურველი შინაარსის გარკვეული რელიგიური ან პო-

ლიტიკური ჯგუფების მიერ გავრცელებულ ინფორმაციასა თუ იდეებს. ზოგიერთს კი სჯერა, რომ მსგავსი სახის მასალები არა მარტო ბავშვისთვის, არამედ ზრდასრული ადამიანისთვისაც ზიანის მატარებელია. საშიშროების არსებობის გამო ისინი საჭიროდ მიიჩნევენ საჯარო ბიბლიოთეკებში ე.წ. „ინფორმაციის გამფილტრავი“ პროგრამული საშუალებების გამოყენებას, რადგან სჯერათ, რომ ცენზურისგან გამონჯეული ზიანი გაცილებით უმნიშვნელოა იმ ზიანთან შედარებით, რომელიც შეიძლება მკითხველს შეუფერებელი ინფორმაციის ნახვამ მოუტანოს. „ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციას“ არასწორად მიაჩნია „ინფორმაციის გამფილტრავი“ პროგრამული საშუალებების გამოყენება, რომელიც ბლოკავს წვდომას კონსტიტუციით მონიჭებულ სიტყვის თავისუფლებაზე იმ კომპიუტერებში, რომლებიც საჯარო ბიბლიოთეკის ტერიტორიაზეა განთავსებული. ეს ეწინააღმდეგება არა მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ სიტყვის თავისუფლების, არამედ საბიბლიოთეკო საქმის ძირითად პრინციპებს, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანის უფლებაა, მიუხედავად მისი შემოსავლის, სტატუსის და ასაკისა, შეუზღუდავად წაიკითხოს და მოისმინოს ინფორმაცია და იდეები. 2000 წლის დეკემბერში კონგრესმა მიიღო კანონი „ბავშვებისთვის უსაფრთხო ინტერნეტის შესახებ“ (CIPA). ამ კანონის მიხედვით, იმ საჯარო და სკოლის ბიბლიოთეკებმა, რომლებსაც სურთ ინტერნეტზე წვდომისას განსაზღვრული ფედერალური შეღავათებითა და გრანტებით სარგებლობა (ინტერნეტ ტარიფზე ფასდაკლება, „საბიბლიოთეკო სერვისებისა და ტექნოლოგიების შესახებ“ კანონის (LSTA), ან „დანყებიითი და საშუალო განათლების შესახებ“ კანონის (ESEA) მიერ გამოყოფილი გრანტები) უნდა დაადასტურონ, რომ ისინი ატარებენ ინტერნეტუსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური უსაფრთხოებისთვის საჭირო ზომების მიღებას, ინტერნეტით გავრცელებული არალეგალური ვიზუალური გამოსახულებების გაფილტვრას და დაბლოკვას კომპიუტერუ-

ლი პროგრამების მეშვეობით.<sup>1</sup>

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციას (ALA) მიაჩნია, რომ ნაცლად იმისა, მხოლოდ არასრულყოფილ რობოტექნიკაზე ვიყოთ დამოკიდებული, საჭიროა განათლება, რომელიც გთავაზობს საუკეთესო საშუალებებს ინტერნეტუსაფრთხოების საკითხებში როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრულების გასათვინობიერებლად. ბიბლიოთეკები, რომლებიც ბავშვებს სთავაზობენ სპეციალურ კურსებს იმის შესახებ, თუ როგორ ისარგებლონ ინტერნეტით უსაფრთხოდ და ეფექტურად, უზრუნველყოფენ მათ არა მარტო ინტერნეტში პოზიტიური გამოცდილების მისაღებად საჭირო უნარებით, არამედ აძლევენ საჭირო ცოდნას, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტქსელში სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოსაძიებლად. მსგავსი კურსები არსებობს მშობლებისა და მოზრდილებისთვისაც, რომელთა ფარგლებში ისინი სწავლობენ საძიებო სისტემების, ინტერნეტის საკომუნიკაციო საშუალებებით საერთო ინტერესების მქონე სხვა პირებთან დაკავშირებას. ეს კურსები უფროსი ასაკის ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირებს აცნობს ინტერნეტის დანიშნულებას, მის სარგებლიანობას და ეხმარება მათ გახდნენ ინტერნეტ „გიდები“ და ინფორმაციის წყაროები მათი ბავშვებისათვის.

### ახალგაზრდების უფლებები

ბიბლიოთეკებში სხვადასხვა სახის ინფორმაციის კონტროლის ან ამოღების საჭიროების საკითხი მაშინ დგება, როდესაც მოქალაქეთა ნაწილი მიზანშეწონილად მიიჩნევს ახალგაზრდების წვდომის შეზღუდვას ამ ინფორმაციაზე, მათი უსაფრთხო მორალური და ემოციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. მსგავსი კამპანიები ყურადღებას ამახვილებს ძალადობრივი

შინაარსის მქონე მასალებზე ან ინფორმაციაზე სექსის, ოკულტიზმის, განსხვავებული რელიგიებისა და ალტერნატიული ცხოვრების წესის შესახებ, ასევე კლასიკურ ნაშრომებზე, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიერ აღიქმება რასისტულად, სექსისტურად ან ჰომოფობიურად. საუბედუროდ, ბევრ ადამიანს არ სურს აღიაროს ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით, უმცროსი ასაკის წარმომადგენლებს, გარკვეული გამონაკლისებით, ისეთივე უფლება აქვთ ნაიკითხონ და გაეცნონ ინფორმაციას, როგორ უფროსი ასაკის მკითხველებს. მართლაც, „მოზარდების თავისუფალი წვდომა ბიბლიოთეკებზე: ბიბლიოთეკის უფლებათა კოდექსის შესწორება“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია“ ემიჯნება ბიბლიოთეკის სერვისებზე, მასალებსა და დამატებით მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვის ყველანაირ მცდელობას, რომელიც ბიბლიოთეკით მოსარგელის ასაკით იქნება განპირობებული“. წიგნებზე, ვიდეოებზე, კომპაქტდისკებზე ან ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვა ახალგაზრდებს არ იცავს რთული და გამოწვევებით სავსე სამყაროსგან, რომელსაც ისინი აწყდებიან, არამედ ართმევს იმ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, რომელიც ხშირად არსებითად მნიშვნელოვანია მათი განვითარებისა და ზრდასრულ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მოსაზრებით, ინტერნეტით ახალგაზრდების უსაფრთხო სარგებლობის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა მათთვის ინფორმაციის შეფასების, კრიტიკულად გააზრებისა და მოძიებული მასალის შესახებ გადამწყვეტილებების მიღების სწავლება. ახალგაზრდების კრიტიკული აზროვნებისა და ცნობისმოყვარეობის უნარების განვითარების ხელშეწყობით, ჩვენ მათ ვამზადებთ მომავლისთვის, რათა შეძლონ დემოკრატიულ პროცესებში აქტიურად ჩართონ და ჰქონდეთ საკუთარი აზრი ყველა საკითხზე. საბოლოო ჯამში, ბიბლიოთეკარის ფუნქციაც ესაა, რომ ადამიანებს დაეხმაროს და მიუთითოს, როგორ მოიძიონ და

<sup>1</sup> უფრო კონკრეტულად, CIPA მოითხოვს, რომ ინფორმაციის გამფილტრავმა ტექნოლოგიამ შეზღუდოს წვდომა როგორც მოზარდებისთვის, ასევე მოზრდილებისათვის იმ ინფორმაციაზე, რომელიც მიიჩნევა ბავშვთა პორნოგრაფიად ან შეიცავს ბუნდოვანი და საზიანო შინაარსის მატარებელ ვიზუალურ გამოსახულებებს.



გამოიყენონ არსებული მასალები მათთვის სასურველი ინფორმაციის მოსაძიებლად.

### **კონფიდენციალურობის პოლიტიკა**

2002 წელს ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ მიიღო საბიბლიოთეკო უფლებების შესახებ დებულების შესწორებული ვარიანტი კონფიდენციალურობის შესახებ (ნაწილი მე-2, მუხლი 2.16), რომელიც გულისხმობს ბიბლიოთეკათა და ბიბლიოთეკართა უზრუნველყოფას სამოქმედო გეგმით ინტელექტუალური თავისუფლების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. კანონპროექტის შესწორებულ ვარიანტში აღნიშნულია:

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ ბიბლიოთეკებში გულისხმობს, რომ ერთი პიროვნების ინტერესები არ უნდა გახდეს სხვისი განხილვისა და კვლევის საგანი. კონფიდენციალურობა დაცულია, როდესაც ბიბლიოთეკა ფლობს მკითხველის საიდენტიფიკაციო ინფორმაციას და ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებს. ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომელი, როგორც ადმინისტრაციიდან, ისე საბიბლიოთეკო მომსახურების განყოფილებიდან, ვალდებულია შექმნას ისეთი გარემო, რომ უზრუნველყოს მკითხველის პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა.

დღესდღეისობით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე ბიბლიოთეკაში, არის ქვეყნის რეაქცია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდასხმაზე. ტერორისტული თავდასხმის საპასუხოდ ფედერალურმა მთავრობამ აშშ-ის პატრიოტული და ეროვნული უსაფრთხოების აქტები მიიღო. 2002 წელს ცვლილებები შეიტანეს იუსტიციის მინისტრის ოფიციალურ ბრძანებაში სისხლის სამართლის დანაშაულების, რეკეტისა და ტერორისტული საქმიანობის გამოძიების შესახებ. ასევე ბევრი პროგრამა შეიქმნა სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემთა შეგროვებისა და ერთმანეთთან დაკავშირების გზით პოტენციურ ტერორისტთა ამოსაცნობად. ტერორიზმის საპასუხოდ შექმნილმა მსგავსმა ინიცია-

ტივებმა საკმაოდ ცუდი გავლენა მოახდინა სიტყვის თავისუფლებაზე, გამოძიების პროცესისა და სხვადასხვა გაერთიანებათა გამჭვირვალობაზე.

სასამართლო პროცესზე კატცი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ „ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი საკუთრებისა და სიცოცხლის უფლების დაცვა, და ეს ყველა შტატის კანონშია მითითებული“. ამიტომაც ბიბლიოთეკათა ჩანაწერების კონფიდენციალურობის შესახებ საკითხი განიხილება შტატების კანონის მიხედვით და შტატის მოსამართლეთა გადანყვეტილებებზე დაყრდნობით.

ბიბლიოთეკარების მუშაობამ მკითხველი უნდა დაარწმუნოს, რომ ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის დროს კონფიდენციალურობა სრულად დაცულია. თუ ასე არ მოხდა, ბიბლიოთეკა ვერ გაივლის ტესტს კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ და საზოგადოება მას უსაფრთხოდ აღარ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში საფრთხე დაემუქრება ბიბლიოთეკის ჩანაწერების კონფიდენციალურობის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.

### **სამთავრობო ინფორმაციაზე წვდომა**

სამთავრობო ინფორმაციაზე წვდომა დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. აუცილებელია, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყოს სხვადასხვა სამთავრობო საკითხების შესახებ. ეს იდეა შეერთებული შტატების ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ბიბლიოთეკათა საშუალებით ამ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად გაეცნოს სამთავრობო ინფორმაციას. როდესაც სამთავრობო ინფორმაციაზე წვდომა შეზღუდული ან შეუძლებელია, ბიბლიოთეკები ვეღარ ასრულებენ თავიანთი მისიის ამ მნიშვნელოვან ნაწილს. ფედერალური და შტატების დოკუმენტთა შემნახველი სისტემები, ასევე ინფორმაციის თავისუფლების აქტის შესაბამისი კანონები, ბიბლიოთეკებს უზრუნველყოფენ

სამთავრობო ინფორმაციის მისაღებად საჭირო საშუალებებით.

ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით მმართველობის ყველა დონეზე მიიღება საჭირო ზომები, რათა შეიზღუდოს ტერორისტების შესაძლო წვდომა ინფორმაციაზე, მკაცრად დაცულია ზღვარი სამთავრობო ინფორმაციაზე საზოგადოების წვდომის საჭიროებასა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას შორის. ინფორმაცია, რომლებზედაც შეზღუდვა ვრცელდება, მოიცავს „დელიკატურ, მაგრამ არა გასაიდუმლოებულ“ მასალებს და საპრეზიდენტო უწყების წერილობით ჩანაწერებს. ამასთან ერთად, მთავრობა უფრო და უფრო მკაცრად განიხილავს ინფორმაციის თავისუფლების

აქტის მიერ წამოყენებულ ყველა მოთხოვნას. სამთავრობო ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ვებ-საიტზე: <http://www.ala.org/advocacy/privacy/toolkit> (ნანახია 11.01.19 - მ.ბ.).

**თარგმნა ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა მარიამ ხოფერიამ.**

**წყარო: Shaevel E., Becker B., Morgan C. D. (2006) Challenges and Issues Today. In The seventh edition of the Intellectual Freedom Manual (pp: 45-52). American Library Association, Chicago: Office for Intellectual Freedom.**

## **მზია ტოგონიძე**

თბილისის 42-ე ბიბლიოთეკა

# **სამეცნიერო კვლავობიური მოღვაწეობის ასპარეზზე ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის 80 წლისთავთან დაკავშირებით**

XX საკუნის 30-იანი წლებიდან მწვავედ დადგა საკითხი ქვეყნად მაღალკვალიფიციური საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა. განუვლია სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სამსახურმა, რომელიც რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასა და წიგნის პალატაში მიმდინარეობდა, იძლეოდა საშუალებას, საბიბლიოთეკო კადრების მოზადების საქმე შედარებით მაღალ დონეზე აგვეყვანა. ამის საფუძველს წარმოადგენდა ის მიღწევებიც, რომლებმაც საბიბლიოთეკო საქმეში იჩინა თავი. განვითარდა და გაფართოვდა საბიბლიოთეკო სისტემა, მისი ქსელი, როგორც სამეცნიერო, ისე მასობრივი ბიბლიოთეკებისა. ბიბლიოთეკების ახალი კონცეფცია მოითხოვდა კადრების მომზადების და გადამზადების ძირეულ ცვლილებებს.

საქართველოში უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების ისტორია 1938 წლიდან იღებს სათავეს, როცა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობა იქნა შემოღებული

და შესაბამისი კათედრა შეიქმნა, თუმცა ეს მხოლოდ საწყისი იყო და, ცხადია, პირველი ნაბიჯი შედარებით მოკრძალებული იქნებოდა. კათედრამ, რომელმაც 80 წლის წინათ დაიწყო არსებობა, ამ ხნის განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა. კათედრაზე მუშაობდნენ: გორგი გიორგიძე (კათედრის გამგე), გიორგი ბაქრაძე, ივანე ციციშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და თბილისის დიდი ბიბლიოთეკებიდან მოწვეული სპეციალისტები.

1954 წელიდან, კათედრის წევრები: გ.გიორგიძე, გ.ბაქრაძე და ნ. ლორთქიფანიძე, რომლებმაც დაცული ჰქონდათ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე იწყებენ მუშაობას. კვლავ გრძელდება პრაქტიკოს მუშაკების მოწვევა საათობრივი ანაზღაურების წესით. სწორად აქედან დაიწყო მოქმედება სამივე განყოფილება დღის სტაციონარი, საღამოს სტაციონარი და დაუსწრებელი სწავლება.


**კათედრის გამგეები**



გიორგი გიორგიძე



ნიკო ლორთქიფანიძე



გივი მიქაძე



ალექსანდრე ლორია



ზემფირა ტყაბლაძე



ინგა ფილაური ლორია


სპეციალისტთა მომზადების გაფართოებამ გამოიწვია კათედრის ცალკე გამოყოფა, რაც 1961 წელს განხორციელდა. კათედრის გამგედ არჩეული იქნა დოც. ნ. ლორთქიფანიძე. წევრები- დოც. გ.ბაქრაძე და დოც. გ. გოირგიძე, კათედრას შეემატა აქამდე ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი ლაბორანტი ალ. ლორია, რომელიც ასისტენტად იქნა გადაყვანილი. კათედრაზე მირებულ იქნა ერთი ლაბორანტი, და ამგვარად დაიწყო კათედრის მეორე სიცოცხლე.

კათედრა საქიროების შემთხვევაში კვლავ იწვევდა დიდი ბიბლიოთეკების გამოცდილ სპეციალისტებს. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობა საქართველოში ერთადერთი იყო

თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტად გადაკეთდა, ხოლო 70-იან წლებში ეწოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა. იგი ექვემდებარებოდა ქართული ლიტერატურის დეკანატს, ვიდრე არ შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დამოუკიდებელი დეკანატი.

სპეციალობა თანდათან იხვეჭდა ავტორიტეტს, რაც გაპირობებული იყო მისი მაღალორგანიზებული საქმიანობითა და პროფესიონალიზმით. უნდა ითქვას, რომ ის ყურადღების ცენტრში იყო სასწავლო-სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. ამის ნათელი დადასტურებაა 1958 წელს ინსტიტუტის დაარსების


### კათედრის წევრები




გიორგი ბაქრაძე



ფილიმონ ყურაშვილი




მიხეილ საჯაია



ოთარ ოსაძე



ლევან კვირიკაშვილი



გიორგი ბარბაძე



მზია ჭელიძე



ქეთევან გოგბაძე



ალა ოთაროვა



დარეჯან კოტეტიშვილი



ნელი მუსერიძე



მზია ტოგონიძე

წელს, რომელიც სპეციალობის დაარსებას ემთხვევა, სასწავლებელში აკადემიკოსების აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის დასწრება ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავის საზეიმო სხდომაზე. ისინი დაინტერესდნენ ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობით და სტუდენტთა კონტიგენტით და სკმაო ხანს საუბრობდნენ სპეციალისტებთან, შეხვდნენ სტუდენტებსაც.

კათედრა მისი აღდგენის დღიდან მეტი ენერგიით შეუდგა მეთოდოლოგიური და სამეცნიერო მუშაობას. არსებული მოთხოვნი-

ლებების შესაბამისად სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკარები მზადდებოდნენ ზოგჯერ სამეცნიერო ბიბლიოთეკების პროფილით, ზოგჯერ მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის. ბოლო ხანებში კათედრის მომზადება დაიწყო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უცხოენების სპეციალიზაციით. რამდენიმე სტუდენტ სტაჟირებაზე გერმანიაშიც იქნა გაგზავნილი. საერთოდ კათედრას სასარგებლო ურთიერთობა ჰქონდა კავშირის დიდ ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე უცხოელ სპეციალისტებთან, რომ-

ლებიც ფაკულტეტს სტუმრობდნენ და კოლეგებთან კონტაქტის გარდა, ხვდებოდნენ სტუდენტებს და მათთან საუბრებს ატარებდნენ, ესწრებოდნენ კათედრის მიერ გამართულ კონფერენციებს, სადაც სიტყვებით გამოდიოდნენ და თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ.

კათედრამ მისი არსებობის განმავლობაში, განსაკუთრებით 70-90 წლებში, დიდი მუშაობა გასწია პროფესიული წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების გამოცემისათვის. იქმნებოდა სახელმძღვანელოები და მეცნიერული ნარკვევები ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის მიმართულებით სხვადასხვა ციკლების მიხედვით. გამოქვეყნდა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილი. ყოველწლიურად ხდებოდა კათედრის წევრთა წლიური გეგმიური სამეცნიერო ნაშრომების განხილვა. კათედრის წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში, ატარებდნენ პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციებს რესპუბლიკის მაშტაბით. გამოიცემოდა მეთოდური მასალები, დგებოდა პროგრამები, ბიბლიოგრაფიული საძიებლები. ამ პროდუქციის დიდ ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და გამოიყენება ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკების სპეციალისტების მიერ.

როგორც წესი, კათედრის წევრები პერიოდულად იგზავნებოდნენ გრძელვადიან კურსებზე ქვეყნის სხვადასხვა დიდ ბიბლიოთეკებში, გადიოდნენ სტაჟირებას. კათედრის ინიციატივით არაერთი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გამართულა რესპუბლიკის მაშტაბით. კათედრის წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადებით მუდმივმოქმედ კურსებზე, საშუალო სპეციალური განათლების ბიბლიოთეკართა მოსამზადებელ ფაკულტეტზე გამოცდილი სპეციალისტები იყვნენ სხვადასხვა ბიბლიოთეკის კონსულტანტები. 70-იან წლებიდან კათედრას პერიოდულად გამოეყოფოდა ადგილი ასპირანტის მოსამზადებლად ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. არა ერთმა ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა შორის სტატიის

ავტორიცაა. რაც შეეხება კათედრის წევრებს, თითქმის ყველა მათგანს დაცული ჰქონდათ სამეცნიერო ხარისხი.

სპეციალობის არსებობის მთელ მანძილზე კათედრას ხელმძღვანელობდნენ: გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. მიქაძე, ალ. ლორია, ზ. ტყაბლაძე, ი. ფილაური. კათედრაზე წარმატებით მოღვაწეობდნენ კათედრის წევრები: ფ. ყურაშვილი, ან. კასრაძე, ო. კასრაძე, ალ. ოთაროვა, მ. საჭაია, ქ. ფოფხაძე, დ. კალანდაძე, ნ. მუსერიძე, ქ. მიქაძე, გ. ბარბაქაძე, ო. ოსაძე, ლ. კვირიკაშვილი, მ. ქელიძე, დ. კალანდაძე, დ. კოტეტიშვილი, ნ. მჭედლიშვილი. კათედრასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ბიბლიოთეკების ცნობილ სპეციალისტებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ სტუდენტთა მომზადების საქმეში - ვ. უზნაძე, დ. აბაშიძე, გრ. ჩხაიძე, ე. თორაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე, ც. კალმახელიძე, გ. თაყნიაშვილი და სხვა. ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები, რომლებიც ხშირად მონვეულნი იყვნენ სახელმწიფო გამოცდებზე და თავიანთ ბიბლიოთეკებში ვაკანსიებზე ღებულობდნენ წარმატებულ კურსდამთავრებულებს.

კათედრის მიერ გამოშვებულ სტუდენტთა უმრავლესობა დღესაც აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობაში. მათი დიდი ნაწილი ამჟამადაც წარმატებით ეწევა საქმიანობას და წვლილი შეაქვთ საერთო საქმის განვითარებაში.

ამჟამად მზადდება კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებული მასალის ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის, რაც ნაწილობრივ მაინც შეავსებს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტისა და კათედრის გაუქმებით გამოწვეულ უდიდეს ხარვეზს მომავალი სპეციალისტების აღზრდის საქმეში.

კათედრის წევრთა მიერ გამოქვეყნებული ძირითადი ნაშრომები:

1. ყურაშვილი, ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1921-1974 წწ. : მონოგრაფია / - თბ. : მეცნიერება, 1976. -389გვ.

2. კეკელია, შ. -ა.ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედაგოგიკის 25 წლისთავი. ინსტიტუტის „შრომები“, 16, თბ., 1962.

1. გიორგიძე, გ. ბიბლიოთეკების დაკომპლექტება / რედაქტ.: ა. გაბისონია ; ბიბლიოთეკათმცოდნეობის და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდური კაბინეტი. - თბ., 1940. - 99გვ.
2. გიორგიძე, გ. თვითგანათლება და დამოუკიდებელი მუშაობა წიგნზე / - თბ. : საქ. სახელმწ. წიგნის პალატის გამ-ბა, 1948 - 27გვ.
3. გიორგიძე, გ. საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. - თბ. : საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ., 1962. - 203გვ.
4. გიორგიძე, გ. ქართული ფაქსიმილიური გამოცემები. - [თბ.]: თბილ.უნ-ტის გამ-ბა, წ.ა. - 12 გვ.
5. გურგენიძე, ნ. ყურაშვილი, ფ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები : (ბიბ-კების მუშაკებისა და მკითხველთა დასახმ.)
6. გურგენიძე, ნ. საბიბლიოთეკო საქმე XIX საუკუნის საქართველოში : დის. ისტ. მეცნ. კანდ. სამეც. ისტორიისა და ეთნოგრ. ინ-ტი. - თბ., 1997. - 126გვ. - ბიბლიოგრ.
7. გურგენიძე, ნ.ლორია ალ. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია / - თბ. - ნაწ. 1 : ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, კატალოგიკა, ფონდების ორგანიზაცია. - საბჭ. საქართველო, 1983. - 113 გვ.. - ნაწ. 2 : (მკითხველებთან მუშაობა. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა). 1996. - 95 გვ
8. გურგენიძე, ნ. საქ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეც. ბ-კა ; რედ.: ა. ლორია. - თბ. : მეცნიერება, 1996. - 161 გვ.
9. გ. ათწლიადი კლასიფიკაცია : შემოკლებული და გადასაყვანი ცხრილები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის / საქ. ეროვნ. ბ-კა, პედ. უნ-ტის ბიბლიოთეკათმცოდ. და ბიბლ. კათედრა ;+ გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე ; რედ.: ს. პულუზაშვილი]. - თბ., 1996. - 21 გვ.
10. თაყნიაშვილი, გ. ბეჭდვით ნაწარმოებთა მრავალმხრივი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში : მეთოდ. რეკომენდაციები მასობრივი ბიბ-კის დასახმარებლად გ. თაყნიაშვილი ; რედ.: მ. ცომიაია]. - თბ., 1986. - 17გვ.
11. თაყნიაშვილი, გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა : სახელმძღვ. სპეც. საშ. სასწ. / [ავტ. ა. ლორია, მ. ტოგონიძე, გ. თაყნიაშვილი და სხვ.]; [რედ.: ნ. გურგენიძე] ; საქ. რესპ. კულტ. სამინისტრო. - თბ., 1992 (სტ. N1). - 377გვ.
12. თაყნიაშვილი, გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში (1900-1985 წ.წ) / - თბ. : მეცნიერება, 1989. - 148 გვ. - საძიებელი: გვ. 145-147.
13. თაყნიაშვილი, გ. ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია საჯარო სკოლებში : პრაქტ. სახელმძღვ. / საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბ-კა, ბიბლიოთეკათმცოდნ. და საბიბლ. სტანდარტების განყ-ბა ; [შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, თ. იოსავა ; სამეცნ. რედ. ა. ლორია]. - თბ., 2010. - 56 გვ.
14. კვირიკაშვილი, ლ. არალეგალური ლიტერატურა რევოლუციამდე საქართველოში / - თბ. : საბჭ. საქართველო, 1973. - 169 გვ.
15. კვირიკაშვილი, ლ. ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა და ანბანური კატალოგი : [სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმც. ფაკ-ტის სტუდენტებისათვის]. - მე-2 შესწ. და გადამუშ. გამოც.. - თბ. : განათლება, 1978. - 285გვ.
16. კვირიკაშვილი, ლ. პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების აღწერა : ლექციები ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის კურსიდან ბიბლიოთეკათმცოდნ. ფაკ. პირველი კურსის სტუდ. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1962. - 40გვ
17. ლორთქიფანიძე, ნ. ბეჭდური გრაფიკის კატალოგიზაცია : პრაქტიკუმი ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკ-ტებისათვის - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1967. - 53გვ.
18. ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია : მოკლე კურსი. - თბ.: ცოდნა, 1962 - 183გვ.
19. ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები სსრ კავშირში / საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბ-კა. - თბ. 1960. - 105გვ.
20. ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოთეკის მუშაობის დაგეგმვა / საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ. : მეცნიერება, 1969. - 48გვ.
21. ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოთეკის კატალოგების ორგანიზაცია : სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნ. ფაკ-ტის სტუდ. - ნაწ. 1 : რეალური კატალოგები. - თბ.: ცოდნა, 1961. - 166გვ.
22. ლორთქიფანიძე, ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მისი საგანი და ამოცანები /- თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1967. - 11გვ.

23. ლორთქიფანიძე, ნ. საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციის სისტემები / რედ. ნ. ქელიძე. - თბ., 1940. - 90გვ.
24. ლორთქიფანიძე, ნ. საგნობრივი კატალოგი / საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ., 1959. - 98გვ.
25. ლორთქიფანიძე, ნ. სისტემატური კატალოგი / საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ., 1957. - 116გვ.
26. ლორთქიფანიძე, ნ. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია = Организация библиотечного дела / ა. რამიშვილის რედაქციით ; საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი. საბიბლიოთეკო სამმართველო. - თბ., 1939. - ნაწ. 1 = Часть 1. - 1939. - 69 გვ.
27. ლორთქიფანიძე, ნ. ცენტრალიზებული კატალოგიზაცია / საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბ-კა. - თბ., 1961. - 47გვ.
28. ლორია, ა. კითხვა როგორც კვლევის საგანი : (ლექტოლოგ. პრობლემატიკა) / [რედ.: ნ. გურგენიძე] ; საქ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეც. ბ-კა. - თბ. : მეცნიერება, 1993. - 152 გვ.
29. ლორია, ა. კითხვის კულტურა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები / საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა საზ-ბა. - თბ., 1984. - 27გვ.
30. ლორია, ა. კითხვის ფსიქოლოგიური კვლევის შესახებ : ბიბლიოფსიქოლოგია / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ. : მეცნიერება, 1979. - 84გვ.
31. ლორია, ა. მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაცია / საქ. სსრ მეცნ. აკადემია. ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ. : მეცნიერება, 1985. - 159გვ.
32. ლორია, ა. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში (1921 წლამდე) / რედ. ს. ხადური ; - თბ.: მეცნიერება, 1974. - 383გვ. ; 22სმ.. - საძიებლები: გვ.360-382.
33. ლორია, ა. საბიბლიოთეკო საქმის ისტორია : [სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნ. და საინფ. ტექნოლოგიების სპეც. სტუდ.] / ა. ლორია, მ. სურმავა ; [რედ.: ნ. გომართელი]. - თბ., 2006. - (ნაკვ. 1). - 2006. - 183 გვ.. - ნაკვ. 2. - 2007. - 93 გვ.
34. ლორია, ა., გურგენიძე ნ. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია / ნაწ. 1 : ზოგადი ბიბლიოთეკათმცოდნეობა, კატალოგიკა, ფონდების ორგანიზაცია.- თბ. - საბჭ. საქართველო, 1983 (სტ. N 4). - 113 გვ. - ნაწ. 2 : (მკითხველებთან მუშაობა. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა). - თბ.- საქართველო, 1996. - 95 გვ.
35. ოსაძე, ო. ათნილადი კლასიფიკაცია : შემოკლებული და გადასაყვანი ცხრილები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის / საქ. ეროვნ. ბ-კა, პედ. უნ-ტის ბიბლიოთეკათმცოდ. და ბიბლ. კათედრა [შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე ; რედ.: ს. პულუზაშვილი]. - თბ., 1996. - 21 გვ.
36. ოსაძე, ო. კვირიკაშვილი, ლ. ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა და ანბანური კატალოგი : [სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმც. ფაკ-ტის სტუდენტებისათვის]. - მე-2 შესწ. და გადამუშ. გამოც. / ოსაძე, ო. - თბ. : განათლება, 1978. - 285გვ.
37. ოსაძე, ო. ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერა და ანბანური კატალოგი : [სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნ. ფაკ. სტუდ.] / კვირიკაშვილი, ლ. ოსაძე, ო. - თბ. : ცოდნა, 1964. - 242გვ. : ილ.
38. ოსაძე, ო. საბიბლიოთეკო კატალოგები : (სახელმძღვანელო) / რედ.: ა. ლორია]. - თბ. : ქალდეა, 1995. - 160გვ.
39. ოსაძე, ო. სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდური დამუშავება / საქ. სსრ კულტ. სამ., საქ. სსრ სახელმწ. საჯარო ბიბ-კა. - თბ. : 1954. - 20გვ.
40. ოსაძე, ო. ყურაშვილი, ფ. სასკოლო ბიბლიოთეკა : მეთოდური სახელმძღვანელო / - თბ. : განათლება, 1967. - 98გვ.
41. ოთაროვა, ა. ბიბლიოგრაფიული მუშაობა ბიბლიოთეკაში : სალექციო კურსი ბიბლიოთეკათმცოდნ. და ბიბლიოგრაფმცოდნ. სპეც. სტუდ. / [რედ.: ა. ლორია] - თბ., 1996. - 104გვ.
42. ოთაროვა, ა. პერიოდული გამოცემების რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები : სალექციო კურსი ბიბლიოთეკამც. და ბიბლიოგრაფმც. სპეც. დაუსწრ. განყ. სტუდ. - თბ., 1988. - 39გვ.
43. ოთაროვა, ა. წიგნის ზოგადი რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები : სალექციო კურსი ბიბლიოთეკათმცოდნ. და ბიბლიოგრაფმცოდნ. სპეც. დაუსწრ. განყ. სტუდ. - თბ., 1989. - 38გვ.
44. ტოგონიძე, მ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა : სახელმძღვ. სპეც. საშ. სასწ. / [ავტ. ა. ლორია, მ.

- ტოგონიძე, გ. თაყნიაშვილი და სხვ.] ; [რედ.: ნ. გურგენიძე] - თბ., 1992 . - 377გვ.
45. ტოგონიძე, მ. ალექსანდრე ლორია = Алехсандер Лорია = Александр Лория : ბიობიბლიოგრაფია : ეძღვნება დაბადების 80 წლისთავს ; შემდგ.: მ. ტოგონიძე, ნ. აბუაშვილი ; რედ. გურამ თაყნიაშვილი ; ბიბლიოგრ. რედ. მ. მიქაბერიძე. - [მე-2 შევსებული გამოცემა]. - თბ., 2014. - 108 გვ.
  46. ტოგონიძე, მ. გურამ თაყნიაშვილი = Гурამ Такниашвили = გურამ თაკნიაშვილი : ბიობიბლიოგრაფია / საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბლიოთეკა, მ. ტოგონიძე, ნ. აბუაშვილი ; რედ.: ალ. ლორია, ც. კალმახელიძე ; ბიბლიოგრ. რედ. ნ. ქავთარაძე. - თბ., 2013. - 36 გვ.
  47. ტოგონიძე, მ. ქალაქ თბილისის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა, ორგანიზაცია და მართვა : დის... პედ. მეცნ. კანდ. / თბ. სახ. პედ. ინ-ტი ; - თბ., 2002. - 137გვ.
  48. ტყაბლაძე, ზ. რუსული საბავშვო ლიტერატურის თარგმანები რევოლუციამდელ საქართველოში : ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ანალიზი) : დის... პედ. მეცნ. კანდ. - თბ., 1974. - 230გვ.
  49. ტყაბლაძე, ზ. რუსული საბავშვო ლიტერატურის თარგმანების ანოტირებული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია (1739-1928) / [რედ.: მ. ტოგონიძე]. - თბ., 2004. - 94გვ.
  50. ტყაბლაძე, ზ. საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია : სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნ. და ბიბლიოგრაფ. სპეც. სტუდ. / [რედ.: მ. ქელიძე]. - თბ., 2005. - 72 გვ.
  51. ფილაური, ი. ანოტირების მეთოდიკა : სასწ.-მეთოდ. სახელმძღვ. / [რედ.: გ. თაყნიაშვილი] ; თბილ. სახელმწ. პედ. უნ-ტი, ბიბმცოდნ. და ბიბლიოგრაფიის კათედრა. - თბ. : ცის ნამი, 2001. - 79გვ.
  52. ფილაური, ი. საბიბლიოთეკო ფონდები : (სასწ. მეთოდ. სახელმძღვ.) / [რედ.: ნ. გურგენიძე] ; საქ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეც. ბ-კა.. - თბ. : მეცნიერება, 1997. - 216 გვ.
  53. ფილაური, ი. საქართველოს წარსული ფოტო- და კინო დოკუმენტებში : საარქივო მასალის მიმოხილვა - ანალიზი (დამხ. სახ-ო) / შ. ინასარიძე, ი. ფილაური-ლორია. - თბ., 2006. - 119 გვ.
  54. ფოფხაძე, ქ. ბიბლიოგრაფიული მუშაობა ბიბლიოთეკაში : სალექციო კურსი ბიბლიოთეკათმცოდნ. და ბიბლიოგრაფმცოდნ. სპეც. სტუდ. / ოთაროვა, ა. ფოფხაძე, [რედ.: ა. ლორია] ; - თბ., 1996. - 104გვ.
  55. ფოფხაძე, ქ. პირადი ბიბლიოთეკა : (მეთოდ. რეკომენდაციები) / ქ. ფოფხაძე ; [რედ. ვ. ხუნდაძე] ; საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა საზ-ბა. - თბ., 1986 . - 24გვ.
  56. ყურაშვილი, ფ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის საფუძვლები : (ბიბ-კვების მუშაკებისა და მკითხველთა დასახმ.) / საქ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეც. ბ-კა ; [რედ.: ა. ლორია]. - თბ. : მეცნიერება, 1996. - 161 გვ.
  57. ყურაშვილი, ფ. ბიბლიოთეკების ამოცანები ახალ მოთხოვნათა დონეზე. - თბ. : ხელოვნება, 1987. - 34გვ.
  58. ყურაშვილი, ფ. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განვითარება საბჭოთა საქართველოში / - თბ. : საბჭ. საქართველო, 1978. - 175გვ.
  59. ყურაშვილი, ფ. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საფუძვლები : მოკლე კურსი : [სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკ-ტის სტუდენტებისათვის]. - თბ. : განათლება, 1965. - 143გვ.
  60. ყურაშვილი, ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში, 1921-1974 წწ. : მონოგრაფია / - თბ. : მეცნიერება, 1976. - 389 გვ.
  61. ყურაშვილი, ფ. საბიბლიოთეკო საქმის ეკონომიკა : (სასწავლო მეთოდ. სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის სპეც. სტუდენტთა დასახმარებლად) / - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1985. - 108გვ.
  62. ყურაშვილი, ფ. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა : [დამხმარე სახელმძღვ. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეც. სტუდენტებისათვის]. - თბ. : განათლება, 1982. - 120გვ.
  63. ყურაშვილი, ფ. სასკოლო ბიბლიოთეკა : მეთოდური სახელმძღვანელო. - თბ. : განათლება, 1967. - 98გვ.



**გურამ თაყნიაშვილი**  
**ნანა ქავთარაძე**

## **კახეთის მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება დახასიათება რაოდენობითი მაჩვენებლებით**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზი საჭირო და აუცილებელია არსებული მდგომარეობის შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის. ასეთი დახასიათებისათვის საჭიროა საჯარო ბიბლიოთეკების დირექცია (მენეჯერი, დირექტორი) ფლობდეს არსებულ სიტუაციას. უპირველესად მოპოვებული უნდა იქნეს საბიბლიოთეკო ქსელის რაოდენობითი მაჩვენებლები: რამდენია მოქმედი ბიბლიოთეკა, როგორია ქსელის განთავსების, განლაგების პრინციპები, რამდენად შეესაბამება იგი მუნიციპალიტეტის განსახლების რეალურ მდგომარეობას, რამდენი სოფელი თუ დასახლებული პუნქტია მომსახურების გარეშე, როგორია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მოქმედი საბიბლიოთეკო ქსელი რამდენად შეესაბამება მოსახლეობის თანამედროვე საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებს, როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმალური განლაგება ნიშნავს, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი თითოეული სოფელი, ქალაქის უბანი, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებით, სად და რა დონეზეა დარღვეული მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების კუთხით.

როგორც ცნობილია, საჯარო ბიბლიოთეკებში ძირეული ცვლილებები დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვასთან. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული, საჯარო ბიბლიოთეკებმა შეიძინეს მრავალფეროვანი ფუნქცია. ისინი წარმოადგენენ ღია სარკმელს ინფორმაციის ნაკადში. ამ ბიბლიოთეკებში ორგანიზებული საბიბლიოთეკო

დოკუმენტაცია ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. საბიბლიოთეკო ქსელის დახასიათებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს მომსახურების კუთხით კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით არსებულ მდგომარეობას. საჯარო ბიბლიოთეკებში ტრადიციული ინფორმაციის წყაროების გვერდით, ადგილს იკავებს ელექტრონული რესურსები. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ისარგებლოს სხვა დიდი ფონდების მქონე ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო რესურსებით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკების უპირველეს ამოცანას შეადგენს შეინარჩუნოს ბეჭდური წიგნის ადგილი კომპიუტერულ აბლაბუდაში. ის ბიბლიოთეკები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ინტერნეტს და ბეჭდურ პროდუქციას, თავის მხრივ, გამოირჩევიან მომსახურების მრავალფეროვნებითა და მკითხველთა ინტელექტუალური ზრდის დონით, მათი ინფორმირებულობის მაჩვენებლებით. ბეჭდური და ელექტრონული რესურსების გონივრული გამოყენება დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის პროფესიულ დახელოვნებაზე.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმალური მოდერნიზაცია დაიწყო შედარებით მოგვიანებით, მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში. მანამდე აღნიშნული ქსელი ფრიად დაზარალდა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ბიბლიოთეკების გაუქმებით, დახურვით, ყოველფერადი იურიდიული საფუძვლებისა და კანონზომიერების უგულებელყოფით. კახეთის მხარეში 2003 წლისათვის ფუნქციონირებდა 225 საჯარო ბიბლიოთეკა, 2008 წლისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა 71-ს; აღნიშნულ წლებში საბიბლიოთეკო

ქსელი ძირითადად შეინარჩუნეს თელავის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში. მხოლოდ ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკები ფუნქციონირებდა ყვარლის, საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. ნიშანდობლივია, რომ 2012 წლის შემდეგ ფაქტიურად შეწყდა საჯარო ბიბლიოთეკების გაუქმება. ამის შემდეგ დაიწყო მათი აღდგენა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში. კახეთის მხარეში გაუქმებული ბიბლიოთეკები აღადგინეს 2016 წლისათვის ახმეტაში -5, ლაგოდეხში - 3, ყვარელში - 3, გურჯაანში - 2.

თანამედროვე ეტაპზე კახეთის მხარის საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

	კახეთის მხარე	ბიბლ. რაოდენ 2000 წ.	2003 წ.	2008 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017წ.	2018 წ.
	მუნიციპალიტეტი											
1.	თელავი	35	33	26	26	26	26	26	26	21	27	27
2.	საგარეჯო	55	37	1	3	3	3	3	3	3	3	3
3.	გურჯაანი	41	34	1	8	8	8	10	10	10	13	13
4.	ყვარელი	26	21	1	3	3	3	3	3	3	4	4
5.	სიღნაღი	33	29	19	19	19	19	21	21	20	20	20
6.	ახმეტა	30	30	2	7	7	7	8	8	12	13	13
7.	ლაგოდეხი	25	22	3	3	3	3	6	6	6	8	6
8.	დედოფლისწყარო	22	19	18	14	14	14	14	14	14	14	14
	<b>ჯამი =</b>	<b>267</b>	<b>225</b>	<b>71</b>	<b>83</b>	<b>83</b>	<b>84</b>	<b>91</b>	<b>91</b>	<b>97</b>	<b>102</b>	<b>99</b>

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მხარის საბიბლიოთეკო ქსელი ყველაზე მეტად დაზარალდა 2008 წელს. გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენა 2012 წლის შემდეგ ვერ შეძლეს საგარეჯოს და ყვარლის მუნიციპალიტეტებში. საჯარო ბიბლიოთეკების გაუქმება ყველაზე მეტად უარყოფითად აისახა სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებაზე. აქ არ იქნება უადგილო მკითხველს შევახსენოთ, რომ 1992 /93 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 3000-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა. იქ, სადაც არ იყო სტაციონარული ბიბლიოთეკა პატარა სასოფლო დასახლებებსა და პუნქტებში, მომსახურება წარმოებდა მოძრავი ბიბლიოთეკებისა და გაცემის პუნქტების საშუალებით. საბჭოური წიგნი მაქსიმალურად იყო მიახლოებული მოსახლეობასთან. დღეისათვის ქვეყანაში არა გვაქვს არასტაციონარული მომსახურების ფორმები, ათასობით სოფელი და მცირე დასახლების ადგილები დარჩენილია საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების გარეშე. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის რაოდენობითი მაჩვენებლებიდან ყველაზე დიდი უარყოფითი მაჩვენებელია ის, თუ რამდენი სოფელი, დასახლებული პუნქტია დარჩენილი მომსახურების გარეშე, რამდენია მათში მოსახლეობის რაოდენობა. კახეთის მხარეში ყველა სოფელი უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო საინფორმაციო მომსახურებით თელავისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. დანარჩენ 6 მუნიციპალიტეტში მომსახურების გარეშე დარჩენილია 78 სოფლის დასახლება.

	მუნიციპალი-ტეტი	ბიბლიოთეკების რაოდენობა				მოსახლეობის რაოდენობა		მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლები	
		2000 წ.	დაიხურა 2012 წ.	აღდგა 2012 წ.	არის 2018 წ.	ცენტრ-ში	სოფლებში	სოფლ. რაოდ.	მოსახლ. რაოდ.
1.	თელავი	35	14	13	27	21200	49760	----	----
2.	საგარეჯო	52	52	--	3	12266	54747	16	30294
3.	გურჯაანი	41	31	3	13	10129	65818	16	27869
4.	ყვარელი	26	23	14	4	11900	2978	8	15574

5.	სიღნაღი	33	13	20	20	8900	34304	16	46285
6.	ახმეტა	30	18	1	13	11645	38411	14	5826
7.	ლაგოდეხი	25	19	2	6	5000	50093	8	16955
8.	დედოფლისწყარო	22	8	8	14	77724	23087	----	----
	<b>სულ ჯამი =</b>	<b>264</b>	<b>178</b>	<b>61</b>	<b>100</b>			<b>78</b>	

როდესაც სოფლების საბიბლიოთეკო მომსახურების შესახებ ვმსჯელობთ, ყურადღება უნდა მიექცეს IFLA - ს და იუნესკოს რეკომენდაციებს საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობის პარამეტრების შესახებ. ასეთი რეკომენდაციებით თუ ვიმსჯელებთ, ის დასახლებული ადგილები, რომლებიც სტაციონალური ბიბლიოთეკებიდან დაშორებულნი არიან 3-5 კილომეტრით, შეიძლება ჩაითვალოს მომსახურების გარეშე. ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, ჩვენს პირობებში კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს. აქსიომადაა მიჩნეული დებულება და პრინციპები იმის შესახებ, რომ მკითხველს ესაჭიროება წიგნი თუ სხვა სახის წყარო თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ დროს, როდესაც მას სჭირდება. თუ 1000 მცხოვრებელიანი სოფელი დაშორებულია 5 კმ-ით სტაციონალური ბიბლიოთეკიდან, აქ საეჭვოა მკითხველთა ოპერატიული მომსახურება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კახეთის მხარის ის სოფლები, სადაც გაუქმდა ბიბლიოთეკები, ხასიათდებიან მოსახლეობის დიდი რაოდენობითა და ეროვნული შემადგენლობის ნაირსახეობით. მაგალითად, მათი დიდი უმრავლესობა სტაციონარული ბიბლიოთეკიდან დაშორებულია 5-10 და მეტი კილომეტრით. მაგალითად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ასეთი სოფლებია: სოფ. მანავი -3372 მცხოვრებლით, სოფ. იორმულანლო - 6400 აზერბაიჯანენოვანი მოსახლეობით, ბადიური - 2900 მცხოვრებლით, გიორგიწმინდა - 2500 მცხოვრებლით. სულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 16 სოფელია დარჩენილი მომსახურების გარეშე. მათში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 30 ათასზე მეტს. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 16 სოფელში მომსახურების გარეშე დარჩენილია 28000-ზე მეტი მოსახლე. სულ კახეთის მხარის 78 სოფელში, სადაც გაუქმდა ბიბლიოთეკები, მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს 143000-ს. სოფლების გაუქმებული ბიბლიოთეკების ფონდების ერთი ნაწილი ადგილზეა, ერთი ნაწილი დროებითი სარგებლობისათვის გადაეცათ საჯარო სკოლებს. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მოსახლეობის უფრო დეტალური ანალიზი უნდა წარმოადგინონ მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა. აქ მხედველობაშია მისაღები მანძილი უახლოეს ბიბლიოთეკამდე, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ურთიერთობა საჯარო სკოლებთან. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა იმ სოფლებში, სადაც არც ბიბლიოთეკაა და არც საჯარო სკოლა. ასეთი მდგომარეობის დახასიათება უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში საჯარო ბიბლიოთეკებისადმი ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, „ბიბლიოთეკები ადგილობრივი თვითმმართველობისათვის“ ფაქტიურად, გარდატეხა შეიტანა საჯარო ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკისა და ამ ბიბლიოთეკების ფუნქციების გამრავალფეროვნებაში. აღნიშნულ პროექტებს მხარი დაუჭირეს IREX-მა, საქართველოს პრეზიდენტის აპარატმა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ.

კახეთის მხარეში ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა ხდებოდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, პარალელურად წარმოებდა ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება. თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 2003 წლიდან ფუნქციონირებდა IREX-ის კომპიუტერული პროგრამების სწავლების ცენტრი, რომელმაც დაფინანსება შეწყვიტა 2010 წელს. ამის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბდა ინტერნეტის მოხმარებისა და კომპიუტერული პროგრამების სწავლების ცენტრი.

ამჟამად კახეთის მხარის მუნიციპალიტეტებში კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა ასეთია:

	მუნიციპალიტეტის დასახელება	სულ ქსელის მასშტაბით	ცენტრ. ბიბლიოთეკაში	სოფლის ბიბლიოთეკებში	ჩართულია ინტერნეტ-ში
1.	თელავი	36	19	17	11
2.	საგარეჯო	7	5	2	7
3.	გურჯაანი	26	16	10	26
4.	ყვარელი	4	2	2	3
5.	სიღნაღი	11	9	2	3
6.	ახმეტა	8	3	5	-
7.	ლაგოდეხი	3	1	2	1
8.	დედოფლისწყარო	10	3	7	10
	<b>სულ ჯამი =</b>	<b>105</b>	<b>58</b>	<b>47</b>	<b>61</b>

სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციამ მკვეთრად აამაღლა მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ხარისხი. უფრო ოპერატიული გახდა პირველწყაროებთან წვდომა, არსებული ელექტრონული რესურსების მიზანშეწონილი გამოყენება. საჯარო ბიბლიოთეკების მრავალფუნქციურმა მუშაობამ მიიზიდა მკითხველთა ახალი ნაკადი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და მრავალმხრივი მომსახურების მიმართულებით დიდ სამუშაოებს ატარებენ მუნიციპალიტეტების ცენტრებში გახსნილი იუსტიციის სახლები. კახეთის მხარეში იუსტიციის სახლები გახსნილია თელავში, გურჯაანში, ყვარელში და ლაგოდეხში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ კახეთის მხარის სოფლებში გახსნილია და მოქმედებს საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრები: თელავის მუნიციპალიტეტში სოფ. სანიორეში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფლებში კაჭრეთში და შაშიანში, ყვარელის მუნიციპალიტეტში სოფ. შილდაში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფ. წნორში და ნუკრიანში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ არხილოსკალოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფ. იორმულანლოში და სოფ. უდაბნოში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფ. კაბალაში. საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრთან ზოგან არის ბიბლიოთეკები. თავისთავად ასეთ ცენტრებთან ადგილობრივმა სასოფლო ბიბლიოთეკებმა უნდა დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა. მათი მონაწილეობა ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში უფრო მეტად გაამრავალფეროვნებს ბიბლიოთეკის საქმიანობას. თავისთავად ბიბლიოთეკა ისედაც ინფორმაციის გავრცელების კერაა. აქ უფრო წიგნთან არის ეს ყველა პროცესი დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტებში საბიბლიოთეკო ქსელის წარმატებით ფუნქციონირებას განაპირობებს ბიბლიოთეკართა პროფესიული დახელოვნება, მათი პროფესიული კვალიფიკაცია. საჯარო ბიბლიოთეკებში ამჟამად მოღვაწეობენ უმაღლესი სპეციალური განათლების, უმაღლესი ზოგადი, საშუალო სპეციალური და საშუალო არასპეციალური განათლების მქონე თანამშრომლები. უკანასკნელ პერიოდში, როგორც კადრების შემადგენლობის ანალიზი გვიჩვენებს, ბიბლიოთეკებში მუშობენ საშუალო განათლების პირებიც. უნდა შევნიშნოთ, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებად ბოლო წლებში მოვიდნენ ზოგადი უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც შესანიშნავად უძღვებიან ქსელის მუშაობას. სისტემაში დაგვრჩა და წარმატებით მუშაობენ გამოცდილი სპეციალისტები. გარდამავალ პერიოდში, როდესაც საჯარო ბიბლიოთეკებში დაინერგა კომპიუტერული ტექნოლოგია, აუცილებელია ბიბლიოთეკართა ცოდნის დონის გადაიარაღება. ტრადიციულ საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმებს დაემატა სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები, რომელთა შემოქმედნი თვითონ ბიბლიოთეკარებია. მკითხველებთან მუშაობაში ბიბლიოთეკები წარმატებით იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. კომპლექსურ საბიბლიოთეკო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ საჯარო სკოლები, მოსწავლეები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

თანამედროვე ეტაპზე კახეთის მხარის ბიბლიოთეკებში მომუშავე ბიბლიოთეკართა პროფესიული კვალიფიკაცია ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება:


	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანამშრომელთა რაოდენობა		თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაცია				
		2012 წ.	2018 წ.	უმაღლ. სპეციალ.	ზოგადი უმაღლ.	საშუალო სპეციალ.	საშუალო არასპეც.	საშუალო
1.	თელავი	50	59	-	43	16	--	--
2.	საგარეჯო	16	17	9	1	5	1	1
3.	გურჯაანი	29	25	9	7	2	7	-
4.	ყვარელი	11	14	4	4	2	3	1
5.	სიღნაღი	45	44	8	13	16	7	-
6.	ახმეტა	20	25	4	3	4	14	-
7.	ლაგოდეხი	10	9	3	2	3	1	-
8.	დედოფლის-წყარო	24	24	3	6	9	4	-

ბიბლიოთეკართა პროფესიული კვალიფიკაცია განაპირობებს დანესებულების ეფექტურ მუშაობას. ბიბლიოთეკები დამოუკიდებლად უნდა იმალეზბდნენ საკუთარ კვალიფიკაციას. კახეთის მხარის ბიბლიოთეკართა დიდმა ნაწილმა კვალიფიკაცია აიმაღლა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

## წიგნის ისტორია

ნანა ფირცხალავა

### „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა – 130



გასულ 2018 წელს 130 წელი შესრულდა ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული გამოცემის გამოქვეყნებიდან.

ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე იყო 1878 წელს პარიზიდან საქართველოში დაბრუნებული ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია, რომელიც 1879 წელს ახალდაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად იქნა არჩეული. ეს თანამდებობა მან კარგად გამოიყენა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესაგროვებლად, რათა ისინი ერთმანეთისთვის შეედარებინათ და ამ გზით დაედგინათ პოემის ახალი კრიტიკული ტექსტი. ის წლების მანძილზე აქვეყნებდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის ვრცელ ოქმებს, რითაც ძვირფასი მასალა შემოუნახა რუსთველოლოგიას.

1880 წელს შედგა ვეფხისტყაოსნის


## ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემის ბეჭდვის კომიტეტი




ილია ჭავჭავაძე



ივანე მაჩაბელი




დავით ბაქრაძე



იონა მეუნარგია



პეტრე უმიკაშვილი



რაფიელ ერისთავი

ახალი გამოცემის საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ იონა მეუნარგია, იაკობ გოგებაშვილი და რაფიელ ერისთავი. ამავე წლის 15 ნოემბერს გაზ. „დროების“ 241-ე ნომერში კომისიამ გამოაქვეყნა მონოდება და სამოქმედო პროგრამა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ქართული ლიტერატურის მოყვარულთ ვალა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, აღადგინონ ნამდვილი პოემა დიდის მეცადინეობით და მოწინებით, რა მეცადინეობითაც სხვა ხალხები ეპყრობიან თავიანთ საუკეთესო პოეტების მანუსკრიპტებს... ჩვენამდისაც გაუწევიათ ამგვარი შრომა და ბევრსა ცდილან პოემის აღდგენაზე, მაგრამ

ვერ შესძლებიათ ეშოვნათ ყველა ხელნაწერი ვეფხისტყაოსნების, საიდანაც უნდა ესარგებლნათ და ამის გამო ყველა შეცდომაც ვერ აუცდენიათ წიგნისთვის... ჩვენი მოვალეობა იქნება სხვადასხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლწერის ნიშნების შესწორება“.

ამ მიზნის მისაღწევად საინიციატივო ჯგუფი საზოგადოებისაგან ითხოვდა: „ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს ვეფხისტყაოსნის რედაქცია) ხელთნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელიც შემდგომ შესწორებისა, დაუბრუნდება პატრონს უკლებ-

ლათ და ყოვლის მიზეზის გარეშე. თბილისში მყოფთ ამ საქმის თანამგრძობელთა ვსთხოვთ, მობრძანდნენ საზოგადოების კანცელარიაში და მიიღონ მონაწილეობა რედაქციის შრომაში, რადგანაც ესეთ დიდ პასუხისგებას, როგორც არის ვეფხისტყაოსნის ხელის ხლება, ჩვენ მარტო ვერ ვიღებთ ჩვენს თავზე. გვინდა, რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფასს ნაციონალურ სიმდიდრეს“.

მეორე დღეს გაზეთმა „დროება“ (1880, №242) ამ მოწოდებას მოწინავე წერილი მიუძღვნა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძველთაგანვე ორი ძვირფასი, წმინდა, ჭირში და ლხინში მანუგეშებელი წიგნი ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს. ეს ორი წიგნი იყო სახარება და ვეფხისტყაოსანი. ერთში იხატებოდა ჩვენი რჯული, სარწმუნოება, მეორეში - ჩვენი ერობა, ქართველობა. ამ ორი წიგნით გამხნევებულან, როდესაც გარეშე ანუ შინაგანი განსაცდელი მიადგებოდათ... ვეფხისტყაოსანი უნდა მიგვაჩნდეს საუკეთესო ძეგლად ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, ჩვენის წარსულ ლიტერატურის და საერო ცხოვრების დიდებისა. ამისთანა წიგნი ყველა ქართველს მუდამ თვალწინ უნდა ჰქონდეს, მუდამ წინ უნდა ედვას, როგორც წმინდა ნაწილებს, ისე უნდა ეპყრობოდეს“.

თუმცა, სტატიის ავტორის აზრით, მარტო წარსულით არ ამოიწურება ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა, ის დიდია დღესაც. „როცა რომელიმე ხალხი იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდება, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად, როდესაც ერს თავისი ვინაობა ავიწყდება, როცა ის ყველაფერს, რაც მშობლიურია, რაც გვართომობის დამამყარებელია, გულგრილად შესცქერის, - ამისთანა დროს ძველი მწერლობის გახსენებას, ძველ მამაპაეულ ნაწილებს ნაშთთა აღდგენას, განახლებას, მოგონებას დიდი განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. ყველა ეს ამხნევებს, თავის თვალში ამაღლებს, აკეთილშობილებს, ახალ იდეალებს აღმოუჩენს და ენერგიას უმატებს ამგვარ ერსა. ჩვენის აზრით, სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის კარგად გამოცემას, აღდგენას და იმის დამწერის გაცნობას“.

საქმის მოთავეებს გადაწყვეტილი ჰქონიათ, მთლიანი ვეფხისტყაოსანი 25 სხდო-

მის განმავლობაში დაემუშავებინათ. სხდომები უნდა ჩატარებულიყო ყოველ მესამე დღეს და მათი საქმიანობა სისტემატურად გაშუქებულიყო გაზეთ „დროებაში“.

პირველი საორგანიზაციო სხდომა 1880 წლის 24 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე შემდგარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში (საპიორნის ქ. № 41). ამ სხდომაზე მხოლოდ და მხოლოდ რვა ხელნაწერისთვის მოუყრიათ თავი, რის გამოც კომისიის წევრებს მთავარი ყურადღება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეგროვებისთვის მიუპყრიათ.

რედაქციის პირველ გაფართოებულ სხდომას, რომელიც 1881 წლის 6 თებერვალს შემდგარა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი), დიდძალი ხალხი დასწრებია. მათ შორის ყოფილან გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, ნიკო დადიანი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, არქიმანდრიტი გრიგოლი, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი, თედო ჟორდანი, გიორგი წერეთელი, ილია წინამძღვრიშვილი, ვახტანგ თულაშვილი. ქალბატონთაგან: ოლღა ჭავჭავაძისა, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნინო ორბელიანისა, ეკატერინე გაბაშვილისა..., რომლებსაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების კითხვაშიც მიუღიათ მონაწილეობა.

სხდომის დარბაზი შესაფერისად ყოფილა მორთული: ქართული ბანკის დიდ დარბაზში მწკრივად მდგარა რამდენიმე მაგიდა, რომლებზედაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ნაბეჭდი ეგზემპლარები ელაგა. თავმჯდომარის უკან კედელზე გაკრული ყოფილა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტის მირიანაშვილის დახატული შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ამ სხდომაზე რედაქციას ხელთ ჰქონია ვეფხისტყაოსნის 22 ხელნაწერი, ყველაზე ადრინდელი - მეჩვიდმეტე საუკუნისა და პოემის ნაბეჭდი ცალები: ვახტანგისა (1712 წ.), მ. ბროსესი (1814 წ.), დ. ჩუბინაშვილის (1860 წ.), ყიფიანისა (1867 წ.) და არსენ კალანდაძის (1875 წ.).


პირველ სხდომაზე ვეფხისტყაოსნის მარი ბროსესეულ გამოცემას ხმამაღლა კითხულობდა რაფიელ ერისთავი, სხვები კი



გიორგი ქართველიშვილი



მიხაი ზიჩი



გრიგოლ ტატიშვილი

თვალს ადევნებდნენ ხელნაწერებს... და აი, „პირველი წერაქვი რედაქციისა, იგონებს იონა მეუნარგია, მოხვდა ასო ვ-ს. ნაცვლად ვეფხვისტყაოსნისა, როგორც ხელნაწერებიდამ აღმოჩნდა, უნდა იყოს ვეფხისტყაოსანი. ეს აზრი დაიცვა გრიგოლ ორბელიანმა და სხვებმაც მხარი დაუჭირეს“.

მეორე სხდომასაც, 13 თებერვალს, დიდძალი ხალხი დასწრებია, მათ შორის - აკაკი წერეთელი, რომელსაც ზოგიერთ შესწორებაზე შენიშვნებიც გაუკეთებია. ამ სხდომაზე ვეფხისტყაოსანს ილია ჭავჭავაძე კითხულობდა, მორიგ სხდომას, 24 თებერვალს, რაფიელ ერისთავი თავმჯდომარეობდა...

კომისიის მეოთხე სხდომა 27 თებერვალს ჩატარებულა, რომელსაც ვახტანგ ორბელიანი და დავით ერისთავი დასწრებიან. მეხუთე სხდომა 3 მარტს გამართულა, მორიგი - 10 მარტს...

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის ანგარიშები მეჩვიდმეტე სხდომამდის სისტემატურად ქვეყნდებოდა გაზეთ „დროებაში“. კომისიას გადანყვეტილი ჰქონდა, ტექსტში შეტანილი ყოველი ცვლილება გაზეთში გამოექვეყნებინა, რათა საზოგადოებას საშუალება ჰქონოდა, ყველა ცვლილებაზე თავისი აზრი გამოეთქვა და კომისიას ტექსტის საბოლოოდ გადახედვის დროს შენიშვნები გაეთვალისწინებინა. კომისიას ასევე საჭიროდ მიაჩნდა, პრესაში გამოეცხადებინა სხდო-

მაზე დამსწრე პირთა გვარები, რომ საზოგადოებას სცოდნოდა, ვინ მონაწილეობდა ამ საპასუხისმგებლო საქმეში.

1881 წლის აპრილის ბოლოს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას ზაფხულის მოახლოვების გამო მუშაობა დროებით შეუჩერებია, თუმცა 6 ოქტომბერს კვლავ განუახლებია ისევ საადგილმამულო ბანკის შენობაში. ამ სხდომას დავით ჩუბინაშვილიც დასწრებია, რომელსაც ტექსტის დამდგენი კომისიის სასარგებლოდ ლექციაც წაუკითხავს.

როგორც კომისიის ანგარიშებიდან ირკვევა, ტექსტზე მუშაობისას კომისიის წევრებს წინააღმდეგობაც შეხვედრიათ, თუმცა იგი მალევე აღმოფხვრილა და 1882 წლის ბოლოსთვის ტექსტზე მუშაობა დასრულებულა. რჩებოდა მხოლოდ ტექსტის საბოლოო რედაქტირება და გამოცემის გაფორმების ხელმძღვანელობა, რაც ახალარჩეული „ბეჭდვის კომიტეტმა“ ითავა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ი. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ი. მეუნარგია, ივ. მაჩაბელი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი და დ. ბაქრაძე.

სწორედ იმ პერიოდში, 1881 წლის ბოლოდან, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის სამეფო კარის მხატვარი, უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი მიხაი ზიჩი. თბილისში ყოფნისას მიხაი ზიჩი გასცნობია ვეფხისტყაოსნის შინაარსს, რასაც მხატვარზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდე-



ნია. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების თხოვნით, მხატვარს ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებზე დაუწყო მუშაობა, 34 სურათი დაუხატავს და უსასყიდლოდ გადაუცია ვეფხისტყაოსნის „ბეჭდვის კომიტეტისთვის“.

„ბეჭდვის კომიტეტმა“ დაადგინა, რომ ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა შთამბეჭდავად გაფორმებულიყო, დახატულიყო გვერდებისთვის გარშემოვლებული ორნამენტული ჩარჩოები, კომპოზიციურად მაღალ დონეზე შესრულებული სათაური ასოები და ბოლოსართი სურათები. ამ მორთულობის დახატვა დაავალეს ხეზე სურათების ამომჭრელ პირველ ქართველ გრაფიკოს-ქსილოგრაფს, ახალი გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელს გრიგოლ ტატიშვილს. გრიგოლ ტატიშვილმა დაავალა მხატვარს ბანკის შენობაში დაბინავდა და მუშაობას შეუდგა. საჭირო მასალად მან გამოიყენა ძველი მონასტრებისა და ციხეების ქართული ჩუქურთმები: მცხეთის, უფლისციხის, ბეთანიის, ქუთაისის, გელათის, საფარის, კაბენის, ახტალის, ფიტარეთის, სამთავისის, ატენის...

1886 წლის აპრილში გიორგი ტატიშვილს უკვე ყველაფერი მზად ჰქონდა. მზად იყო ქალაქი, შესწორებული და შემოწმებული ტექსტი, ახალი შრიფტი...

საზოგადოება მოუთმენლად ელოდა დასურათებულ ვეფხისტყაოსნის გამოქვეყნებას და ბეჭდვის კომიტეტს შეკითხვა შეკითხვაზე მოსდიოდა, თუ როდის იქნებოდა მზად ეს გამოცემა. ამ დროს „დროება“ დახურული იყო და მის ნაცვლად გაზეთი „ივერია“ გამოდიოდა, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ვეფხისტყაოსნის გამოცემის მსვლელობის შესახებ.


„ბეჭდვის კომიტეტმა“ 1887 წ. 28 ივლისს ვეფხისტყაოსნის ტექსტის აკრეფასთან დაკავშირებით შემდეგი შინაარსის ნებართვა მიიღო: «Книгу под заглавием «Барсова кожа» на грузинском языке предварительно набрать позволяет с предоставлением корректурных листов цензору Исарлову»

მთელი პოემის ტექსტი აუნყვია გაზეთ „ივერიის“ ასოთამწყობს მაქსიმე შარაძეს. ბეჭდვას ხელმძღვანელობდა ივანე მაჩაბელი.

ვეფხისტყაოსნის ფერადი ილუსტრაციები იბეჭდებოდა პეტერბურგში, ბრეზეს

ქრომო-ლითოგრაფიაში, მაგრამ სურათების დაბეჭდვა და მასთან დაკავშირებული ხარჯები დიდ თანხას მოითხოვდა და საქმეს აბრკოლებდა. ბოლოს ეს დაბრკოლებაც გადალახულა: ილუსტრირებული ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ხარჯები უკისრია ცნობილ ქართველ კომერსანტს, ქველმოქმედს, მეცენატსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი ქართველიშვილს, რომელსაც ამ დროისათვის საკუთარი ხარჯით უკვე გამოქვეყნებული ჰქონია ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ პირველი ნაწილი და 1883-1885 წლებში ასევე საკუთარი ხარჯით გამოსცემდა გაზეთ „დროებას“.

წიგნის ბეჭდვამ 1888 წლის მარტის ბოლომდე გასტანა. 13 მარტს გაზეთმა „ივერია“ (№ 54) საზოგადოებას ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ აცნობა: „სურათებიანი, მდიდრულად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი უკვე მზად არის თითქმის და ამ თვის გასულს გამოვა გასასყიდად. ტექსტის ბეჭდვა სულ გათავებულია, ყდებიც ცალკე მზადდება ტფილისშივე. ჩვენ ვნახეთ ეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი ვეფხისტყაოსანი და უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა ლამაზსა და კარგს სანახავს იშვიათად შეხვდება კაცი არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც კი. ასომთავრულები მე-





თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შენობა. ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პირველი კორპუსი, სადაც კომიტეტის სხდომები იმართებოდა.

ტად ლამაზები და ხელოვნებით ნაკეთებია, არშიები ქართულის ჩუქურთმების გემოვნებაზეა შეფარდებული, თითოეულის კარის ბოლოში დახატულია თითო რამ ნახატი, სავსე თავისებურის მშვენიერებითა და სილამაზით. თვითონ ზიჩისაგან ნახატი სურათები ხომ ისეთია, რომ დიდხანს არ გინდა თვალი მოაშორო. ეს წიგნი განძი იქნება სწორედ ყოველ ქართველის ოჯახისათვის და არა გვგონია ისეთი ქართველი შეგნებული ოჯახი მოიპოვებოდეს, რომ ასეთი სამწიგნობრო სამკაული არ შეიძინოს და ამით არ დაამშვენოს თავისი სახლი“.

ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა დაიბეჭდა თბილისში, 1270 ცალი, ივანე მარტიროსიანცის სტამბაში (ორბელიანის ქ. 1-2). პოემა შედგება 1576 სტროფისაგან, 359 გვერდისა და 49 თაბახისაგან. ტექსტი აწყობილია გოგებაშვილის 16-ით, ზომა 15×11, სათაურები – იმავე შრიფტით; თავფურცლის ტექსტი – ვეფხისტყაოსანი შ. რუსთაველისა – დახატულია. პირველი ილუსტრაცია – „შ. რუსთაველი თამარ მეფეს მიართმევს თავის პოემას“ – დაბეჭდილია ფერებში; ტირაჟის ნაწილი ჩასმულია მაგარ ყდაში. ყდები შემოსილია სხვადასხვა ფერის ტვიფრული ქსოვილით: პირველი გვერდის ტვიფრული ნაწილი თავისი წარწერებით დაბეჭდილია ოქროს ფერში. ყდის შუაში რუსთაველის ტრადიციული პორტრეტი გარშემოვლებულ ორნამენტებით, მის ზემოთ და ქვემოთ ოვალურად დაბეჭდილია ხელით შესრულებული წარწერა: ვეფხისტყაოსანი რუსთაველისა, ყუაც ტვიფრულია, ხელით დახატული

წარწერით – რუსთაველი ვეფხისტყაოსანი. ტექსტი დაბეჭდილია №6 ფინურ ქაღალდზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ბოლოში დართული აქვს ცნობები გამომცემლისგან იმის შესახებ, თუ როგორ ჩაისახა პირველი აზრი სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ, მოკლე ინფორმაცია ტექსტის დამდგენი კომისიის ჩატარებული მუშაობის, მხატვარ ზიჩის, ანგერერის, ბრეზეს, ლემანისა და მისი ღვაწლზე გამოცემის განხორციელებაში. აი, ეს ბოლოსიტყვაც:

### გამომცემლისაგან

პირველი აზრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლიარი არ აღმოჩნდა, – კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წ. – მაინც კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანერთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა **ზიჩიმ**, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნი. ზიჩის ხელით დახატულიდამ ფოტო-ცინკოგრაფიით ვენაში **ანგერერმა** გადაიღო; ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგს, **ბრეზეს** ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოოები შეადგინა **გრიგოლ ტატიშვილმა** და ამოსჭრეს პეტერბურგში **ლემანმა** და **მეიმ**. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, – მცხეთას, უფლის-ციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს – თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურის-გდება თავს იდვას თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც

ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაც.  
მარტის 20, 1888 წ.

ილუსტრირებულ ვეფხისტყაოსანზე საზოგადოებაში დიდი მოთხოვნა ყოფილა. გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები იმის თაობაზე, თუ სად და რა პირობებში შეიძლებოდა ვეფხისტყაოსნის შეძენა.

1889 წ. სექტემბერში ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსანი სტოკჰოლმში გამართულ ორიენტალისტთა კონგრესზე მოხვედრილა. კონგრესის თავმჯდომარის, შვედეთისა და ნორვეგიის მეფე ოსკარ მეორისათვის, წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ გაგზავნილი ილუსტრირებული ვეფხისტყაოსანი ამ კონგრესზე პეტერბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენელს ალექსანდრე ცაგარელს გადაუცია.

...„ოსკარ მეფეს ძლიერ მოსწონებია წიგნი. როცა პოემის ფრანგულ თარგმანს გასცნობია, უთქვამს: „საკვირველია, სოლომონის „ქებათა ქებას“ ჰგავსო. მეფეს ალ. ცაგარლისთვის დაუბარებია: „გადაეცით ჩემი გულითადი მადლობა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამ მშვენიერი და ძვირფასი ძღვენის მორთმევისთვისო“. „მეფე ოსკარისთვის კონგრესის წევრებს ბევრი სხვა წიგნიც მიურთმევიათ; მეფეს თითქმის ყველა მათგანი უფსალისა და ქრისტიანის უნივერსიტეტებისთვის გაუნაწილებია. თავისთვის რამდენიმე წიგნი დაუტოვებია, მათ შორის ვეფხისტყაოსანი“ - წერს გაზეთი „ივერია“ 1889 წლის მე-20 ნომერში.

ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსანი 1900 წელს ქ. მაინცში მონყობილ გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზეც გაუგზავნია. პასუხად საზოგადოების გამგეობას მაინცის ქალაქის თავისგან ასეთი შინაარსის წერილი მოსვლია: „დიდად პატივცემულო ბატონებო! თქვენ თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის დღესასწაულს და გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი ხელოვნობის ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტენბერგის ქალაქში.

ეს მშვენიერი ნაწარმოები ჯერ ჩვენ დიდ გამოფენას დაამშვენებს, შემდეგ კი იგი შეიქნება მშვენებათ გუტენბერგის მუზეუმისა.

ერთხელ კიდევ გიძღვნით უგულითადეს მადლობას ქ. მაინცის და მისი დიდებული შვილის მაგიერ.

უგულწრფელესი პატივისცემით მაინცის ქალაქის თავი დოქტორი გასსნერი“ (გაზ. ივერია, 1900, № 1040)

ქართველი წიგნის გამომცემლები ვეფხისტყაოსნის ამ გამოცემის არშიებს ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა შინაარსის წიგნებისთვის; ვეფხისტყაოსნის შემდგომი გამოცემები როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე, უმეტეს შემთხვევებში, ზიჩის ილუსტრაციებით იბეჭდებოდა.

1900 წელს გიორგი ქართველიშვილმა ვეფხისტყაოსნის დარჩენილი ცალები, 2656 ეგზ. ილუსტრაციის ასლი, 27 ცალი კლიშე და სათაური ასოები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას შესწირა.

ასეთია ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული 1888 წლის გამოცემის მოკლე ისტორია.

ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი ზაქარია ჭიჭინაძე გიორგი ქართველიშვილის შესახებ 1904 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი“, წერდა: „თუ ოდესმე ქართული მწერლობის ისტორია დაიწერა, იქ უეჭველია შესაფერის ადგილს დაიჭერს გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის სახელიც. ამის საფუძვლად საკმარისია ძვირფასად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, გაზეთ „დროების“ გამომცემლობა და მასთან სხვაც ბევრი რამ თვალთ საჩინო საქმენი, რომელნიც ამ წარჩინებულის კაცისგან გაკეთებულა ჩვენს ქვეყანაში და რაც დიდის სისუფთავით და სიუხვით განთესილა ქართველ გვარის სასარგებლოდ, სადიდებლად და წინ წასაწევად. გიორგი დავითის ძე ჩვენის დროის კვალად, ქართველთა შორის იშვიათი პირია, განკერძოებულის თვისების მექონი, მამულიშვილობით სამაგალითო და უსამზღვრო... ვისაც კი ამ პირის პირადი ცნობა ჰქონდა, ის ამაზედ ცხადად დამერწმუნება და გიორგი დავითის ძეს ჩვენი დროის კვა-

ლად აღიარებს ერთს უსუფთავეს და თან მისაბაძ მამულისშვილათ. ასეთის თვისებისა იყო გიორგი დავითის ძე და ასეთსავე აზრებს ჰქადაგებდა იგი ყველგან“.

P.S. ვეფხისტყაოსნის ამ და სხვა გამოცემების შესახებ უფრო ვრცლად, ყო-

ვლისმომცველად და დეტალურად ჰყვება პროფესორი სოლომონ ყუბანეიშვილი თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII-XIX სს.)“, რომელიც 1966 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა.

## ნინო ხვედელიძე

### ყველაზე სწრაფი მხატვარი

აღორძინების ეპოქის გერმანულ ხელოვნებას ამშვენებს სამი დიდი ფერმწერი და გრაფიკოსი: ჰანს ჰოლბეინ უფროსი (1465–1524), ალბრეხტ დიურერი (1471–1528) და ლუკას კრანახ უფროსი (1472–1553).


ლუკას კრანახი დაიბადა ჩრდილოეთ ფრანკონიის პატარა ქალაქ კრანახში. მისი მამა და ბაბუა მხატვრები იყვნენ. ლუკასის დაბადების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, თუმცა მკვლევართა შეთანხმებით, ამ დღედ მიჩნეულია 1472 წლის 16 ოქტომბერი. ცნობილი არ არის მამამისის – ჰანსის ნამდვილი გვარი. სავარაუდოდ, ის მალერი, მოლერი ან მიულერი გახლდათ. დაბადებიდან ლუკასი ზიუნდერის გვარს ატარებდა. კრანახის გვარი კი მან შემდგომში მიიღო თავისი მშობლიური ქალაქის პატივისცემის ნიშნად. ბევრი არაფერია ცნობილი მომავალი მხატვრის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებზეც. ვიცით მხოლოდ ის, რომ პატარა ლუკასი სახვითი ხელოვნების დაწყებით ცოდნას ეზიარა მამის სამხატვრო სახელოსნოში. ევროპული ტრადიციის თანახმად, მხატვრის წოდებასა და ცოდნის ხარისხს სპეციალური დიპლომი ადასტურებდა. მის მოსაპოვებლად კი დამწყებ მხატვარს, ხელოვნებისა და ხატვის ტექნიკის გასაცნობად მეზობელ ქვეყნებში უნდა ემოგზაურა. ლუკასის ადრეული ნამუშევრებიდან გამომდინარე, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დამწყები ფერმწერი ბავარიაში ეზიარა იქაური ოსტატების მხატვრობას.

1493 წელს ლუკასი პალესტინაში გაემგზავრა. 1501 წლიდან 1504 წლამდე ის ვენაში დასახლდა, ჰუმანისტების საზოგადოებაში ტრიალებდა, ხატავდა ფერწერულ ტილოებს და ჰერცოგთა ციხე-სიმაგრეების კედლებს. სწორედ ვენის პერიოდს მიეკუთ-

ვნება მისი პირველი ცნობილი ნამუშევრები, რომლებზეც „ლუკას კრანახის“ სახელით აწერდა ხელს. მხატვარი იქვე დაეუფლა ქსილოგრაფიის ტექნიკას და დაიწყო არაჩვეულებრივი გრაფიურების ბეჭდვა. 1502 წლითაა დათარიღებული მის მიერ შესრულებული გრაფიურა „ჯვარცმა“, რომელიც მთელს ევროპაში იყო ცნობილი. რეპროდუქციული ტექნიკით ლუკასი შედარებით გვიან, ოცდაათი წლის ასაკში დაინტერესდა. დიურერის მსგავსად, ისიც ერთნაირი ოსტატობით ქმნიდა ამონაბეჭდებს, რო-



ლუკას კრანახ უმცროსი. 1550 წ. ლუკას კრანახ უფროსის პორტრეტი



„მაქსიმილიან I-ის ლოცვანი“ 1515

გორც ხის, ასევე სპილენძის საგრავიურო დაფებიდან. წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა მისი სამხატვრო და საგრავიურო ხელოვნება. კრანახმა შეძლო საკუთარ შემოქმედებაში რენესანსისა და გოთიკური ტრადიციების მხატვრული პრინციპების ჰარმონიული შერწყმა. მას დამსახურებულად თვლიან გრაფიკული და ფერწერული პორტრეტების, ბიბლიური და ჟანრული კომპოზიციების დიდოსტატად.

1505 წლიდან კრანახი ვიტენბერგში გადავიდა საცხოვრებლად საქსონიის კურფიურსტის – „ფრიდრიხ ბრძენის“ სასახლეში, სადაც იგი ქმნიდა დიდებულთა პორტრეტებსა და მითოლოგიური სიუჟეტების ფერწერულ ტილოებს. მხატვარი მუდამ შემოქმედებით ძიებაში გახლდათ. 1508 წელს ფრიდრიხმა მას უბოძა დიდგვაროვანის წოდება და საგვარეულო გერბი ფრთოსანი გველის გამოსახულებით. იმ დროიდან მოყოლებული, კრანახის ყოველ ნამუშევარზე ავტოგრაფის ნაცვლად ეს გამოსახულება გაჩნდა. იმავე წელს ლუკასი დაქორწინდა ბარბარა ბრენგბირზე. ქალაქ გოტას ბურგომისტრისა და მსხვილი ლუდსახარშის მფლობელის ქალიშვილთან შეუღლებამ ხელი შეუწყო კრანახის სტატუსის ამაღლებას.

ლუკასი 1508 წელს ნიდერლანდებში ჩავიდა, სადაც სათავეში ჩაუდგა სამხატვრო სახელოსნოს. კრანახი სახელგანთქმული „დუნაის სკოლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლდათ. მან შემოქმედებით პიკს 1509 წელს მიაღწია, როდესაც სამი დიდფორმატიანი გრავიურა დაბეჭდა. მათ შორის ყველაზე დიდი – ვიტენბერგში 1509 წლის 15-16 ნოემბერს გამართულ რაინდულ ასპარეზობას ასახავს. მეორე დიდფორმატიანი გრავიურა „ვენერა და ამური“ მხატვარმა მიუძღვნა მითოლოგიურ თემატიკას, რომელიც მის ფერწერაში მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი.

კრანახმა შექმნა იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მრავალფეროვანი ქსილოგრაფიული ილუსტრაციების ციკლი, რომლებსაც აერთიანებდა ერთი სატიტულე ფურცელი ლათინური დასახელებით: „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ვნებანი, თვალსაჩინოდ წარმოდგენილი 1509 წელს, საქსონიის კურფიურსტის მხატვრის, ლუკას კრანახის უმშვენიერეს ნახატებში“.

ამავე წელს ლუკას კრანახი პირველად წარსდგა ილუსტრატორის რანგში. მისი მეცენატი და მფარველი „ფრიდრიხ ბრძენი“ გახლდათ. ის მთელ ევროპაში აგროვებდა სასულიერო პირებთან დაკავშირებულ რელიქვიებს: წმინდა ნაწილებს. ტანსაცმლის



უფლის თაყვანისცემა. 1505



**კრანახების საგვარეულო გერბი ფროთოსანი გველის გამოსახულებით.**

ფრაგმენტებსა და სხვა ნივთებს. მან ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა შესანახად დაამზადებინა „რელიკვარიუმები“, რომლებიც დეკორატიული ხელოვნების შედეგებს წარმოადგენდა. ფრიდრიხ III-ის თხოვნით, ლუკასმა გამოსცა კატალოგი – „ვიტენბერგის სინმინდეთა წიგნი“. 44 ფურცლიანი ალბომი დამშვენებული იყო 117 ქსილოგრაფიით, რომლებიც კრანახის სახელოსნოში დაიბეჭდა.

გერმანემა მესტამბე-გამომცემელმა იოჰან შენსპერგერ უფროსმა 1514 წელს დაბეჭდა ილუსტრირებული „ლოცვანი“, რომელიც ცნობილია „მაქსიმილიან I-ის ლოცვანის“ სახელით. არაჩვეულებრივი გამოცემა იმპერატორ მაქსიმილიანეს ბრძანებით სახელგანთქმულმა მხატვრებმა: ალბრეხტ დიურერმა, ლუკას კრანახმა, ალბრეხტ ალტდორფერმა, ჰანს ბალდუინგ გრინმა და ჰანს ბურგკმაიერმა მოხატეს. იოჰან შენსპერგერი „ლოცვანის“ ბეჭდვისას ფურცელზე ტოვებდა ფართო მინდვრებს, რომლებსაც მხატვრები ავსებდნენ საოცარი ილუსტრაციებითა და ორნამენტებით. მათი წყალობით ბეჭდური წიგნი თავისი სინატიფით ხელნაწერს დაემსგავსა. („ლოცვანის“ შესახებ ვრცელ ინფორმაციას გაეცნობით: „საქართველოს ბიბლიოთეკარი“ - 2018 წ. - N3 (72) - გვ. 6-9).

კრანახი ჩართული იყო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმ დროისათვის ვიტენბერგი გადაიქცა არა მარტო გერმანიის, არამედ

მთელი ევროპის მნიშვნელოვან არენად: საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყო პროტესტანტული მოძრაობა. მისი დაწყების უშუალო საბაბი ინდულგენციებით ვაჭრობა გახდა. გარკვეული თანხის საფასურად ნებისმიერს შეეძლო მიეღო ეკლესიისაგან ინდულგენცია ანუ „ცოდვების მიტევების“ სიგელი. პაპის გადაწყვეტილებას ბრძოლა გამოუცხადა მალაროელის ოჯახში დაბადებულმა, ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა, გერმანელმა ბერმა, თეოლოგმა და ეკლესიის რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა. ეკლესიამ საზოგადოების ყველა ფენაში გამოიწვია უკმაყოფილებისა და განრისხების მძლავრი რეაქცია.

ლუკასი რეფორმაციის მხარდამჭერი, ლუთერის მეგობარი და მისი ქალიშვილის – ანას ნათლია გახლდათ. კრანახი იმთავითვე მეგობრის მხარეს დადგა. ის ბეჭდავდა პროტესტანტულ კამფლეტებს და ილუსტრაციებს. რეფორმატორულ მოძრაობაში წიგნის ბეჭდვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო წერდა: „მეთექვსმეტე საუკუნემ საბოლოოდ შეარყია ეკლესიის ერთიანობა. წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდე რეფორმაცია მხოლოდ ბზარი იყო, ბეჭდვის გამოგონებამ კი იგი რევოლუციად აქცია. გაანადგურეთ საბეჭდი დაზგა და ერესი ძალადაკარგული იქნება. გუტენბერგი გვევლინება ლუთერის წინამორბედად“.

ლუთერი თავისი მომხრეების წინაშე სიტყვით გამოვიდა, რომლითაც ის სამღვდელოებას ადანაშაულებდა. ლუკასმა ლუთერის თეზისების გრაფიკულ ციკლში ასახვა გადაწყვიტა, რითიც რეფორმატორის აზრების განვრცობა სცადა. სახელგანთქმულმა მხატვარმა და გრაფიკოსმა შესანიშნავად იცოდა ბეჭდური სიტყვის ძალა. იმავდროულად, მან ხელი შეუწყო საგამომცემლო პროდუქციის ახალი ჟანრის წარმოშობას და 1521 წლის გაზაფხულზე ვიტენბერგში გამოსცა სააგიტაციო - პროპაგანდისტული ალბომი – „ვნებანი ქრისტესი და ანტიქრისტესი“. გამოცემა მცირეფორმატიანი გრავიურების 28 ფურცლიან ალბომს წარმოადგენდა. ყოველ ფურცელს მოკლე განმარტებითი ტექსტი ახლდა. გრავიურების განთავსება წყვილ-წყვილად იყო ჩაფიქრებული, რითიც ნაჩვენები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო მოტივები. მარცხენა მხარეს არსებულ გრავიურაზე აღბეჭდილი გახლდათ იესო ქრისტეს მოღვაწეობის ამსახ-



ახალი აღთქმა. მარტინ ლუთერი. 1522

ველი ილუსტრაცია, მარჯვენა მხარეს – კირომის ჰაპის ამორალური ქმედება. გრავირების ურთიერთსაწინააღმდეგო სიუჟეტები იმდენად გამომსახველობითი იყო, რომ საერთოდ არ საჭიროებდა განმარტებით ტექსტებს.

მრავალფიგურიანი გრავირებისა და ფსიქოლოგიური პორტრეტების უზადო მხატვარი – ლუკას კრანახი შემდგომში გრავირებული სატიტულე ფურცლის უნაკლო შემსრულებელი გახდა. მისმა შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა მეთექვსმეტე საუკუნის წიგნის მხატვრული გაფორმების საქმეში.

1522 წლის სექტემბერში „ახალი აღთქმის“ პირველი გამოცემა გამოვიდა, რომელიც გერმანულ ენაზე თარგმნა მარტინ ლუთერმა. ლუკას კრანახმა იგი უმშვენიერესი გრავირებით შეამკო.

1523 წელს კრანახმა, კრისტიან დერინგთან ერთად, საკუთარი სტამბა დააარსა, სადაც ძირითადად იბეჭდებოდა ლუთერისა და მისი მომხრეების თხზულებები, პროპაგანდისტური ბროშურები და ფურცლოვანი გამოცემები. იქვე, მამის გვერდით, მუშაობდნენ კრანახის უფროსი ვაჟი – ჰანსი და ლუკას უმცროსი. ჰანსი (1513-1537) სრულიად ახალგაზრდა, იტალიაში შავი ქირის ეპიდემიამ იმსხვერპლა. ლუკას უმცროსი (1515-1586) კი 22 წლის ასაკში სათავეში ჩაუდგა მამის სახელოსნოს. ისიც, მამამისივით კარგად უთავსებდა ერთმანეთს მხატვრობასა და ადმინისტრაციულ საქმიანობას: იყო ქალაქის საკრებულოს წევრი, უძღვებოდა ხაზინას და ორი წელი ეკავა ვიტენბერგის ბურგომისტრის თანამდებობა. მხატვრე-

ბი გახლდნენ ავგუსტინი (1554-1595), ლუკას კრანახ უმცროსის შვილი და ლუკას კრანახ III (1586-1645), ავგუსტინ კრანახის ვაჟი.

1522 წლის ბოლოს ლუკას უფროსი ვაიმარში გაემგზავრა იოჰან ფრიდრიხ „გულუხვის“ ახალ რეზიდენციაში. ფრიდრიხის მეუღლე – სიბილა გახლდათ ლუკასის მუზა. მისი სახე ამშვენებდა ფერმწერის მრავალ ნამუშევარს.


კრანახი ერთმანეთს უთავსებდა მხატვრობასა და ადმინისტრაციულ მუშაობას: სამოქალაქო მრჩეველის ჩინით დაჯილდოვებული მხატვარი სამჯერ (1537-1544) აირჩიეს ქალაქ ვიტენბერგის ბურგომისტრის თანამდებობაზე. მას ჰქონდა საკუთარი ლუდსახარში, აფთიაქი, ღვინის მაღაზია, ქალაქში ყველაზე დიდი სტამბა, სადაც ბეჭდავდა ილუსტრირებულ გამოცემებს; ჰქონდა საკუთარი მაღაზია, კარგად უძღვებოდა წიგნითა და სამხატვრო საღებავებით ვაჭრობის საქმესაც, ამზადებდა ესკიზებს გობელენისა და აბრეშუმის ქსოვილების, მონეტებისა და მედლებისათვის. მხატვარი მაღალ ხელოვნებას საკმაოდ კარგად უთავსებდა ოფიციალურ სამსახურსა და კარიერას. დღევანდელი გადასახედიდან ის გახლდათ დიდი ხელოვანი, მსხვილი ბიზნესმენი და კარგი მენეჯერი. ლუკას კრანახი შეძლებული ბიურგერი გახდა ვიტენბერგში. მისი საცხოვრებელი სახლი ყველაზე დიდი და ლამაზი გახლდათ, რომელიც ქალაქის საპატიო სტუმრებს მასპინძლობდა.

ლუკასი 1553 წლის 16 ოქტომბერს გარდაიცვალა 81 წლის ასაკში. დაკრძალულია ქალაქ ვაიმარის წმინდა იაკობის სასაფლაოზე. გერმანელი დიდოსტატის საფლავის ქვას ამშვენებს ჩუქურთმიანი წარწერა: „Derschnellste Maler“ – „ყველაზე სწრაფი მხატვარი“.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. – М.; Л. 1926.
- Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – Ч. 2. – М.: 1990.
- Чубинашвили, Г.Н. Лука Кранах: Его жизнь и творчество. – Тб.: 1957.
- <https://reshenie.vcc.ru/magazine/issues/a632017/view/article/1447063>.

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ  
ჭობისხევის ბიბლიოთეკარის რეცეპტი**

<b>მომზადების დრო:</b>	3 თვე
<b>სირთულე:</b>	
<b>ყველაზე მეტად უხდება:</b>	საქმისადმი სიყვარული, ერთგულება და თბილი, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის.



**ინგრედიენტები :**

- მაღალკომპიუტერული ტექნიკა
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნა
- მკითხველთა მოთხოვნებზე სწრაფად რეაგირება
- თანამშრომლობა სკოლასთან
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა
- თბილი და კეთილგანწყობილი გარემო, მკითხველის ნდობა
- ინფორმაციის სწრაფად მოძიება და მიწოდება

**რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ჭობისხევის ბიბლიოთეკაში?**

ჩვენს სოფელში ბიბლიოთეკა 1974 წლიდან არსებობს. ჩვენი მიზანი საბიბლიოთეკო კულტურის ამაღლება გახლდათ. ამიტომ ჩვენი ბიბლიოთეკა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი, ფუნქციურად დატვირთული და მოდერნიზებული, რისთვისაც საჭირო იყო საბიბლიოთეკო მომსახურების ახალი ფორმების მეთოდებისა და იდეების შემუშავება, რათა ყველა კატეგორიის მკითხველისათვის საინტერესო ყოფილიყო.

სოფელში ინტერნეტი მხოლოდ სკოლაშია ხელმისაწვდომი. პროექტმა „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნამ საშუალება მოგვცა მრავალფეროვანი მომხმარებელი გვყავდეს და ბიბლიოთეკა ერთგვარ საზოგადოებრივ ცენტრად ჩამოყალიბდა. უფასო, უღიმით ინტერნეტმა მოსახლეობას გაუმარტივა და გაუმრავალფეროვნა ცოდნის მიღების საშუალება; მოსახლეობას მიეცა კომუნიკაციების გაფართოების საშუალება.

სოციალური ქსელის მეშვეობით ვეკონტაქტებით ჩვენს კოლეგებს საქართველოს მასშტაბით, ვეცნობით ერთმანეთის აქტივობებს, ხდება ინფორმაციების გაცვლა და მისაღები სიახლეების დანერგვა. აქტიურად ვთანამშრომლობთ სკოლასთან, უფროსი კლასების მოსწავლეები ჩვენი ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან და მათი აქტიური თანამონაწილეობით ძალიან ბევრ სოციალურ პროექტებს ვახორციელებთ. მათი ასეთი ჩართულობა ერთგვარი რეკლამაა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის გაზრდას.





ჩვენს ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სამკერვალო და გახსნილიაჭრა-კერვის წრე; მისი ხელმძღვანელია მედეა ჯინჭველაძე, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს და ასწავლის ბავშვებს თავის პროფესიას. კვირაში ორჯერ წრის წევრებს საშუალება აქვთ დაეუფლონ მკერავის პროფესიას.

კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია წიგნებთან ერთად, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ნებისმიე რი ღონისძიება, მოვამზადოთ პრეზენტაციები.

აქვე ტარდება შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხებზე. ჩამოყალიბებული გვაქვს „წიგნის მოყვარულთა კლუბი“, რომელსაც ფართო აუდიტორია ყავს.

**„შეფ-მზარეულის“ რჩევები:**

ძვირფასო კოლეგებო, გვიყვარდეს ჩვენი საქმე, ყოველთვის პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ დაკისრებულ მოვალეობას, ვიყოთ ჩვენი მოსახლეობის მეგობრები და საუკეთესო მსმენელები. გავუზიაროთ მიღებული ცოდნა ერთმანეთს, მივიღოთ ახალი ინფორმაციები. შევექმნათ კეთილგანწყობილი და საიმედო გარემო, რათა ბიბლიოთეკა გახდეს ნამდვილი საზოგადოებრივი ცენტრი.



**რა უნდა გააკეთოთ თქვენ:**

- პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საკუთარი საქმეს
- შევექმნათ მყუდრო და თბილი გარემო.
- მოვიპოვოთ მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა
- გავიღრმავოთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები.
- დაიწყეთ პატარა ნაბიჯებით და აუცილებლად გამოვა დიდი საქმე.

## ღირსეული მამულიშვილები

**რომან ფერაძე**

პროფესორი

### ადამიანი ლეგენდა

1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე სვეტიცხოველში წმინდანებად შეირაცხნენ ახალი დროის ღვანღმოსილი სასულიერო პირები: აღმსარებელნი - გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), ალექსი ბერი (შუშანია), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები: კირიონ II(საძაგლიშვილი), ამროსი (ხელაია) და მღვდელმონაქონი - თევდორე მღვდელი, მიტროპოლიტი ნაზარი სამღვდლო დასითურთ და არქიმანდრიტი გრიგოლი ფერაძე.

ოფიციალურ უწყებაში აღნიშნულია:

„... ამ ღირსი მამების ღვანღმოსილი და სამშობლოს წინაშე მოხდელი ვალის მოხსენება გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულიად გამორიცხავდა), არამედ ჩვენი მშფოთვარე და გზააბნეული ახალგაზრდობის ასაღორძინებლად და აღსაზრდელად“.

დღეს როდესაც საზოგადოების ერთ ნაწილს ეკლესიის სულიერი და ინტელექტუალური ძალების მიმართ უნდობლობა დაუფლებია, განსაკუთრებულია აქტუალური ხდება სწორედ იმ ღვთივმოვლენილ ადამიანთა მოღვაწეობისა და გამოცდილების გაცნობა და გააზრება, რომელნიც თითქმის ჩვენი თანამედროვენი იყვნენ და ისეთივე სეკულარიზირებულ სამყაროში უხდებოდათ საღვთო უღლის ზიდვა, როგორშიც ჩვენ გვინვეს ცხოვრება.

გრიგოლ ფერაძის კანონიზაციას საფუძვლად დაედო წმინდანად შერაცხვის რვა საფუძვლიდან შემდეგი:

1.მონაქონობრივი სიკვდილი ქრისტესათვის; 2. მაღალი საეკლესიო საგანმანათლებლო და საღვთისმსახურებო მოღვაწეობა; 3. დიდი დამსახურება ეკლესიისა და ერის წინაშე. 4. კეთილმსახური, მართალი წმინდა ცხოვრება; 5. პატრიარქ ნექტარიოსის მიერ დასახელებული ნიშნებიდან პირველი ორი

ნიშანი:

ა) უბინო მართლმადიდებლობა;


ბ) ყოველგვარი სათნოების აღსრულება, რომელსაც თან სდევს დაპირისპირებ რწმენის გამო სისხლის დანთხევამდეც კი.

წმინდა გრიგოლის პიროვნების სიდიადესა და უნიკალურობას აღიარებს ნებისმიერი: მორწმუნეც და ათეისტიც, ქრისტიანიცა და სხვა აღმსარებლობის მიმდევარიც, ინტელექტუალიცა და უმეცარიც.

„მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა ქრისტიანული დანიშნულების არსის გაგებაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა. სწორედ მამა გრიგოლის პიროვნებაში მკვეთრად და ჰარმონიულად გამოიხატა ადამიანური არსი, მეცნიერული ღვანღმი და ქრისტიანული იდეები“, - აღნიშნავს წმიდა მამის ბიოგრაფი, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი. ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების აზრით, გრიგოლ ფერაძის ნაშრომები იმდენად მაღალი მეცნიერული დონისაა, რომ დღესაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნებათ (აკად. დ. მელიქიშვილი, პროფ. გ. ჯაფარიძე, პროფ. თ. მგალობლიშვილი, დ. ყოლბაია, ი. მილიცკი და სხვები).

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს, სოფ. ბაკურციხეში, ბაკურციხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის დეკანოზ რომანოზ ფერაძის ოჯახში. დედა მარიამ სამადალაშვილი იყო თბილისის პეტრე-პავლე მოციქულთა სახელობის ეკლესიის წინამძღვრის მამა ბესარიონ სამადალაშვილის ქალიშვილი. გრიგოლს ჰყავდა ორი ძმა უფროსი არჩილი და უმცროსი ვასილი.

რომანოზს დაუმთავრებია გორის საოსტატო სემინარია ვაჟა-ფშაველასთან ერთად. ახალგაზრდა გარდაიცვალა 1905 წელს და მამა რომანოზის გარდაცვალების შემდეგ გრიგოლი ბიძასთან ყვარლის იონანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვართან გიორგისთან იზრდებოდა. მისი რჩევით,



დედამ გრიგოლი მამის კვალზე დააყენა და შეიყვანა სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1913 წელს დაამთავრა, ხოლო 1918 წელს სასულიერო სემინარია, რომლის რექტორიც კორნელი კეკელიძე იყო. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან ანაზღაურებული გრიგოლი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

1919 წელს გრიგოლი გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც 1921 წლამდე, იმსახურა. 1921 წელს, თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის შემოჭრის შემდეგ, გრიგოლი თავის ძმებთან ერთად წითელი არმიის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად იბრძოდა. ჯარიდან დაბრუნებულს დაპატიმრება ემუქრებოდა, რის გამოც კორნელი კეკელიძემ სოფელ მანავში მასწავლებლად გაგზავნა.

1921 წელს, გარე კახეთის სამღვდელთა კონკრეტული გელათში გამართულ მესამე საეკლესიო კრებაზე წარმომადგენლად გაგზავნა, სადაც პროფესორ კორნელი კეკელიძისა და მიტროპოლიტ ნაზარის შუამდგომლობით, მისი ევროპაში, სწავლის გასაგრძელებლად გაშვება გადაწყდა.

საკათალიკოსო საბჭომ, უწმინდესმა და

უნეტარესმა აბროსიმ, კორნელი კეკელიძემ და ივანე ჯავახიშვილმა, 1921 წლის ნოემბერში, არტურ ლაისტის შუამდგომლობით, ფრიგოლი სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად ბერლინში გაგზავნეს, სადაც დაეუფლა ძველებრაულ, ძველებრძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურსა და ძველსომხურ ენებს, აქვე დახვეწა გერმანული ენა. 1922 წლის 12 მაისს ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. გარდა ზემოთჩამოთვლილი ენებისა, მოგვიანებით ლათინური, ინგლისური და ფრანგული ენები შრისწავლა. ამას გარდა, რუსული და ძველსლავურიც იცოდა.

როგორც მისი ბიოგრაფი, დეკანოზი ჰენრი პაპროცნი აღნიშნავს, ენების უჩვეულო, განსაკუთრებულმა ცოდნამ გრიგოლს საშუალება მისცა უშუალოდ გაცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის მთელ იმ საუნჯეს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებას შეეხება.

1925 წლის 29 აპრილიდან სწავლა ბონის უნივერსიტეტში განაგრძო. იქვე წარადგინა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „ქართული ბერ-მონაზვნების ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“, რომლის საფუძველზეც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

1927 წლის აპრილ-ივლისში ლონდონის, ბრიტანეთის მუზემსა და ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებს ეცნობა; მონაწილეობს ქალაქ ლოზანაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, როგორც საქართველოს ეკლესიის ერთადერთი წარმომადგენელი.

1928 წელს ბონში ორიენტალისტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ფერადის მოხსენების შემდეგ გამოიტანეს რეზოლუცია ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობისა და გერმანიის უნივერსიტეტში მისი სწავლების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარედგინა პრუსიის განათლების მინისტრს ბეკერს. ეს იყო ახალგაზრდა მეცნიერის დიდი წარმატება.

1929 წლის 21 ივლისს გრიგოლ ფერადის თაოსნობით, პარიზის ქართული სამწყსოს კრება გაიმართა. სწორედ მაშინ, ევროპაში, პირველად ქართული წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია დაარსდა.

მამა გრიგოლმა პარიზის ქართულ სამწყსოს პირველი ქართული მართლმადი-

დებელ წირვაზე მგზნებარე სიტყვებით მიმართა: „...ჩვენი საკუთარი სული კი არის უკეთილშობილესი და უძვირფასესი ყოველგვარ მადანთა და საუნჯეთა, და ეს სულია, ბატონებო, ჩვენი ეკლესია. თუ გვაქვს რაიმე ეროვნული თავმოყვარეობა, ნუ გახდით ჩვენს სულს რომელიმე უცხოელის დახმარებისაგან დამოკიდებულად, არამედ თქვენ თვითონ მოუარეთ მას...“

აღნიშნულ ქადაგებაში მოწოდებაა, რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს და ჩვენვე უნდა მოვუაროთ მას და არა ისე, როგორც დღეს ხდება, როდესაც გაყიდულია მთა და ველი, ტყე და მდინარე და მრავალი სხვა, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ობიექტი, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანას და მომავალ თაობას სავალალოდ შეიძლება შემოუბრუნდეს.

1930 წლის შობის დღეებში გრიგოლი მძიმედ დაავადებულა. სიკვდილის პირას მისულს ხილვაში გაცხადებია, რომ უფლისთვის თავი ბოლომდე უნდა მიეძღვნა და 1931 წლის 18 აპრილს, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პატივდებული მეცნიერი, ლონდონის წმინდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა. 19 აპრილს იქვე დიაკვნად ეკურთხა, ხოლო 25 მაისს პარიზის წმინდა სტეფანეს ბერძნულ საკათედრო ტაძარში მღვდლად ხელდებენ და მის მიერვე დაარსებულ წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში წინამძღვრად ამწესებენ. მამა გრიგოლის უძირითადესი საზრუნავი და გაუნებელი ტკივილი საქართველო იყო. თითოეული მისი ნაბიჯი სამშობლოში დასაბრუნებელ გზას ეძიებდა.

1931 წელს პარიზში მისი რედაქტორობით დაიწყო სამეცნიერო-თეოლოგიური ჟურნალის „ჯვარი ვაზისა“-ს გამოცემა ქართლ ენაზე.

ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვიქტორ ნოზაძე წერს, რომ მამა გრიგოლი იყო პიროვნულად უმნიშვნელო, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმადმორწმუნე. და იქვე იხსენებს: „მას ძვირფასი ქართული გარდამოხსნა ჰქონდა, რომელშიც ირანის შაჰი რიზე ხანი ათასობით ოქროს აძლევდა, მაგრამ იგი არ ჰყიდდა, საქართველოს მუზეუმს უნდა მივართვაო“.

ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრა-

ნგეთში საქართველოს მენშევიკური მთავრობა გადახდისუუნარო აღმოჩნდა, ამ ფაქტმა საგანძურის აუქციონზე გატანის საკითხი წამოჭრა. გერმანელებმა განძის შეძენის სურვილი უმაღვე გამოთქვეს და მისი მატერიალური ღირებულების თაობაზე კომპეტენტური დასკვნის წარმოდგენა გრიგოლ ფერაძს დაავალეს.

მამა გრიგოლმა ჩვენი სინძინდები გულმოდგინედ აღნუსხა, საექსპერტო განაჩენში იგი წერდა: - „ეს ნივთი მატერიალურად ნაკლებადფასეულია, მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია ქართველი ერისთვის. მამა გრიგოლს გარდაკორნელი კეკელიძის, მიმოწერა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან უწმინდესთან და უნეტარესთან კალისტრატესთან და ასევე დედასთან და უმცროს ძმასთან.“

საეკლესიო მომსახურებასთან ერთად, მამა გრიგოლი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ოქსფორდის, სორბონის, დუბლინისა და კრაკოვის უნივერსიტეტებში. ძველი ქართული კულტურის, ადრეული ქრისტიანობისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შესახებ ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა. ინგლისის, პარიზისა და ლაიფციგის ბიბლიოთეკებში, ქართულ ხელნაწერებს ეძიებდა და იკვლევდა, რაც ზეადამიანურ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული.

1933 წელს მამა გრიგოლმა, თანხმობა განაცხადა სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის დიონისე ვალედიანსკის წინადადებაზე დაეკავებინა ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორის მოადგილის თანამდებობა და ამავე დროს გაეგრძელებინა ღვთისმსახურება ერთ-ერთ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მითმეტეს, რომ ერთი მხრივ, გაუჩნდებოდა მუდმივი შემოსავალი, რაც საშუალებას მისცემდა შეენახა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მრევლი და მეორე მხრივ, ვარშავაში მცხოვრებ ქართველ კონტრაქტის ოფიცრებს ეყოლებოდათ სულიერი მოძღვარი. მამა გრიგოლი ვარშავაში გადავიდა საცხოვრებლად. უმოკლეს დროში შეისწავლა პოლონური ენა და ვარშავის უნივერსიტეტში დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური ოღვანეობა და ვარშავის წმინდა მარიამ მაგდალინელის სახელობის

ეკლესიაში ღვთისმსახურება.

1934 წელს ლონდონის წმიდა სოფიას საკათედრო ტაძარში არქიმანდრიტად აკურთხეს.

1935 წელს ათონის მთაზე საკუთარი სახსრებით იმოგზაურა. გზად, რუმინეთისა და ბულგარეთში ქართული კულტურის ძეგლები მოინახულა. სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში პეტრიწონის ტიპიკონის ქართული ვერსია აღმოაჩინა.

„ათონის მცხოვრები ქართველები (ისინი სულ ხუთნი არიან) ძლიერ მოხუცდნენ და გაღარიბდნენ, მაგრამ სიღარიბეს ნაკლებად უჩივიან. მათი მთავარი საზრუნავი ისაა, რომ ათონის მთაზე შესაძლოა უკანასკნელი ქართველები აღმოჩნდნენ. იქნებ მათთან მოწაფეების გაგზავნა მოხერხდეს.

ათონზე დიდმოწამეთა - ანტონის, იოანესა და ევსტათის ბერძნულ ვერსიას მიაკვლია და ილარიონ ქართველის (ახლის) ცხოვრება გადაწერა. 15 ქართული ხელნაწერი შეიძინა. ამბობდა - შემორჩენილი ფრაგმენტების მოძიება და შესწავლა უქმინდეს მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ, რაც საქართველოს ისტორიის შესწავლას და ქართული ელემენტის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ დიდ დახმარებას გაუწევს და ამასთან დღევანდელი მდგომარეობისა უკეთ გააზრებაში ძალას მოგვანიჭებს.

ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მოგზაურობები და სამეცნიერო მუშაობა სამშობლოს მონყვეტილი ადამიანისათვის, მასთან მიახლოების ერთ-ერთი გზა იყო. თუმცა, მის ფენომენს კარგად თუ ჩაუკვირდებით, ვნახავთ, რომ საქართველო სწორედ იქ მკვიდრდებოდა, სადაც მამა გრიგოლი იმყოფებოდა; ლექციას კითხულობდა, პალიმფესტს იკვლევდა, წირავდა თუ ქადაგებდა. ეს იმიტომ, რომ უმთავრესი - სულიერი მამული იპოვა და გააცნობიერა, რომ „ქართლის ბედი“ ჩვენშია და ჩვენშია სამშობლო.

მამა გრიგოლი ევროპის სამეცნიერო და რელიგიურ წრეებში ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. პოლონერ]ლმა ერმა მისადმი განსაკუთრებული სიყვარული გამოხატეს. გენერალი შალვა მაღლაკელიძე თვის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ვარშავის დაბომბვისას მამა გრიგოლი თავშესაფარში არ იმალებოდა და დაჭრილებს პირველ დახმარებას უწევდა, ხოლო მიცვალებულებს აპატიოსნებდა.

მას დაფასება არც ქართველი ემიგრანტებისაგან აკლდა, მაგრამ გამონაკლისებიც იყვნენ. 1942 წლის 4 მაისს მამა გრიგოლი ფაშისტების მომხრე ქართველების დასმენით, ვარშავაში ებრაელი დევნილების შეფარებისა და პოლონელ იატაკქვეშეთთან თანამშრომლობის ბრალდებით დააპატიმრეს. იმავე წელს 6 დეკემბერს ოსმენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა. მის გარდაცვალებაზე ლეგენდები დადის. ლეგენდები კი, იქმნება მხოლოდ ლეგენდარულ ადამიანებზე. მის მოწამებრივ აღსასრულზე ორი ვერსიაცნობილი. პირველი ვერსიის მიხედვით მან ადგილი გაუცვალა მრავალშვილიან ებრელ ტუსალს და მის ნაცვლად შევიდა გაზის კამერაში. მეორე ვერსიის მიხედვით, ბანაკში გერმანელი ოფიცერი მოკლეს. მთელი პატიმრები ოც გრადუსიან ყინვაში შიშვლები დააყენეს პლაცზე. ათი წუთიც რომ გაჩერებულიყვნენ იმ ყინვაში ყველა პატიმარი გაიყინებოდა. ამ დროს მამა გრიგოლმა დაიბრალა ოფიცრის მკვლელობა და ამით მთელი ტუსალები გადაარჩინა. საკონცენტრაციო ბანაკში მყოფი პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „აქ გარდაიცვალა რამდენიმე კვირის წინ მოყვანილი გრიგოლ ფერაძე - პროფესორი, თეოლოგი, მართლმადიდებელი, ქართველი, გამოჩენილი მეცნიერი“.

საბჭოთა საქართველოში გრიგოლ ფერაძის ხსენება დიდი ხნის მანძილზე მკაცრად იკრძალებოდა. ოთხმოციან წლებში, ე. წ. გარდამტეხის დროს, მის თობაზე საზოგადოებამ მედიის მეშვეობით შეიტყო. პრესაში გაჩნდა პროფესორ გურამ შარაძის, ზ. ჭავჭავაძის და სხვ. პუბლიკაციები. მამა გრიგოლის მოღვაწეობის შესახებ რევანთაბუკაში დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ძალიან საინტერესო გადაცემა მოამზადა ტელეკომპანია იბერიისი გოჩა საითიძემ და მრავალი სხვა.

წმიდა მღვდელმონაშე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე მსოფლიო პატროლოგიის კლასიკოსადაა მიჩნეული. მისი ნაშრომები საზღვარგარეთ მრავლადაა გამოცემული. მის ბიოგრაფიას და მოღვაწეობას სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნებში. ახალგაზრდა მეცნიერები, მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე იცავენ სადოქტორო დისერტაციებს. ჩვენი თანამემამულეებიდან აღნიშვნის ღირსია

რსია თამარ ქუმბურიძის სადოქტორო დისერტაცია. პოლონეთში შექმნილია წმიდა გრიგოლის სახელობის სასულიერო საძმო. ვარშავის უნივერსიტეტის და მართლმადიდებლური ეკლესიის კედლებზე ამოტვიფრულია მისი სახელი.

წმიდა გრიგოლ ფერაძის რელიგიური საძმო მრავალ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს - მის ნაშრომებს გამოსცემს, საზღვარგარეთ მისი სახელის პოპულარიზაციას ეწევა, ყოველ წლის 6 დეკემბერს (წმიდა გრიგოლის ხსენების დღეს) აწყობს წმინდანის სახელობის საერთაშორისო კონფერენციას ვარშავის უნივერსიტეტში; ფუნქციონირებს წმინდანის სახელობის ეკლესია. 2002 წელს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თემურ, ვასილ, გრიგოლ და ილია ფერაძეებთან ერთად „წმიდა მღვდელმონაწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება“ დავაფუძნეთ. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. საზო-

გადოებამ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ფუნქციონირებს, მონყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში წმიდა გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი საღამოები, რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, გამოსცა წიგნები, ჟურნალები. საზოგადოები ძალისხმევით საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სოფ. ბაკურციხეში აღადგინა ის სახლი, სადაც დაიბადა მომავალი წმინდადი და ამჟამად იქ ფუნქციონირებს წმინდა გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმი. კიდევ მრავალი საქმეა გასაკეთებელი (მრავალი მისი ნაშრომი შესასწავლია და გამოსაცემი ქართულ ენაზე), რათა სრულყოფილად წარმოჩინდეს მისი სახელი ქართულ საზოგადოებაში და დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება.

ღმერთმა დალოცოს საქართველო და წმიდა გრიგოლის (ფერაძე) მადლი ნუ მოაკლოს.

## მაია მიქაბერიძე

### ალექსანდრე მიქაბერიძე - მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე

ალექსანდრე მიქაბერიძე იმ ქართველ მოღვაწეთა ტიპური წარმომადგენელია, რომლებსაც სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული საკუთარი სამშობლოს მდგომარეობა და პერსპექტივები ისეთ რთულ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე. ნებისმიერ მოაზროვნე და, მით უმეტეს, განათლებულ ადამიანს, კარგად ესმოდა, რომ წყდებოდა არა მარტო ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენის, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხი და კომფორმისტული დამოკიდებულება, პასიურობა ამ თემის მიმართ, სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ იღვწოდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და თავიანთ შესაძლებლობებს - გონებრივს, ეკონომი-

კურს, ფიზიკურსა თუ სხვას, მაქსიმალურად იყენებდნენ საქართველოს ფეხზე წამოსაყენებლად.

ალექსანდრე მიქაბერიძე დაიბადა 1866 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავში. სწორედ ამ სოფელს უკავშირდება მისი ერთ-ერთი ფსევდონიმი „ყუმისთაველი“ (მეორე ფსევდონიმი - „პელაგიაშვილი“, სავარაუდოდ, დედის სახელიდან აიღო). ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში იგი დაინტერესდა სოციალური და პოლიტიკური საკითხებით და სხვა, პოლონეთში მყოფ ქართველებთან ერთად, ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს თავისუფლების ლიგას“, რომლის წევრიც აღ. მიქაბერიძე გახდა, იმ-



ალექსანდრე მიქაბერიძე

პერიის სხვადასხვა ქალაქში ჰქონდა თავისი განყოფილებები. „ლიგის“ ვარშავის წრე ერთ-ერთი ყველაზე გვიან შექმნილი ორგანიზაცია იყო და 1891-1892 წლებში, ე.ი. დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც ალ. მიქაბერიძე იქ სასწავლებლად იმყოფებოდა, მის გარდა 10 წევრს ითვლიდა. მათ შორის იყვნენ ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანიას, თედო სახოკია და სხვები [5]. „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ ვარშავის წრის წევრებმა და, მათ შორის, ალ. მიქაბერიძემაც, შეიმუშავეს ლიგის პროგრამა-წესდება. სწორედ ეს წესდება გახდა მიზეზი მოგვიანებით, უკვე საქართველოში დაბრუნებული ალ. მიქაბერიძის დაპატიმრებისა. სხვებთან ერთად მას ბრალად ედებოდა არსებული წყობილების დამხობის მიზნით საიდუმლო რევოლუციური საზოგადოების შედგენა და „მავნე აზრების“ პროპაგანდა. ალ. მიქაბერიძეს საბოლოოდ მიუსაჯეს ექვსი თვის პატიმრობა, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ მის მიმართ დაწესდა პოლიციის ზედამხედველობა 2 წლით [5].

ვარშავიდან დაბრუნებულმა ალ. მიქაბერიძემ თავისი პროფესიის მიხედვით გააგრძელა საქმიანობა. ჯერ თბილისში სასამართლოს კანდიდატად ჩაირიცხა, მოგვი-

ანებით გადავიდა ქ. განჯაში და საგლეხო საქმეთა სამმართველოში დაიწყო მუშაობა, პარალელურად აქტიურად მოღვაწეობდა კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში. აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა თემაზე. მისი კორესპონდენციები არ იყო მხოლოდ ამბების უბრალოდ აღწერა. იგი აანალიზებდა მწვავე საკითხებს და საკამათო სივრცეს უტოვებდა მკითხველს.

ზოგადად, განათლება იყო ალ. მიქაბერიძისათვის ყველაზე მიმზიდველი და, ამავე დროს, ყველაზე საპასუხისმგებლო სამოქმედო ასპარეზი. მას კარგად ესმოდა, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ახალგაზრდობიდანვე აქტიურად ჩაერთო ისეთ ფართომასშტაბიან საზოგადოებრივ მოძრაობაში, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების წევრობა ალ. მიქაბერიძისთვის იყო საკუთარი შესაძლებლობებისა და შრომისუნარიანობის გამოვლენის საუკეთესო საშუალება და ისიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ საქმეს. მოგვიანებით ალ. მიქაბერიძე აირჩიეს ქშნკგს-ს მდივნად (დავით კარიჭაშვილის ნაცვლად). 1899 წლის 4 ივლისის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ქართულ საზოგადოებას აუწყებდა: „დავით კარიჭაშვილის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება მდივნობას ნ.კ.გ საზოგადოებაში, გამგეობას მიუწვევია ახალგაზრდა კაცი ბ-ნი მიქაბერიძე, რომელიც ამჟამად განჯაში იმყოფება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი მიქაბერიძე გულმხურვალედ მოეკიდება იმისთვის ახალს საქმეს, და ახალგაზრდობის ხალისით და თავგამოდებით ჩაებმება ამ საპატიო თანამდებობას. ახალ მდივანს მოელიან ამ თვის შუა რიცხვიდან“ [1].

ალ. მიქაბერიძეს ქშნკგ საზოგადოებაში მუშაობის პერიოდში საშუალება მიეცა პირადად გაეცნო ისეთი დიდი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. მათთან თანამშრომლობა იყო უდიდესი პატივი და სასიკეთო გამოცდილება ახალგაზრდა კაცისათვის. მოგვიანებით ალ. მიქაბერიძემ შეჰქმნა მოგონებათა მთელი სერია თავის თანამედროვეთა შესახებ, მათ შორის ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილზე.

განსაკუთრებით საინტერესოა მოგონებები იაკობ გოგებაშვილზე. ქშნკვ საზოგადოების გამგეობის წევრობის პერიოდში მას ხშირად უწევდა ამ დიდ მოღვაწესთან საქმიანი ურთიერთობები საგანმანათლებლო საკითხებზე. პირველივე შეხვედრის დროს იაკობ გოგებაშვილმა მოუწონა ალ. მიქაბერიძეს ქშნკვ საზოგადოების საქმეებში მონაწილეობის მზადყოფნა. ალ. მიქაბერიძე იგონებდა დიდი პედაგოგის სიტყვებს: „დიდად სასიამოვნოა, რომ თქვენ უმაღლესი სწავლით შეიარაღებულ ახალგაზრდას განზრახვა გაქვთ საზოგადოების საქმიანობაში ჩაებათ და ერთგვარი სამსახური გაუწიოთ ქართველი ხალხის გონებრივად განვითარების საქმეს“. ამავე დროს, ი. გოგებაშვილმა ქშნკვ საზოგადოების მდივნის მოვალეობის დიდი მნიშვნელობაც აუხსნა ახალგაზრდა კაცს: „მდივანი სული და გულია ყოველივე ჩვენი საქმიანობისა... თუ საზოგადოების მდივანი თავის სიმალლეზე იდგება, თუ საქმის სიყვარულს და ერთგვარ გამჭრიახობას გამოიჩინს, იგი, უეჭველია, ჩვენ სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევს და სწავლა-აღზრდის საქმესაც წესიერად დააყენებს“ [3].

ალ. მიქაბერიძე ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა ჯერ თბილისის, შემდეგ კი ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და კარგად იცნობდა იმ პერიოდის საგანმანათლებლო სისტემას, მის ხარვეზებს.

ი. გოგებაშვილი, როგორც ჩანს, დიდად აფასებდა ალ. მიქაბერიძის ცოდნასა და კეთილსინდისიერებას. სხვა შემთხვევაში იგი არ ჩართავდა მას ისეთ დელიკატურ საქმეში, როგორც იყო ქუთაისის ქართული გიმნაზიის რევიზია იქ მომხდარი დაპირისპირების გასარკვევად და, რომელსაც ალ. მიქაბერიძემ სხვებთან ერთად წარმატებით გაართვა თავი. ამავე დროს, მას ი. გოგებაშვილთან ერთად რამდენჯერმე მოუწია ქშნკვ საზოგადოების სკოლების მუშაობის შემოწმება.

ალ. მიქაბერიძე როგორც პუბლიკაციებით, ასევე საგანმანათლებლო პროცესებში აქტიური ჩარევით (თავისი უფლებამოსილების ფარგლებში) სასტიკად ილაშქრებდა ისეთი სასწავლო-აღმზრდელობითი ფორმების წინააღმდეგ, რომლებიც ბავშვებს უმახინჯებდა ფსიქიკას, ურთულებდა ახალი მასალის შესწავლის პროცესს და

საბოლოო სასიკეთო შედეგს - ხარისხიანი განათლების მიღების საშუალებას არ აძლევდა. ერთ-ერთ ყველაზე მავნე ფორმად მას მიაჩნდა საგნების არამშობლიურ ენაზე სწავლება. იგი ასევე დაბეჭითებით უარყოფდა ე.წ. სწავლების მუნჯურ მეთოდს, როცა არამშობლიური ენის შესასწავლად მშობლიური ენის გამოყენების ნაცვლად პედაგოგები იყენებდნენ თვალსაჩინოებას, ჟესტიკულაციას, მიმიკას და ზოგჯერ სასაცილოდაც გამოიყურებოდნენ გაკვეთილზე. ასეთი მეთოდით სწავლება არაეფექტური იყო და მისი შეცვლის აუცილებლობას ბევრი ხედავდა.

ალ. მიქაბერიძე განათლებას კომპლექსურ ჭრილში განიხილავდა. მას მიაჩნდა, რომ სასწავლებელში ყველანაირი პირობა უნდა შექმნილიყო სრულყოფილი სწავლა-აღზრდის პროცესისათვის, რაც სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობდა ჰარმონიული ურთიერთობას პედაგოგსა და მოსწავლეს შორის. მოსწავლეთა ფიზიკური ან სხვა სახის დასჯა მას მიუღებლად მიაჩნდა. მისი აზრით, სასწავლო პროცესში აქტიურად უნდა ჩაბმულიყვნენ მშობლებიც და საზოგადოებაც და სასწავლებელთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ პრობლემური საკითხების მოგვარებაში. იგი მოუწოდებდა საზოგადოებას, შეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლების მიერ თავსმოხვეულ არაეფექტურ სასწავლო მეთოდებს. ურჩევდა, რომ შვილებისთვის მომავალი პროფესიის არჩევისას გაეთვალისწინებინათ მათი უნარებიცა და სურვილებიც.

ისე მოხდა, რომ ალ. მიქაბერიძეს აქტიური საგანმანათლებლო მოღვაწეობა მოუწია სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოში - ჯერ რუსეთის იმპერიულ სახელმწიფოში, მერე დამოუკიდებელ საქართველოში. 1918 წელს იგი დაინიშნა განათლების უწყების ცენტრალური სამმართველოს დირექტორის მოადგილედ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან კი ალ. მიქაბერიძე გახდა სახალხო განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველი, რასაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1928 წელს თავი დაანება და გავიდა პენსიაზე.

წლების განმავლობაში, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების პერიოდიდან დაწყებული სიცოცხლის ბოლომდე, ალ. მიქაბერიძე პარალელურად ეწეოდა ნაყო-



ფიერ ლიტერატურულ საქმიანობას. იგი თანამშრომლობდა ქართულ საბავშვო პერიოდულ გამოცემებთან, აქვეყნებდა წერილებს ქართული საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობისა და მისი განვითარების პრობლემების შესახებ. თვითონაც წერდა მოთხრობებს, ამავე დროს, თარგმნიდა გერმანული, პოლონური და რუსული ენებიდან სხვადასხვა ავტორთა თხზულებებს და ასე ამდიდრებდა ქართულ ლიტერატურას.

განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ შესრულებული თარგმანები ძველი ბერძნული და ლათინური ენებიდან. „ტროადის ომი“ ჰომეროსის პოემა „ილიადას“ თავისუფალი თარგმანია, რომელიც პირველად 1921 წელს დაიბეჭდა და შემდეგ განმეორებით ორჯერ გამოიცა. 1920-1930-იან წლებში ასევე გამოვიდა ალ. მიქაბერიძის წიგნები „ოდისეა“, „ოვიდიუსის მეტამორფოზები“ და „ელინური მითები“. ეს უკანასკნელი მე-20 საუკუნის თითქმის 70-იან წლებამდე ძალიან პოპულარული იყო ქართველ ახალგაზრდობაში. მიუხედავად იმისა, რომ „ელინური მითების“ ორივე ტომის ტირაჟი 10.000 აღწევდა, მისი რაოდენობა მაინც არ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. ხშირად ბიბლიოთეკებში მასზე რიგიც კი იდგა. ამ წიგნმა, ფაქტობრივად ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აბრკოლებდა ანტიკური ლიტერატურის ქართულ ენაზე გაცნობის საშუალებას. ალექსანდრე მიქაბერიძე გარდაიცვალა 1942 წელს. დასკვნის სახით მი-

ნდა გავიმეორო თედო სახოკიას სიტყვები: „ალექსანდრე მიქაბერიძეს შეუძლია თავის სამშობლოს უთხრას: ჩემი სიცოცხლე, ჩემი ცოდნა, ჩემი ძალ-ღონე შენს სამსახურს ვანაცვალეო. გარეშე შენის სამსახურისა, გარეშე შენის სიყვარულისა ჩემთვის სხვა სიყვარული და სხვა სამსახური არ არსებობდაო; შენა მყავდი მარად სახსოვრად, მარად საესავად, მარად სასამსახუროდ, და ამ სამსახურში, ამ სიყვარულში ამომხდა სულიო“ [4].

### ლიტერატურა

1. **ახალი მდივანი ნ.კ.გ. საზოგადოებისა** // ცნობის ფურცელი. - 1899. - 4 ივლისი. - N858. - გვ. 2.
2. **კეკელიძე, მ.** ალექსანდრე მიქაბერიძე // სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. - თბ., 1955. - გვ. 285-296
3. **მიქაბერიძე, ალ.** „მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე// იაკობ გოგებაშვილი : საიუბილეო კრებული. - თბ. : სტალინის სახელობის სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1940. - გვ. 311.
4. **სახოკია, თედო.** ალექსანდრე მიქაბერიძე // ჩემი საუკუნის ადამიანები : მოგონებათა ფურცლები / თედო სახოკია. - თბილისი, 1969. - გვ. 243-246
5. **შველიძე, ზაქარია.** რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“. - თბ., 1969. - გვ. 25-26, 94

### გურამ თაყნიაშვილი

ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება - 140

### დავით კარიჭაშვილი - ყოველმხრივ განათლებული და ზნეობრივად ამაღლებული

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქართული კულტურის ამაგდარნი დავით კარიჭაშვილს ახასიათებენ როგორც ყოველმხრივ განათლებულს, თავდადებულ მამულიშვილსა და ქართული საქმის ნამდვილ მკეთებელს, შემოქმედს, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მე-19 საუკუნის

მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის 20-იანი წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართულ კულტურასა და მეცნიერებაში. დავით კარიჭაშვილი იყო ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვეს სიმონ



დავით კარიჭაშვილი

ჯანაშიამ, იპოლიტე ვართაგავამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა. დავით კარიჭაშვილმა ზედმინწევით იცოდა საქართველოს ისტორია, შეადგინა თედო ჟორდანიას ქრონიკები, ივანე ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“. არ იყო ოფიციალური კრიტიკოსი, თუმცა კარგად ერკვეოდა ლიტერატურულ პროცესებში; არ იყო განათლებით ენათმეცნიერი, მაგრამ მაღალ აკადემიურ დონეზე შეადგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მანვე მეცნიერული ანალიზი გაუკეთა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს.

დავით კარიჭაშვილი 1899 წლამდე იყო ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე. 1914 წლიდან ამავე საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი ყაზბეგის ამხანაგია. 1918 წლიდან იყო საზოგადოების საპატიო წევრი. 1922 წლამდე ასრულებდა საზოგადოების ბიბლიოთეკა-ნიგნსაცავის და მუზეუმის გამგის მოვალეობას. 1922 წლიდან 1927 წლამდე იყო საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. მისი, როგორც საზოგადოების მდივნის მოღვაწეობას ასე ახასიათებდა „ცნობის ფურცელი“: „თუ კი რამე არის გაკეთებული, ეს არის დ. კარიჭაშვილის ნაყოფიერი შრომით და მისი ნათელი გონე-

ბით, მისი მდივნობის დროს მოწესრიგდა საზოგადოების საქმეთა წარმოება, წიგნით ვაჭრობა, დასრულდა საზოგადოების წიგნსაცავისა და არქეოლოგიური ნივთების სისტემატური აღრიცხვა-კატალოგიზაცია. „უმთავრესი საზრუნავი ის არის, - წერდა იგი, რომ ჭიასა და ნესტს გამოვაცალოთ მწერლების სახსოვრები და მოვათავსოთ კარგად შენახულ საცავებში, სახსოვრების სახელებისა და შინაარსის გაგება პირველი ფეხის გადადგმა იქნება მწერლობის ისტორიისკენ“.

დავით კარიჭაშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში დავანებული ძვირფასი ხელნაწერებისა და წიგნების დანიშნულება. 1898 წელს ამის შესახებ იგი წერდა: „ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავებში შეგროვილი მწერლობის ნიმუშების შესწავლა, უეჭველია, ბევრს ისეთს რამე საღმთაჩენს, რაც ჯერ არავინ იცის, და რომელიც დაგვიმტკიცებს ქართული ენის განვითარებას, ქართული ლიტერატურის სიმდიდრეს, ქართველების წარმატებას ცხოვრების წარსულში, მის პოლიტიკურ ძალ-ღონეს და ეროვნულ სიცხოველეს, ასეთი შესწავლა შეგროვილი მასალისა ფრიად მაღლა ასწევს უცხოთა თვალში ქართველების ვინაობას, ხოლო ჩვენ, ქართველებს, გაითვალისწინებს რა ჩენს წარსულს, იმედიანად და სასოებით შგვახედებს მომავლისაკენ და ერთი ათასად მეტს სულიერსა და ზნეობრივს ძალას შეგვმატებს განვითარებისათვის სამეცადინოდ“.

1905 წელს გამოცემულ „კატალოგი ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა“ დ. კარიჭაშვილი წერდა: „კატალოგიდან ჩანს ჩვენი წიგნსაცავის სიმდიდრეც და სიღარიბეც. ეს წიგნსაცავი ვერ შეიქმნებოდა, თუ შეგნებული ქართველები არ დაეხმარებოდნენ და არ შემოეწირათ თავიანთი წიგნები. ამ კატალოგის გაცნობის შემდეგ ქართველები უფრო მეტად მოიწადინებენ და წიგნსაცავი მალე გადაიქცევა ნამდვილ საერო ბიბლიოთეკად“. აღნიშნული კატალოგი შედგება 19 განყოფილებისაგან. თითოეულ განყოფილებაში ცალკეა გამოყოფილი ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნები. ხელნაწერ წიგნებში მითითებულია სახელწოდება, ავტორი და მთარგმნელი; საწერი მასალა ეტრათი, ქალაქი, ხელნაწერი

- ხუცური, მხედრული, ზომა, გვერდების რაოდენობა, რიცხვი და ნომერი, რომლითაც ჩაწერილია საზოგადოების წიგნთა ნუსხაში; ნაბეჭდი წიგნის პირველი გვერდიდან აღებულია ცნობები: ავტორი, მთარგმნელი, ადგილი და დრო გამოცემისა; უავტორო წიგნები აღწერილია სათაურზე, კრებულის აღწერილობის შემთხვევაში ქვესათაურშია მითითებული ამის შესახებ.

1911 წელს ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „კატალოგი ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა“ დამატება პირველი. კატალოგი, ისევე, როგორც 1905 წლის გამოცემა, შედგება 19 განყოფილებისაგან. ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების აღწერილობანი ისეთივე პრინციპითაა წარმოდგენილი, როგორც 1905 წლის გამოცემულ კატალოგში. თითოეულ აღწერილობას აუცილებლობის შემთხვევაში დაერთვის შენიშვნები და განმარტებები. კრებულების აღწერილობის შემთხვევაში ფრჩხილებშია მითითებული ამის შესახებ (კრ.), ბევრგან გახსნილია კრებულის შინაარსი.

დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი კატალოგების სტრუქტურულ ანალიზს აქ ვერ შევხებით შეგნებულად. ორივე კატალოგი ყოველმხრივ განხილულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. ლორთქიფანიძე, ნ. სიხარულიძე). მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ დ. კარიჭაშვილის მრავალმხრივი სამეცნიერო მუშაობის შესახებ, სადაც მან შექმნა ღრმად მეცნიერული ნაშრომები ფილოლოგიის და საისტორიო მეცნიერებებში. ფილოლოგიური შრომებიდან აღსანიშნავია: ქართული ენის გრამატიკა (1929); ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (1929); ხუცური ანბანი (1914); „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა (ჟურნ. „განათლება“, 1913, №6); მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, 24.01); საისტორიო შრომებიდან აღსანიშნავია: თამარ მეფე (ტფ., 1892); ქეთევან დედოფალი („საქ. კალენდარი“, 1893); მეფე დავით აღმაშენებელი („საქ. კალენდარი“, 1892); საქართველოს მოკლე ისტორია, ნაწ. 1 (1907); როსტომ მეფე (1894); სვიმონ მეფე (1894). დ. კარიჭაშვილის შრომებისა და მათზე გამოქვეყნებული რეცენზიების სრული სია დაერთვის წერილის ბოლოს დასახელებულ ლ.

კარიჭაშვილის ნაშრომს. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების 1895, 1910 და 1919 წლების გამოცემებს დაერთვის დ. კარიჭაშვილის ვრცელი წინასიტყვაობა. დ. კარიჭაშვილი 35 წელი ემსახურა ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. ამის შესახებ ს. ჯანაშია წერდა: „დ. კარიჭაშვილმა თავისი ზნეობრივი და ფიზიკური ენერჯია შესწირა ამ საქმეს და უთუოდ ელოდა, რომ ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება იტყოდა მის საფლაგზე პირველ სიტყვას, მაგრამ ბედისწერამ თვით მას დააკისრა საზოგადოების ლიკვიდაცია, სულ რამოდენიმე თვით ადრე გარდაცვალებამდე“. როგორც ცნობილია ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელ საზოგადოება გაუქმებულად გამოცხადდა 1927 წელს.

ცნობილია დ. კარიჭაშვილის ნაშრომები ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის საკითხებზე. მან პირველმა შეადგინა „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“: 1819-1904, რომელიც დაიბეჭდა „წიგნის მეგობარში“ (1925, №1-2). პერიოდული გამოცემების მიმოხილვა გააგრძელა ალმანახში „ქართული მწერლობა“ (1929, ნ. 4, №6-7); „წიგნის მეგობარში“ (1925) დ. კარიჭაშვილმა გამოაქვეყნა საკუთარი მოსაზრებები „როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი“. დ. კარიჭაშვილს ეკუთვნის ვრცელი რეცენზია პ. გუგუშვილის წიგნზე „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ (თბ., 1929); // „მნათობი“, 1929. - №5-6. დ. კარიჭაშვილის ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სათანადოდ შეაფასეს ალ. ბარამიძემ, შ. დავითაშვილმა, ი. ვართაგავამ, ე. თაყაიშვილმა, გ. იმედაშვილმა, პ. ინგოროყვამ, ს. კაკაბაძემ და სხვა ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა.

დავით კარიჭაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა 1887 წლიდან უკავშირდება ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას; სხვადასხვა წლებში იყო მისი მდივანი, საპატიო წევრი, გამგეობის თავმჯდომარე. თითქმის 40 წლის განმავლობაში იგი უმნიშვნელოდ ემსახურა აღნიშნულ ეროვნულ საქმეს, ემსახურა ერთგულად, მამულიშვილური ვალდებულებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით.

დ. კარიჭაშვილს მისი თანამედროვენი ახასიათებენ როგორც საზოგადოებრივი საქმისათვის თავდადებულს, ქართული

საქმეებისათვის შეუპოვარ მებრძოლსა და ენერგიულ მამულიშვილს. „თავად უწყინარი იყო, წერს ერთი მისი თანამედროვეთაგანი, არც გარეგნობით იქცევდა ყურადღებას, სახით, იერით, მიხვრა-მოხვრით ნამდვილი სასულიერო წოდების შთამომავალი იყო, მსჯელობის მანერა შეუპოვარი ჰქონდა, იყო თავდაჯერებული და პრინციპული“.

დ. კარიჭაშვილის ნაშრომებმა ქართული წიგნის ისტორიის, პერიოდული გამოცემების მიმოხილვისა და ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი

ბელი საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგების დარგში ნათელი მოჰფინა ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

დ. კარიჭაშვილის შრომების ბიბლიოგრაფია, წერილები და სხვა სახის მასალები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხილეთ წიგნში: ლ. კარიჭაშვილი - მსახურება ღვთისა და ერისა: დავით კარიჭაშვილის ღვაწლი.-თბ., 2013.-172 გვ.

## კორესპონდენციები

### ნანა დარჩიაშვილი პოეტი

### დაუვინყარი დღე

ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში  
აღ. ლორიას ლექსთა კრებულის "ოცნებათა ნაკადების" პრეზენტაცია

„შენთან ვიყავ, შენი ვარ და  
მუდამ ასე მეგონა:  
მე რაინდი ვიყავ შენი,  
შენ კი- ჩემი გოგონა...“

(ამონარიდი ლექსიდან „მუდამ ასე მეგონა“)

რა ბედნიერებაა, როცა წიგნს იღებ ხელში, გადაფურცლავ და ნაკითხულ ბნ-კარებში საკუთრ თავს დაინახავ, საკუთარ ფიქრებს შეეხმიანები, თვალწინ გაგიცოცხლდება ყმანვილქალობა, წარსული...მომავლის იმედით ფრთაშესხმული აგრძელებ კითხვას და გრძნობ, რომ ავტორმა შენს გულში დაიბუდრა.

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ოდითგან ნათქვამ

ბრძნულ აზრს უფალი როგორ დააფრთიანებს, წინასწარ არავინ იცის, მემატია-ნე ხომ დრო არის, პირველი თებერვალი ერთი ამგვარი დღეა, კითხვის დღე. ეს იყო ერთი ასეთი საინტერესო დღე ჩვენს მთავარ ბიბლიოთეკაში. სადაც შედგა ალექსანდრე პარმენის ძე ლორიას საუკეთესო ლექსთა კრებულის „ოცნებათა ნაკადების“ პრეზენტაცია. აღ. ლორია, როგორც ცნობილია, პოეტური ნაწარმოების გარდა, არაერთი პროზაული ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორია. იგი არის პროფესიული ჟურნალის- „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დარგის თვალსაჩინო მოღვაწე და, რაც მთავარია, შესანიშნავი ადამიანი, ერთგული მამულიშვილი, რომელიც ღირსეულად დააბიჯებს ქართულ ცისქვეშეთში.

სალამო მიჰყავდა, არ შევცდები თუ ვიტყვი, პოეტ ქალბატონს, ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელს ცისანა ქოჩეჩაშვილს. პოეტი არა ვარო ამ-





ბობს, მაგრამ განა მის კალამს არ ეკუთვნის ეს ბნკარები?

„ქართულს მიქებენ, სასაუბროს, სალაპარაკოს, თითქოს რაღაცა გამორჩულს ამბობენ ჩემზე, მე კი არ მიკვირს, არ მაოცებს ჩემი ქართული, რადგან არ მიკვირს მთვარის შუქი, ან ჩიტი ხეზე...“

ქალბატონი ცისანა უთვალავი საინტერესო ღონისძიების ინიციატორია. მადლობა მას, რომ პირადად შემახვედრა ალექო ლორიას, რომელმაც 85 წლის ასაკში მეოცე წიგნი შემატა ქართულ ლიტერატურას, თუმცა რა გასაკვირია, როცა ბატონი ალექო იმ უკვდავი მამის შვილია, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში.

საღამოს ესწრებოდნენ დედაქალაქის მთავარი ბიბლიოთეკისა და სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლები, ახალგაზრდები, ნორჩი მკითხველები, ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ერთგული მეგობრები. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ჩემი პირადი სიხარული, რომ ეს შეკრება შედგა ყველსათვის უსაყვარლეს შენობაში-მთავარ ბიბლიოთეკაში, სადაც ორ წელზე მეტია, ღონისძიებები არ ტარდებოდა. საბედნიეროდ, უფლის ნებით, დაგვიდგა საინტერესო დღე, როგორც ახალი კრებულის მკითხველთათვის გაცნობის, ამავე დროს წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე. სიხარული გულში ვერ დავტყე და ექსპრომტლექსით მივულოცე როგორც ავტორს, ასევე მთელ დარბაზს მთავარ ბიბლიოთეკაში ჩვენი შეკრება.

დამსწრე საზოგადოება სულგანაბულად უსმენდა სიტყვაში გამომსვლელებს, რომლებიც ულოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს ავტორს და თბილ სიტყვებს არ იშუ-

რებდნენ. ესენი გახლდათ: საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე ბატონი თემურ ჩალაბაშვილი, უნივერსიტეტ ილიას უნიის ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, პოეტი, ჟურნალისტი გულნარა სტურუა, 42-ე ბიბლიოთეკის თვალსაჩინო ბიბლიოგრაფი მზია ტოგონიძე, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი გურამ თაყნიაშვილი, ივ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტი - არაერთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ლელა თოთაძე, რომელმაც საკუთარი ლექსით მიულოცა ეს დღე კრებულის ავტორს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლელა თოთაძე 10 წელია მეგობრობს „საგულისონთან“. საღამოზე თავი გამოიჩინეს მხატვრული კითხვის ოსტატებმა- თბილისის 190-ე სკოლის მე-7 კლასელებმა ნუცა კურტანიძემ და ნუცა ქუთათელაძემ, რომლებმაც წაიკითხეს ავტორის ახალი საბავშვო ლექსები: „საქართველო მოიარე“, „არაუშავრს რა“ და სხვ. 53-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლემ გიორგი ნიფურიამ და მისმა პატარა ძმამ, საბავშვო ბაღის მოსამზადებელი ჭგუფის აღსაზრდელმა ლექსით „რისთვის“ და სხვ. მადლობა 42-ე ბიბლიოთეკის გამგეს მანანა საგანელიძეს და მზია ტოგონიძეს გამომსვლელების მომზადებაში.

განა მართო უფროსები? დარბაზს პანსიონატის ბავშვებიც ამშვენებდნენ, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხიდან არიან ჩამოსულნი, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლები. ეს ბავშვები არამარტო სწავლობენ პანსიონატში, არამედ იქ ცხოვრობენ კიდევ. ამ ბავშვთა კრებულს ქალ-



ბატონმა ცისანა ქოჩიაშვილმა „თამარ მეფის ლაშქარი“ შეარქვა. მადლობა მენუჯერს რუსუდან რევაზიშვილს და პანსიონატის ლექტორს მამა მირიანს.

ასეთი დიდებული დღე იყო 2019 წლის პირველი თებერვალი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში, რომლის კედლებშიც გაისმოდა გამომცემლობა „ნიგნი+ერის“ მიერ დასტამბულ ლექსთა კრებულში 1961 წლიდან მოყოლებული, დღევანდელი დღის ჩათვლით მრავალფეროვანი თემატიკის

სულში ჩამწვდომი ალ. ლორიას ლექსთა ბზვარები.

საგულისხმო იყო კრებულის გამომცემელი ორგანიზაციის „ნიგნი+ერის“ ხელმძღვანელის ქალბატონ მზია რაზმაძის გამოსვლა, რომელმაც მოკლედ იასაუბრა ავტორთან მუშაობის საკითხებთან დაკავშირებით.

დასასრულს ავტორსა და დაამსწრეებს საგულისხმო სიტყვებით მიულოცა ახალი ლექსთა კრებულის გამოცემა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ბ-ნ გოჩა ბოკუჩავამ, რომელმაც ალ. ლორიას გადასცა საპატიო სიგელი. სალონ „საგულისონის“ სახელით ავტორს გადაეცა ორიგინალური საჩუქრები.

დღეგრძელი იყავით ბატონო ალექსანდრე, რომ კიდევ და კიდევ თქვენი სულის ამოძახილი ფურცლებზე დააფრქვიოთ და კვლავაც ახალი წიგნებით გაახაროთ პოეზიის მოყვარულნი.

„კვლავაც მრავალ წელს იცოცხლე, ქართული ზეცის ცქერაში,

შეგრჩეს ჯანი და გონება, არ დაიღალო წერში.

ცის გუმბათამდე გაფინე შენი გულწრფელი ფიქრები,

ღმერთმა გიმრავლოს მკითხველი, ვითარცა თოვლის ფიფქები...”

თქვენი შემოქმედებით მოხიბლული პოეტი **ნანა დარჩიაშვილი**, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურიატი.

## გიორგი გაბუნია

### დაგვიანებული პენიშვნა ჩემ მიერ დაშვებული ერთი ლაფსუსის შესახებ

1985 წელს გამოცემული კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ანთომეულის VIII ტომში შეტანილია (უმნიშვნელო ცვლილებებით) დიდი შემოქმედის მიერ 1963 წლის 13 მაისს დაწერილი კრიტიკული სტატია, სათაურით „ფიქრები პოეზიის გამო“ (იხ.: გვ. 197-200), რომელიც პირველად იმავე წლის 19 მაისს გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (იხ.: N20,

გვ. 3). ხსენებულ სტატიაში არის ორი ამგვარი პასაჟი:

1. „პოეზიის დღეს მე არ შემძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ერთ საშიშროებას, ეგ არის ის სარეველა, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის როგორც თანადროულ რომანს, ნოველლას, ისე ლექსს. ეგ არის ვულგარული პუბლიცისტიკის, ჟურნალიზმის მოძალეა.

კიდევ არსებობს ერთი დიდი საფრთხეც: ეს გახლავთ **„აფორიზმი“**<sup>1</sup> (ხაზგასმა ჩემია - გ.გ.) (ტ. VIII, გვ. 199).

2. „პოეზიის ტრადიციულ დღეს უნდა მოვუწოდოთ ჩვენს კრიტიკას: გაამახვილონ ბრძოლა „ნოვატორების“ გალიმათიის წინააღმდეგ, ყველამ ვებრძოლოთ **„აფორიზმსა“** (ხაზგასმა ჩემია - გ.გ.) და მოშვებულ ჯაბნას, თორემ ნამდვილი პოეზია დიდი საფრთხის წინაშეა დამდგარი“ (ტ. VIII, გვ. 200).

ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც შევუდექი კონსტანტინე გამსახურდიას უმდიდრესი ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლას, სახელოვანი კალმოსნის ზემოაღნიშნული სტატიის დამუშავებისას, ჩემდა სამარცხვინოდ, როგორც იტყვიან, „თვალის გამექცა“ და დასახელებული პასაჟების ფურცელზე გადმოტანისას, სიტყვა „**აფორიზმის**“ ნაცვლად შეცდომით გადმოვწერე „**აფორიზმი**“, რომელიც, ცხადია, არაფრით არ „ჯდება“ ბატონ კონსტანტინეს ნააზრვეის შინაარსობრივ დატვირთვაში და ისე რომ ტექსტი არ გადავამოწმე, ავდექი და სასწრაფოდ

<sup>1</sup>დოგმატური განსაზღვრება.

„გამოვაცხვე“ წერილი „კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ერთ პუბლიკაციაში გამოყენებული ტერმინ „აფორიზმის“ მართებულად გაგებისათვის“, რომელიც 2015 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (იხ.: N3, გვ. 27-28).

ამას წინათ კვლავ მომიწია ქართული მწერლობის დიდოსტატის ხსენებული სტატიის გადაკითხვა და, როგორც კი „აღმოვაჩინე“ ჩემი უყურადღებობით დაშვებული აშკარა უზუსტობა, რომლის გამოც, თურმე, სრულიად ამაოდ და ტყუილად „გავრჯილვარ“, სასწრაფოდ კალამი ავიღე ხელში და დავწერე წინამდებარე დაგვიანებული ერთგვარი „მონანიება“, რომლითაც საჭაროდ მინდა ბოდიში მოვიხადო კონსტანტინე გამსახურდიას ნათელი ხსოვნის წინაშე, ასევე ბოდიში მოვუხადო „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციას, ამ ჟურნალის ყველა ერთგულ მკითხველსა და საერთოდ, მთელ ჩვენს მკითხველ საზოგადოებას. იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი ლაფსუსის გულწრფელად აღიარების შემდეგ, ჩემი ეს „ცოდვა“ მათი მხრიდან დიდსულოვნად მიმეტევება.

## მაია სიმონიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი

### ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის ვიზიტი ამერიკის ბიბლიოთეკებში (ემიგრანტთა არქივები სამშობლოში ბრუნდება)

2019 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაცია: გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე, საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი და ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი, მთავარი სპეციალისტი მაია სიმონიშვილი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლების ათდღიანი შეხვედრები საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. საქართველოს

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევით, ნიუ-იორკში, ქვინსის ბიბლიოთეკაში, ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა. კოლექციაში ასობით ქართული გამოცემა, ფილმი და აუდიოჩანაწერი ინახება.

„ეს პროექტი სამი წლის წინ, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის, მაია სიმონიშვილის ინიციატივით დაიწყო, პირველი საჩუქარი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამოვგზავნეთ, ახლა მუშაობის ეტაპი სიმბოლურად დასრულდა. მადლობა მხარდაჭერისთვის ბიბლიოთეკის ახალ ამერიკელთა პროგ-



რამების ხელმძღვანელს, ბატონ ფრედ გიტნერს, „ამერიკის ხმას“, საქართველოს საკონსულოს ნიუ-იორკში, გამომცემლობა პალიტრა L-ს.“ აღნიშნა გიორგი კეკელიძემ.

ქვინსის ბიბლიოთეკა ნიუ-იორკში ერთ-ერთი უდიდესი საბიბლიოთეკო სისტემა არის, რომელსაც ბრუნვაში ყოველწლიურად 13,5 მილიონი წიგნი აქვს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, ქალაქში განთავსებული ყველა ფილიალის მუშაობას გავეცანით. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სექციებმა თინეიჯერების ხელშეწყობისა და ახალ ემიგრანტთა სამოქალაქო ინტეგრაციისთვის, სადაც ყველაფერი კეთდება, რომ მათ თავი სრულფასოვან, დაცულ და სრულფლებიან, მოქალაქედ იგრძნონ.



ნიუ-იორკში ვიზიტისას ვენჯივთ ცნობილ ქართველოლოგს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ბრიტანელ პუბლიცისტსა და ისტორიკოსს, პიტერ სკინერს. ბატონი პიტერი სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, ასწავლიდა კერძო სკოლებში, მუშაობდა გაეროს ოფისში, ჟურნალ „თაიმზის“ გამომცემლობასა და სხვადასხვა კერძო დანესებულებაში. ხშირად მოგზაურობდა, მათ შორის, მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ხშირად აქვეყნებს ახალი წიგნებისა და აკადემიური პუბლიკაციების მიმოხილვებს. მისი წიგნი „მსოფლიო სავაჭრო ცენტრი“ (2001 წ.) ითარგმნა რვა ენაზე. საქართველოში მას შემდეგ მოგზაურობს, რაც მარტორი უორდროპის თარგმნილ, ილია ქავჭავაძის პოემაში „განდეგილი“ კავკასიონი აღმოაჩინა. ის აქტიურად მონაწილეობს ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიებებში. 2013 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა სკინერის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ: „საქართველო — ქვეყანა კავკასიონის ქვეშ“, რომელსაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ და უცხოურ პრესაში.

ბატონი პიტერის სახლში, საქართველოს შესახებ უცხოურ ენაზე გამოცემული



წიგნების უდიდესი კოლექცია ინახება. მასთან შეხვედრა ძალზე მნიშვნელოვანი მიზნით შედგა: ბატონი პიტერის სურვილია, თავისი „ქართული კოლექცია“ ეროვნულ ბიბლიოთეკას აჩუქოს, მხოლოდ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე. ეს შეთანხმება უკვე მომზადებულია და მისი განხორციელების ეტაპების შესახებ, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.



ნიუ-იორკის შემდეგ, სპონტანურად ვენციეტ ცნობილი ქართველი დისიდენტისა და ემიგრანტის, ვალერი ჭალიძის მეუღლეს. მისი მოღვაწეობის შესახებ, ვიზიტის დაგეგმვის შემდეგ შევითყვეთ და როდესაც მისი მეუღლის გამოხმაურებაც მივიღეთ, მასალების გაცნობა გადავწყვიტეთ. ვალერი ჭალიძის მოღვაწეობა ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი იყო, რადგან საბჭოთა პერიოდში მის შესახებ საუბარი აკრძალული გახლდათ. ვალერი ჭალიძე შარშან, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. საბჭოთა კავშირში ყოფნისას ჭალიძე აპროტესტებდა ქართული ძეგლების ნგრევასაც, მოლდავეთში პესტიციდებით მოსახლეობის მონამვლასაც, არილის ზღვის დაშრობასაც, უბბეკეთში ბამბის კორუფციასაც, პატიმრების წამებასაც, აზერბაიჯანსა და საქართველოში განათლების პრობლემებსაც, უკრაინასა და ბელორუსიაში მშობლიური ენის აკრძალვას, პირადი ცხოვრებისთვის მოქალაქეთა დასჯას, ქალების უფლებების დარღვევას, შესწავლილი ჰქონდა კორუფციისა და კრიმინალის მასშტაბები საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში. ცნობილმა ფიზიკოსმა, სულ 30 წლის ვალერი ჭალიძემ, სახაროვმა და კიდევ ერთმა მათმა მეგობარმა ფიზიკოსმა ანდრეი ტვერდოხლებოვმა 1970 წლის 4 ნოემბერს

საბჭოეთში პირველი ადამიანის უფლებათა კომიტეტი დააარსეს. კომიტეტი საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო, რომელიც უფასო კონსულტაციებს უწევდა პირებს, რომელთა უფლებებიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაარღვია. მას, ამერიკაში ლექციების წაკითხვის შემდეგ, საბჭოთა კავშირის კონსულმა მოქალაქეობა ჩამოართვა, როგორც „სულით არასაბჭოთა ადამიანსა და საბჭოთა ადამიანის სახის შემარცხვენელს“. მას შემდეგ, ვალერი ჭალიძე ამერიკის შეერთებული შტატებიდან იცავდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებს და მისი დამსახურება არის, რომ დასავლეთ ევროპა რკინის ფარდის მიღმა არსებულ დარღვევებსა და რეალურ მდგომარეობაზე ინფორმირებული იყო. ვალერი ჭალიძე „Human Rights Watch“-ის ხელმძღვანელობასთან ერთად, საბჭოთა მოვლენებს აშუქებდა, ამერიკაში დააარსა საკუთარი გამომცემლობა „Chalidze Publications“. მას არც საკუთარი პროფესიისთვის უღალატია და იელის უნივერსიტეტში ფიზიკის დარგში ლექციებს კითხულობდა.“

მალე, ვალერი ჭალიძის არქივი და დღემდე უცნობი მასალები, მათ შორის, ისტორიული ფოტოები და მისი ხელნაკეთი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებიც ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა. დაგეგმილია ჭალიძის ბიოგრაფიის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემაც, რომელსაც მეუღლე, ლიზა ჭალიძე წერს და ამ საინტერესო ადამიანის მოღვაწეობის შესახებ ბევრად მეტს მოგვითხრობს, ვიდრე შეყვარებული მეუღლის ნაწერებია. ჩვენს მკითხველებს შესაძლებლობა ექნებათ, საიტის საშუალებით გაეცნონ ყველა მასალას, რომელსაც





აღწერილობაც ექნება.

მეორე დღესვე, ვაშინგტონში, შეხვედრა გაიმართა კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორთან, კარლა ჰაიდენთან, ქართული მასალების კოლექციების ხელმძღვანელებთან, ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობრებთან, პოლ კრეგოსა და ბრიჯიტ სობალდთან. ორი ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძესა და კარლა ჰაიდენს შორის შეთანხმება შედგა ორივე ბიბლიოთეკის მხრიდან წიგნების გაცვლისა და ქართველი წიგნის რესტავრაციის საქმის განვითარების ხელშეწყობის შესახებ. ამჟამად, კონგრესის ბიბლიოთეკის მოთხოვნის საფუძველზე, ქართული სამთავრობო გამოცემები გროვდება, რაც მათი სპეციალისტებისთვის სამუშაოდ აუცილებელია. უახლოეს მომავალში, ამ ორ ბიბლიოთეკას შორის წიგნთა გაცვლის პროგრამა პირველად ამოქმედდება, რაც ქართველი და ამერიკელი მკითხველებისთვის მნიშვნელოვანი დახმარება იქნება. ასევე იგეგმება კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორის კარლა ჰაიდენის ვიზიტი საქართველოში. კონგრესის ბიბლიოთეკა მსოფლიოში უდიდესი ბიბლიოთეკა არის და მისი საქმიანობა ჩვენი კოლეგებისა და მკითხველებისთვისაც ნაცნობია.

იმავე დღეს, საინტერესო შეხვედრა შედგა სმითსონიანის ინსტიტუტის წარმომადგენელთან, პოლ მაიკლ ტეილორთან. სმითსონიანის ინსტიტუტის აზიის კულტურის ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი, ანთროპოლოგი, პროფესორი პოლ მაიკლ ტეილორი შეგვხვდა გახსნის დღიდან ეხმარება ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზს განვითარებისა და ლიტერატურის განახლებისთვის. ახლო მომავალში,

ბატონი პოლი თბილისს ეწვევა და საგამომცემლო საქმიანობის შესახებ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლექციას წაიკითხავს. ბატონი პოლი მრავალ ქვეყანაში ამარაგებს მკითხველებსა და ბიბლიოთეკებს ლიტერატურით, საქართველო კი მეგობარ ქვეყნებს შორის, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ვაშინგტონში, დასამახსოვრებელი ვიზიტი იყო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის ოფისში, სადაც მონაწილეებს ძალზე გულთბილი შეხვედრა მოგვინყვეს და ვიზიტის ფარგლებში, ია მეურმიშვილის გადაცემაში, სიახლეების შესახებ რეპორტაჟიც მოვამზადეთ.

მომდევნო დღეს, ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები კოლორადოს შტატში (აშშ), დენვერის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ავრორას ვესტუმრეთ, რომელიც ვაშინგტონიდან მოშორებით, კონტინენტის მეორე მხარეს მდებარეობს. კოლორადო ის ადგილია, სადაც მსოფლიოდან ოქროს მოპოვებისთვის მიემგზავრებოდნენ, თუმცა, ამჯერად ვიზიტი მიზანი სხვა განძის აღმოჩენა იყო. პატარა ქალაქ ალბანიში, ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის ალექსანდრე მანველიშვილის ვაჟიშვილები, პოლ და პიტერ მანველები ცხოვრობენ. აქ ინახებოდა ბატონი ალექსანდრეს არქივიც.

„პოლ და პიტერ მანველებმა, მოლაპარაკების შემდეგ, უნიკალური მასალები ეროვნულ ბიბლიოთეკას გადმოსცეს. არქივში დაცულია: ალექსანდრე მანველიშვილის მემუარები, მიმოწერა, გამომცემები, ფოტო-ალბომები (სტამბოლის, პარიზისა და ამერიკის პერიოდები ემიგრაციის არაერთი წევრის ფოტოებით), გამომცემლობის სასტამბო აღჭურვილობა. ვიქტორ ნოზაძის, გიორგი წერეთლის, ლეო კერესელიძის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი“- აღნიშნავს გიორგი კეკელიძე.

„ალექსანდრე მანველიშვილი, როგორც ახალციხის სტიპენდიანტი, სამუშაოდ მშობლიურ სკოლაში გაანაწილეს. სულ მალე იგი მოწაფეთა საყვარელი პედაგოგი გახდა. ეს მხარე თურქეთის ბატონობის დროს ყველაზე ჩამორჩენილი იყო საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით. ალექსანდრე მანველიშვილის თაოსნობით იწყებოდა აქ გამოღვიძება და ძველი მესხეთის



განახლება. ამას გრძნობდა ახალი ხელი-სუფლება და ახალბედა მასწავლებელი ბევრ უსიამოვნებასა და შევიწროებას განიცდიდა. როდესაც წმინდაში მოყოლა დაუპირეს, ერთხანს თბილისში დაბრუნდა, აქ უნივერსიტეტის დოცენტმა თამარ ლომოურმა მისი სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა მოინდომა, მაგრამ ალექსანდრე იძულებული გახდა, სამშობლოს დატოვებაზე ეფიქრა. მარტო ის არ ყოფილა ამ მდგომარეობაში. 1929 წლის ოქტომბერში შეიკრიბა მთელი ჯგუფი იძულებით გადახვეწილებისა, რომლებიც მალე თურქეთში აღმოჩნდნენ. ალექსანდრე მანველიშვილი შეუერთდა ეროვნული იდეის გარშემო შემოკრებილ ახლგაზრდულ მოძრაობას და სულ მალე ლეო კერესელიძესა და მიხაკო წერეთელთან ერთად მისი ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი და მეთაური გახდა. ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო – გაზეთი „თეთრი გიორგი“, რომლის პირველი ნომერი პარიზში 1926 წლის 25 აგვისტოს გამოვიდა და მისი გამოცემა 1939 წლის ივლისამდე გაგრძელდა. ერთ ხანს ალექსანდრე მანველიშვილი „თეთრი გიორგის“ ფაქტიური რედაქტორი და მისი აქტიური ავტორი იყო. დაარსა ახალი ორგანო – გაზეთი „მომავალი“. ამ გაზეთში მოღვაწეობის გარდა იგი აქტიურად თანამშრომლობდა პარიზსა და ბერლინში გამოცემულ ქართულ ემიგრანტულ პრესასთან. 1958 წელს ალ. მანველიშვილმა დატოვა ევროპა და ამერიკაში გადასახლდა. აქ მან გამოქვეყნა რემდენიმე სქელტანიანი წიგნი, ხოლო წერილებს კვლავ ევროპაში აგზავნიდა და პარიზში გამოცემულ ჟურნალებში „კავკასიონსა“ და „ივერიაში“ ბეჭდავდა.

თანამშრომლობდა რადიოსადგურებთან – „კავკასიონი“, „თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“, გამოსცა ათეულობით წიგნი.“ - გვამცნობს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მონაცემები ქართველ ემიგრანტთა შესახებ.

წინასწარი მოლაპარაკებებისა და შეთანხმების მიხედვით პოლ და პიტერ მანველებმა მამის, ალექსანდრე მანველიშვილის, დიდი, უნიკალური არქივი, რომლის წონა 295 კილოგრამია, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცეს. არქივი სულ მალე ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზში (დარბაზის მხარდამჭერია TBC ბანკი) დაიდებს ბინას და ისტორიკოსებისთვის, მკვლევრებისთვის, ამ ეპოქით დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახდება.

„ველით, რომ ისინი მალე ესტუმრებიან საქართველოს. ყველაზე დიდი სიურპრიზი მაინც მისი ავტობიოგრაფია იყო, სადაც ზედმიწევნით მოწესრიგებულად აქვს ყველაფერი აღწერილი, მთელი ცხოვრების ისტორია როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ. აღწერს ემიგრაციაში მცხოვრები ქართველების ამბებსაც. ეს პიროვნება დიდხანს ხელმძღვანელობდა ქართულ განმათავისუფლებელ გამოცემებს და ერთ მიმართვაში წერს კიდევ, საბჭოთა ქართველებს არა აქვთ უფლება თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვისა, ჩვენ კი, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ამის საშუალება გვაქვს და მუშაობა არ უნდა შევწყვიტოთ. ალექსანდრე მანველიშვილის არქივი შეიცავს იმ პარტიებისა და ემიგრაციის შესახებ ინფორმაციას, რომელთა შესახებ იმდენი არ ვიცით, რამდენიც, მაგალითად, სოციალ-დემოკრატების შესახებ. ახლა ამ მასალის შესწავლა ისტორიკოსების საქმე იქნება.“ - ამბობს ლევან თაქთაქიშვილი.

ასეთი დატვირთული იყო ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის ვიზიტი ამერიკაში, სადაც წლევიანდელმა უჩვეულოდ ცივმა ზამთარმაც ვერ შეძლო იმ სიტბოს დავინყება, რომელიც ემიგრანტთა ოჯახებთან და ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრისას დაგვხვდა. ორივე არქივი უკვე მზად არის და მალე საქართველოსკენ გამოემართება, რის შემდეგაც მათ შესახებ ბევრად მეტ საინტერესო სიახლეს შეიტყობთ.

## მოგონება

ალექსანდრე ლორია

### გახსენება-მოგონებები

დიდი ხნის წინ-დაახლოებით 50-იანი წლების დასაწყისში ბათუმის სახელმწიფო თეატრში ერთი პიესის მონუმენტურ დადგმას ახორციელებდნენ და მთელი დასი იყო ჩართული. დადგმაში მონაწილეობისათვის რამდენიმე ბავშვი მიგვიწვიეს, მაგრამ მალე გადაიფიქრეს და მხოლოდ მე შევრჩი რეჰერტუარს. როგორც წესი, შესვენებაზე მსახიობები კუთხეში იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ. ერთ ჯგუფში მეც გავერიე, სადაც საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე აქტიურობდა-რაღაც ამბებს ყვებოდა და ყველა გულმოდგინედ უსმენდა.

მახსოვს, საქართველოს სახალხო არტისტ უსუფ კობალაძეს მიუბრუნდა და გაახსენა, როგორ დაინახა ის ერთხელ ქობულეთში, სადაც ახლომახლო სოფელში გამგზავრებას რომ აპირებდა და ვერაფრით ტრანსპორტს ვერ პოულობდა. თვითონ ბატონი მერაბი ჯერ კიდევ სულ ყმანილი იყო, უსუფი სამსახიობო კარიერას შემდგარი, რომლის პატივისცემა მას დიდი ჰქონდა.

-წავედი,-ჰყვებოდა ბატონი მერაბი, ვითხოვე ცხენი და ასევე აღვირმოდებული მივართვი უსუფს-მერე პირადად მიუბრუნდა მას,-გახსოვს შენ თუ არა?

-კი,-თავი დაუქნია უსუფმა დამორცხვებული ღიმილით, თითქოს დიდი ხნის წარსულს შესცინა,- მაშინ არც კი გიცნობდი კარგად. აქამდე არ გამხსენებიაო,-გულიანად გაეცინა.

მერე სხვა თემაზე გადავიდნენ, მაგრამ ბატონი მერაბი მაინც თავის წარსულს უტრიალებდა და ერთი მეტად საინტერესო ამბავი გვიამბო,- ვერ ვიხსენებ, თავის ბიძასა თუ ბაბუაზე. ის კი თქვა, უკვე ხანში შესული კაცი იყო, პარმენ ლორიას „მეჯღუდი“ რომ გამოქვეყნდაო. ნაწარმოებში გამოყვანილი ერთ-ერთი პერსონაჟი-ილიასა ხელაძე ისტორიულად არსებული პიროვნება იყო, მოხუცის ბავშვობის მეგობარი,ერთად სწავლობდნენ მედრესეში მოლასთან. მოხუცმა აქამდე კითხვა არც ერთ ენაზე არ იცოდა, ცოტათი რაღაც თურქულს აცოდვილებდა და ეს იყო და ეს. არაბულად მხოლოდ იმის

თქმა შეეძლო, რასაც მოლა აზუთხვინებდა. ქართულ კითხვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ანბანსაც კი ვერ ცნობდა.

რა უნდა ექნა?... რომ გაიგო, ამ წიგნში ილიასა ხელაძის, ცნობილი ყაჩაღის ამბები იყო მოცემული, გადაირია, როგორ იქნებოდა, არ გაეგო, რა ეწერა იქ!?

იმ პერიოდში უკვე ახლად შექმნილი საბჭოთა სკოლები მოქმედებდა და ბავშვები ოჯახში კარგად კითხულობდნენ. ხან ერთს ეხვეწებოდა, ხან მეორეს ემუდარებოდა, ეშოვათ ეს წიგნი და მისთვის წაეკითხათ, მაგრამ არავინ არ უსრულებდა თხოვნას, ზოგი დასაწყისს თუ წაუკითხავდა, ზოგი შუამდე მივიდოდა და მერე მიატოვებდა, ზოგი მხოლოდ ილიასას ამბავს გამოარჩევდა, მაგრამ ის იმდენად მიმოფანტულია რომანში, ამგვარი წაკითხვით ვერ კმაყოფილდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ხან ერთმა, ხან მეორემ, როგორც იქნა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ თავიდან ბოლომდე გააცნეს შინაარსი და აღტაცებული დარჩა, ბევრი რამ მოიგონა და გაიხსენა. ნუხდა, ყველაფერი რომ არ იყო ნათქვამი, რაც მის შესახებ იცოდა.

გავიდა ხანი და კვლავ მოიხურვა წაკითხვა, მაგრამ ვერავინ იპოვა მისი თხოვნის შემსრულებელი. ხან ვის ეხვეწა, ხან ვის, მაგრამ მისთვის დიდი ხნით ვერავინ იცლიდა. ზოგი ერთ ნაწილს წაუკითხავდა, ზოგიც შემდეგისათვის პირდებოდა... სულ უკმაყოფილო იყო. იქამდე მივიდა, გაღიზიანებულმა დაღანძლა ყველა- დიდი თუ პატარა, რომ ვერ მოიცალეს მისთვის.

-არ მინდა თქვენი არაფერიო!.. გაჯავრდა მაგრამ რა გაჯავრდა!

ერთ დღეს მეზობელ მასწავლებელ ქალს მიადგა - ქართული უნდა მასწავლო. თანაც ნატურით გასამრჯელოსაც დაპირდა-ფქვილი, ყველი, კაიმალი...

არავისთვის არაფერი უთქამს, ვითომ სადმე სალოცავად მიდიოდა, და ორი თვის თავზე შინაურებმა დაინახეს, რომ რაღაც საანბანო სახელმძღვანელოს უღირღიტებდა, ამან მხოლოდ ირონიული ღიმილი გა-

მოიწვია. ცოტა ხნის შემდეგ ხელი მოკიდა „მევლუდს“ და „კენკვა“ დაუწყო.

ამგვარად კითხვაშიც ვარჯიშობდა კიდევ და ასე თუ ისე, რაღაც-რაღაცას მაინც გებულობდა. სერიოზულად დაენათა ანბანს და მალე აღარ უჭირდა კითხვა და აზრის გამოტანა. რამდენიმე უცნობ ქართულ სიტყვას თუ ჩაუღრმავდებოდა, ხან ახალგაზრდებს ეკითხებოდა, „აგი სიტყვა რა სიტყვააო“.

ამგვარ ყოფაში დრო გადიოდა და საბოლოოდ შეძლო, დამოუკიდებლად თავიდან ბოლომდე წაეკითხა და ისეთი კმაყოფილი დარჩა, თითქოს მთა დაეძლიოს. მაგრამ ამაზე არ შეჩერებულა - სხვა წიგნებსაც მიჰყო ხელი, მაგრამ „მევლუდი“ განზე არასდროს გადაუდია.

ღრმა მოხუცობაში განუცხადა ჭირისუფალს:

- ვიცი, ჩვენი ადათით სამარეში კაცს არაფერს არ ატანენ, მაგრამ აი წიგნი უეჭველად ჩამაყოფეთო.

მათალი გითხრათ, არ ვიცი, შეუსრულეს თუ არა მას საბოლოოდ სურვილი, მაგრამ ის, რომ პარმენ ლორიას წიგნებს მოხუცები სასთუმლის ქვეშ იდებდნენ, არაერთხელ გამიგონია.

ერთხელ, როდესაც მამა ცოცხალი აღარ იყო, ერთმა შვილდაკარგულმა მამამ სამეგრელოდან, მთხოვა, როგორმე მომეხერხებინა მისთვის რომანი „ნაირა“ მეშოვა, რადგანაც სხვაგან ვერსად ვერ აღმოაჩინა უნაკლო და წარწერის გარეშე, საქმე იმაშია, რომ მის ქალიშვილს ნაირა რქმევია ამ წიგნის გავლენით. ასეთები ახლაც ბევრნი არიან: ჭემალი, მევლუდი, ფერიდე, ნაირა, ქევსერი და სხვანი პარენ ლორიას წიგნების მიხედვითაა ჩვენში გავრცელებული. დამნუხრებულ მამას განსვენებული შვილისთვის სარკოფაგი აუგია, სადაც გოგონას საყვარელი წიგნები ელაგა და მათ შორის - „ნაირა“. ახლა აღმოჩენილა, რომ ამ წიგნს რამდენიმე გვერდი აკლდა, რასაც მტკივნეულად განიცდიდნენ მისი მშობლები. უნდოდათ, სრულყოფილი ვარიანტით შეცვლა. რაკი არ მოხერხდა ეს, რამდენადაც არ აღმოჩნდა არც შინ და არც გარეთ სრულყოფილი ვარიანტი - ზოგში საარქივო მინაწერები იყო, ზოგიც ავტოგრაფიანი. გადავწყვიტე, ისევ ასლები გამემზადებინა ლაკუნისათვის და იმით შემევისო ნაკლოვან

ნი ეგზემპლარი.

სხვაც ბევრი ყოფილა ასეთი და ამგვარი შემთხვევა და ყოველთვის ვცდილობდი ხელი გამემართა მთხოვნელებისათვის.

მამაჩემს სიცოცხლეში უამრავი წერილი მოსდიოდა მკითხველებისაგან, როგორც საქათველოდან, ისე მთელი კავშირიდან. ადგლობრივ ფოსტაში კარგად იცნობდნენ მას. როცა „განთიადი ხევში“ რუსულად გამოქვეყნდა, რუსულენოვანი მკითხველებიც აწარმოებდნენ მასთან მიმოწერას. ერთხელ ციმბირიდან მოვიდა წერილი ადრესით „Батуми. Л. Пармению.“ ეტყობა მკითხველს პარმენი გვარი ეგონა.

უამრავი წერილი მოსდიოდა. ერთხელ ბათუმის ერთ-ერთ გაზეთში ამას სტატიაც კი მიუძღვნეს. როცა გარდაიცვალა, ორი დიდი მუყაოს ყუთი გავსებული დარჩა. მისი ნორმალურად დაცვა გაჭირდა მიტოვებულ სახლში და წერილები განადგურდა, მაგრამ დარჩა მათი აღრიცხვა, რომელშიც ასეულობით მისამართი და გვარ-სახელებია მითითებული.

ბევრი მკითხველი დაიმეგობრა, ბევრს პირადად შეხვედრია, ბევრს ოჯახშიც წვევია და თავისთანაც დაუპატიჟია. ყველას, ყველას პასუხობდა! სხვათა შორის, გორის ხიდისთავიდან ერთი ოჯახის წარმომადგენლები ეწვივნენ ბათუმში, რომლებსაც ახალდაბადებული გოგონასათვის ქევსერი - პარმენ ლორიას ერთერთი წაწარმოების პერსონაჟის სახელი დაურქმევიათ. გორის ხიდისთავში ყველა კარგად იცნობს ქევსერ სამადალაშვილს, რომელმაც გააგრძელა ურთიერთობა პ. ლორიას ოჯახის წევრებთან.

განსაკუთრებით მრავლად მოდიოდა წერილები თბილისიდან, ასევე კახეთისა და ქართლის რაიონებიდან, ეტყობა, აჭარის მოსახლეობის გმირული წარსული მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველი და სათაყვანო იყო, როგორც ენის, ეროვნებისა და ტერიტორიის დაცვის სიმბოლური გამოხატულება.

ლიტერატურათმცოდნეთა შორის არის მოსაზრება, რომ ლიტერატურის ისტორია - ეს არა მარტო მწერლის შემოქმედების ისტორიაა, არამედ მკითხველის ისტორიაც. ეს თუ ასეა, პარმენ ლორას სამწერლო მოღვაწეობის ისტორია ამ მხრივ ძალიან მდიდარია და მას დავინყება არ უწერია.

**ქრონიკა**

**საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება:  
მოვლენები, ფაქტები**



- **2018 წლის 8 დეკემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“ ეწვია დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოს: ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა შუაფხოს საჯარო სკოლას გადასცეს ახალი წიგნები. სკოლაში 16 მოსწავლე სწავლობს.
- **9 იანვარს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ლელა კოტორაშვილის წიგნის „მოსიარულე გაკვეთილები“ წარდგენა. ავტორი ამჟამად მუშაობს რაჭის სოფ. უნერის საჯარო სკოლაში პედაგოგად.
- **15 იანვარს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო პოლონური ენის შემსწავლელი კურსები, რომელიც წლის ბოლომდე გაგრძელდება.
- **23-28 იანვარს** საქართველოს პარლამე-

ნტის ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევით ნიუ-იორკში, ქვინსის ბიბლიოთეკაში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა, სადაც ინახება ქართულენოვანი წიგნები, ფილმი და აუდიო ჩანაწერები. ამ დღეებში აშშ-ი ვიზიტად იმყოფებოდნენ ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, ლევან თაქთაქიშვილი და მაია სიმონიშვილი. მივლინების დროს გიორგი კეკელიძე შეხვდა კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორს კარლა ჰაიდენს. შეთანხმდნენ წიგნთგაცვლის შესახებ. კონგრესის ბიბლიოთეკა მომარაგდება ქართული წიგნებით. ქართული დელეგაცია ეწვია კოლორადოს შტატის ქალაქ ავრორას, სადაც შეხვდნენ ამერიკაში მცხოვრე-



ბი ქართველი ემიგრანტის ალექსანდრე მანველაშვილის შთამომავლებს. . პოლ და პიტერი მანველებმა მამის, ალექსანდრე მანველიშვილის უნიკაკლური არქივი გადასცეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. არქივში დაცულია ალექსანდრე მანველიშვილის მემუარები, მიმოწერა, გამოცემები, ფოტო-ალბომები, გამომცემლობის სასტამბო აღჭურვილობა, ვიქტორ ნოზაძის, გიორგი წერეთლის და ლეო კერესელიძის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი.

- **29 იანვარს** „ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლების სამოქმედო



გეგმის“ ფარგლებში უფრო ღრმავდება ეროვნული ბიბლიოთეკისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობა. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა გიორგი კილაძემ წარადგინა უნიკალური საძიებო სისტემა, რომელიც ამჟამად ტესტირების პროცესშია.

- **30 იანვარს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის საგანმანათლებლო კონკურსის „ყველაზე წიგნიერის“ ერთ-ერთი ეტაპი. კონკურსი უკვე მეხუთე წელია ტარდება



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭრით. პროექტის მიზანია ლიტერატურისადმი ინტერესის გაღრმავება, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია ვიქტორინებისა და გასართობი შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებით.

- **2 თებერვალს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ პროგრამით ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ეწვივნენ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერთდ. გიორგი კვეციანი შეხვდა სკოლის მოსწავლეებს, სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა ახალი წიგნები.



- **6 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის გურამ ჩიქოვანბის ლექცია, რომელიც შეეხებოდა მის სამეცნიერო მივლინებას ცენტრალურ აზიაში. მომხსენებელმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა არმოსავლური ლიტერატურა არაბული დიალექტოლოგიის შესახებ.
- **11 თებერვალს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ წარმომადგენლები ეწვივნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ სორმონის საჯარო



ბიბლიოთეკას. სორმონის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას გადაეცა ახალი წიგნები.

- **13 თებერვალს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პროფესორ პშემისლავ ჟურვალის ლექცია თემაზე „ნატო - საქართველო - პოლონეთი“.
- **19 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეტ ჰოვანეს თუმანიანისა და კომპოზიტორ ლომიტასის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება. მათი სახელები მჭიდროდაა დაკავშირებული

## ნეკროლოგი

### ფერიდე კვაჭანტირაძე

გარდაიცვალა ქართული წიგნის დიდი მოამაგე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების დამაარსებელი და 40 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი ფერიდე კვაჭანტირაძე.

2017 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქალბატონი ფერიდეს ინიციატივით, იშვიათ გამოცემათა განყოფილების ბაზაზე დაარსდა წიგნის მუზეუმი, სადაც ქართული ძველნაბეჭდი გამოცემების ყველაზე სრულყოფილი და ექსკლუზიური კოლექციაა დაცული. ექსპონატების უმეტესი ნაწილი პირადად ქალბატონი ფერიდეს მოძიებულია იმ პერიოდში, როდესაც მათი შეძენა ბუკინისტურ მაღაზიებში აკრძალული იყო და სხვადასხვა ფონდიდან იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში გადმოტანაც არ იყო რეკომენდებული. ქალბატონი ფერიდე ბიბლიოთეკის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელის მითითებით, არაერთხელ იყო წარდგენილი დირექციას წინაშე “საბჭოთა მოქალაქეთათვის მიუღებელი ლიტერატურით იშვიათ გამოცემათა ფონდის დანაგვიანების” ბრალდებით. მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძობდა ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორის, ბაქარის, საჩხერის, ქუთაისის სამეფო სტამბათა გამოცემების მოძიებასა და რარიტეტულ გამოცემათა სეიფში გადატანას. თვითონაც ამ უპაერო სეიფში მუშაობდა.

ქალბატონ ფერიდეს აღელვებდა არა მარტო იშვიათ გამოცემათა განყოფილების პრობლემები, არამედ მთლიანად ეროვნული ბიბლიოთეკის და მეტიც, ქართული წიგნის მომავალი. მისი სამსახურებრივი ნუსხა სრულად ვერ ასახავს იმ ღვანლს, რომელიც ამ სუსტი აღნაგობის ქალბატონმა საქართველოსა და ქართული წიგნისთვის გაიღო.

1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფერიდე კვაჭანტირაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა-

ში. 1975 წლიდან სათავეში ჩაუდგა იშვიათ გამოცემათა ფონდს, რომელიც შემდგომ მისი აქტიური ჩარევით ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ რესპუბლიკების საჯარო ბიბლიოთეკებში, იმ პერიოდში იშვიათ გამოცემათა განყოფილებები ცალკე არ არსებობდა. საქართველოში ასეთი პრეცედენტის



დაშვების მოთხოვნა მაშინდელი საჯარო ბიბლიოთეკის დირექციისათვის ადვილი არ იყო. ქალბატონმა ფერიდემ კულტურის სამინისტროში მაშინ ღირსეულად დაიცვა ეს ინიციატივა.

2013 წლიდან, კვლავ ქალბატონი ფერიდეს ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით, დაიწყო წიგნის მუზეუმის შექმნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რითაც ხორცი შეესხა მისი დიდი ხნის ოცნებას.

შექმნა კიდევ. მისივე სურვილით, მუზე-



უმსახვარდა თაობის წარმომადგენელი ჩაუდგა სათავეში, თვითონ კი ახალი საქმე ითავა - საქართველოს დეპოზიტარულ ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ძველნაბეჭდი გამოცემებისათვის ძველის სტატუსის მინიჭება, რომელსაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სტატუსით უძღვებოდა. მისი თაოსნობით აღინერა ქართული ძველნაბეჭდი გამოცემები, მომზადდა და გამოიცა მისი კატალოგის ორტომეული; ცალკე ნიგნად დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის სტამბის გამოცემათა აღწერილობა; საკუთარი სახსრებით აღადგინა და გამოსცა გრიგოლ ტატიშვილის ანბანის გასაფერადებელი რვეული ბავშვებისათვის; იყო ავტორი და რედაქტორი არაერთი სამეცნიერო სტატიისა; გასული საუკუნის სამოციან წლებში მონაწილეობდა საჯარო ბიბლიოთეკის უდიდეს პროექტში, რომელსაც ლეგენდარული ბიბლიოგრაფი ქალი თამარ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა და რომლის ფარგლებშიც მომზადდა მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; მისი თანაავტორობით გამოიცა რევოლუციამდელი ქართული საბავშვო გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც.

ქართული წიგნის კვლევის საქმეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის გამო,

2019 წლის 8 მარტს ქალბატონ ფერიდეს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის განკარგულებით საუკუნის ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა.

მისი გარდაცვალებით ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი დასრულდა, თავი, რომელსაც აწ უკვე ლეგენდად ქცეული სახელი ჰქვია: ფერიდე კვაჭანტირაძე.

**ხელისმომწერი:** აბაშიძე ზაზა, ასათიანი რუსუდან, ბართაია ნომადი, ბაქრაძე ლაშა, ბაღდავაძე ნუკრი, ბერაძე გია, ბერძენიშვილი ლევან, გაგუა ბორის, გაიპარაშვილი ზურაბ, გელუკაშვილი-მოსია სოფიო, გვანცელაძე, რუსუდან, ვეკუა მერაბ, თაქთაქიშვილი ლევან, იაკობაშვილი ირაკლი, იაშვილი თეონა, იმედაშვილი კობა, კაკულია ლალი, კალანდია გიორგი, კარტოზია ალექსანდრე, კეკელიძე გიორგი, კობახიძე რუსუდან, კოჭლაშვილი ციური, კუდავა ბუბა, ლომჯარია თინა, მამულია გიორგი, მანჯგალაძე მანანა, მეტრეველი როინ, სამუშია ჯაბა, ფუტკარაძე ტარიელ, ქავთარია მიხეილ, ღარიბაშვილი ირაკლი, შარაძე რუსუდან, ხოსიტაშვილი მირიან, ჯავახიშვილი ნიკო, ჯანელიძე ოთარ, ჯგერენაია ემზარ, ჯოლოგუა თამაზ.

ღვთაებრივი ნათლით მოსილი გონება

## ფერიდე კვაჭანტირაძის გამოსათხოვარი

ჭეშმარიტად ასეთი გონებით მოევლინა მინიერ სამყაროს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების დამაარსებელი და ოთხი ათეული წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი, ქართული ძველნაბეჭდი გამოცემების იშვიათი მკვლევარი, წიგნის მუზეუმის შექმნის ორგანიზატორი ქალბატონი ფერიდე კვაჭანტირაძე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა იმთავიდანვე დაუკავშირდა ძველნაბეჭდი ქართული წიგნების გამოვლენის, მათი ბიბლიოგრაფირებისა და დაცვის ეროვნულ საქმეს. მან ფასდაუდებელი

წვლილი შეიტანა ვახტან მეექვსის, ერეკლე მეორის, ბაქარის, საჩხერისა და ქუთაისის სამეფო სტამბათა გამოცემების გამოვლენას და მათ მეცნიერულ შესწავლას. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა ამიერკავკასიაში უდიდესი წიგნის მუზეუმი, რითაც აღასრულა მისი დიდი ხნის ოცნება. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღინერა ქართული ძველნაბეჭდი გამოცემები, გამოიცა აღწერილობათა კატალოგის ორტომეული. საკუთარი სახსრებითა და ძალისხმევით გამოიცა გრიგოლ ტატიშვილის ანბანის გასაფერადებელი რვეული ბავშვებისათვის.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ქალბატონი ფერიდე აქტიურად მონაწილეობდა საქარო ბიბლიოთეკის ყოვლისმომცველ პროექტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი. პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების ტომეულები, რომლებიც წლების განმავლობაში და დღესაც ითვლება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბალავერად.

ფერიდე კვაჭანტირაძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობის პერიოდში ღირსეულად და შეუვალად პრინციპულობით იცავდა იშვიათ გამოცემათა ცალკე განყოფილების სახით ჩამოყალიბების იდეას, მისი, როგორც პროფესიონალი ბიბლიოგრაფისა და ბიბლიოთეკარის წარმატების სანინდარი გახლდათ მრავალმხრივი განათლება, ნიგნის სიყვარული, ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების ცალკე ორგანიზება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დიდია ქალბატონ ფერიდეს ღვაწლი და ამაგი საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში დავალებული იშვიათ გამოცემათა ორგანიზების,

დაცვისა და კატალოგიზაციის საქმეში. მის მიერ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული მეთოდური რეკომენდაციები და კონსულტაციები წარმოადგენენ სახელმძღვანელო მასალას იშვიათ გამოცემათა ორგანიზებისა და ბიბლიოგრაფირების საკითხებში.

ქალბატონ ფერიდეს, როგორც პროფესიონალსა და მკვლევარს, კარგად ესმოდა იშვიათ გამოცემათა შესწავლისა და პოპულარიზაციის დანიშნულება ქართული კულტურის ისტორიისა და მეცნიერული კვლევის მამულიშვილურ საქმეში.

ქალბატონ ფერიდეს ნიადაგ ახლდა მარადისობიდან მომდინარე თვალი პატიოსანი, რომელიც ღვთის მადლით აღავსებდა მის ქალურ არსებას. მის გულში სიცოცხლის დასაბამიდან ბრწყინავდა სულიერი ნათელი, რომელიც აცისკროვნებდა მის ზნეობრივ სახესა და სულიერ სამყაროს. წარუშლელია ღვთაებრივი ნათელით მოსილი მისი სახელი და საქმენი მისი ჩვენთვის დანატოვარი.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

# გიორგი სარაჯიშვილი - ვულთცავთ იუბილეს



ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ულოცავს ჩვენი ჟურნალის დიდი ხნის მეგობარს, მრავალი საინტერესო სტატიის ავტორსა და ცნობილ მეცნიერ-მკვლევარს გიორგი სარაჯიშვილს. ვუსურვებთ მას მხნეობას, სულიერ სიმტკიცეს და ჯანმრთელობას.



## საბიბლიოთეკო კვირული



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

№4

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2019 წლის 20 აპრილს 14:00 საათზე

სხნის

საბიბლიოთეკო კვირულს

ფეხილით

**“ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური გამათვლებლის ცენტრი”**

კვირული გაიხსნება აღბონის პრინციპებით.

საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენელთა აღბონის

ბიბლიოთეკური ხელოვანი,

რომელშიც ასახულია ბიბლიოთეკარების მიერ შექმნილი ნამუშევრები

აღბონის პრინციპების დახრულებების მექანიზმებზე ჩატარდება კონკურსი.

რომელშიც მონაწილეობის მიზნით შევსდება ბიბლიოთეკის რომელსაც

აღდგამთ თანხა 2017-2018 წლებში და მათი საწინააღმდეგო ნაკლებად არის

ქრონიული სამოტივაციებისთვის

კონკურსში მონაწილეობის მიზანშეწონილი ბიბლიოთეკამ უნდა

წარმოადგინოს ანგარიში იმ რეკონსტრუქციების შესახებ

მონაწილეობის შედეგად მისი ტერიტორია შეესაბამება

და შეორჩევა IS მონაწილე

კონკურსში მონაწილეობის მიზნით კვირული პრინციპითა და

მონაწილეობის ტექსტი გამოაგზავნეთ 2019 წლის 25 აპრილამდე მექანი

ელ ფოსტაზე ამხმამისათვის 2019 წელს

კონკურსის გამარჯვებულს ტრადიციულად გამოადლენს

დამწიგნო სამოტივაცია

კვირულის გახსნა ჩატარდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკის ადმინისტრაციულ კორპუსში საკამპოვერო დარბაზში

მისამართი: ლ. ვეფხვაშვილის ქ. №7

კვირულის დასრულება გაიხსნება თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში

გამათვლებლის ცენტრის  
საკონტაქტო პირი  
ლორეა სამიძე  
2019.04.09

გილოცავთ ბიბლიოთეკართა  
პროფესიულ დღეს

